- Eugenie L. Birch & Susan M. Wachter (2011). Global Urbanization (The City in the Twenty-First Century)
- United Nations Population Division. (2024). World Urbanization Prospects: The 2024 Revision.
- World Bank. (2020). Understanding Urban Poverty: Definitions and Measurement.
- U.S. Center for Demographic and Health Research. (2020). Urbanization and Public Health in Sub-Saharan Africa.
- United States Agency for International Development (USAID). (2015). Demographic Characteristics of Urban Populations in Developing Countries.
- United Nations. (2018). Urban Agglomerations and Megacity Definitions.
- United Nations. (1990). The Urbanization Process: A Historical Perspective.
- United Nations. (1998-1999). Natural Disasters and Their Impact on Urban Populations.
- United Nations Population Division. (2023). Urban Population and Migration Patterns in Asia and Africa.

თანამედროვე მსოფლიო ურბანიზაცია: დინამიკა და გამოწვევები

თამაზ ზუბიაშვილი

ასოცირებული პროფესორი
ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamaz.zubiashvili@tsu.ge

ურბანიზაცია XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული და აქტუალური გლობალური ფენომენია. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამჟამად ურბანულ რაიონებში ცხოვრობს. პროგნოზი აჩვენებს, რომ 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი 68%-ს მიაღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ 2.5 მლრდ ადამიანი დაემატება ქალაქების მოსახლეობას და ეს მოხდება, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში. ურბანული მოსახლეობის წილით ლიდერობს აზია, რომელზეც მოდის მსოფლიო ურბანული მოსახლეობის 53,6%, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპა (11,7%) და აფრიკა (14,4%). მეგაპოლისები (10 მლნ-ზე მეტი მოსახლეობით) 1990 წელს - 10 მლნ-დან 2024 წელს 42

მლნ-მდე გაიზარდა, რადგან მსოფლიოს ურბანული მოსახლეობის 20%, სწორედ, იქ არის კონცენტრირებული.

ურბანიზაცია ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და კულტურული გაცვლის საფუძველია, მაგრამ ის ამავედროულად სერიოზულ გამოწვევებს წარმოშობს: გადატვირთულობა ქარბი მოსახლეობის გამო, ჰაერის დაბინძურება და გარემოს დეგრადაცია, ინფრასტრუქტურა, სირთულეები სატრანსპორტო ქსელებში, ენერგეტიკულ სისტემებსა და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში, რამაც შეიძლება გააუარესოს ცხოვრების ხარისხი და ეკონომიკური პროდუქტიულობა.

ურბანიზაცია, ასევე, ამძაფრებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას. განათლების, ჯანდაცვის, დასაქმებისა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობაში უთანასწორობა ხშირია ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს შორის, განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც არაფორმალური დასახლებებია.

განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ურბანული ზრდა, ხშირად, ეკონომიკურ განვითარებას უსწრებს, რაც სიღარიბეს, არაადეკვატურ მომსახურებას და სტიქიური უბედურებისადმი დაუცველობას იწვევს. დემოგრაფიულ ანალიზს კიდევ უფრო ართულებს ცირკულარული მიგრაცია და „ურბანულის“ არათანმიმდევრული განმარტებები.

სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები განსხვავებულია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში: განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ახალგაზრდა, მზარდი ურბანული მოსახლეობა დიდი ოჯახებით, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერება, ურბანული ტერიტორიების დეცენტრალიზაცია და იმიგრაცია ხელს უწყობს ურბანული ლანდშაფტის განვითარებას. ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნების მართვის, დაბერებული მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების და რესურსებისა და მომსახურებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის გამოწვევები უმნიშვნელოვანესია.

ურბანულ რაიონებში გენდერული დისბალანსია შრომის ბაზრის დინამიკასა და კულტურულ ტრადიციებს შორის. ურბანულ დასახლებებში მიგრანტებში ქალები დომინირებენ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ლათინური ამერიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, რაც ასახავს გენდერული შრომის ბაზრის მოთხოვნებს საოჯახო მომსახურებაში, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში, საცალო ვაჭრობასა და მზრუნველობის სექტორებში. ეს სტრუქტურები ხშირად გაძლიერებულია სოციალური ქსელებით და მიგრაციული სისტემებით, რაც ხელს უწყობს ქალთა მობილობას ურბანული მომსახურების ეკონომიკაში. აფრიკასა და სამხრეთ აზიაში პირიქით - ურბანულ მიგრაციაში, მამაკაცებს მეტი უპირატესობა აქვთ, რაც განპირობებულია მშენებლობებზე დასაქმების შესაძლებლობით. ტრანსპორტის სფეროში და არაფორმალურ

ვაჭრობაში, ასევე, კულტურული ნორმებით, რაც ზღუდავს ქალთა მობილობას, რადგან პრიორიტეტს ანიჭებენ მამაკაცის ეკონომიკურ როლს საყოფაცხოვრებო სტრატეგიაში.

დიდ ქალაქებში, ხშირად, დაბალია სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი ჯანდაცვის, სანიტარული პირობების, განათლებისა და ინფრასტრუქტურის უკეთესი ხელმისაწვდომობის გამო, თუმცა, გარკვეულ, ურბანულ რეგიონებში, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მუდმივად მაღალი მაჩვენებელი, უფრო ღრმა სტრუქტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაზე მეტყველებს.

ურბანულ რაიონებში სიღარიბე სულ უფრო კონცენტრირებული ხდება, რადგან ქალაქებში სიღარიბის მზარდი კონცენტრაცია ხშირად იწვევს სივრცით სეგრეგაციას, სოციალურ გარიყვას და პოლიტიკური დაძაბულობის გამწვავებას, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს მმართველობისთვის, სტაბილურობისთვის და პოლიტიკის შემუშავებისთვის. ქალაქებში სიღარიბე მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევა არ არის, ეს ღრმად პოლიტიკური საკითხია.

გლობალური ურბანიზაცია ქმნის, როგორც უზარმაზარ შესაძლებლობებს, ასევე, სერიოზულ გამოწვევებს. ურბანიზაციის მომავალი მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას, რათა შეიქმნას ყოვლისმომცველი ურბანული დაგეგმვისა და განვითარების პროგრამები. ეს ინიციატივები უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მართვის ოპტიმიზაციაზე, გარემოს დაცვაზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე. სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებების მოგვარება, გარეუბნების უარყოფითი შედეგების შერბილება და დიდი ქალაქების ჰიპერტროფიული ზრდის მართვა აუცილებელია მდგრადი ურბანული განვითარების მისაღწევად. ის ასევე მოითხოვს პროაქტიულ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად. პოლიტიკა კი უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სოციალურ თანასწორობაზე, რათა მომავალი თაობებისთვის უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლად ვარგისი მდგრადი ურბანული გარემო.

საკვანძო სიგეყვები: ურბანიზაცია; განვითარებადი ქვეყნები; განვითარებული ქვეყნები; მიგრაცია; მოსახლეობის ზრდა; დემოგრაფიული ცვლილებები.

საქართველო-აშშ-ის ეკონომიკური ურთიერთობა (თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები)

რსირბილადზე

ასოციირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
rsirbiladze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.02

ნაშრომის მიზანი საქართველოს ეკონომიკის ჰეაღობაში დანახვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ვიხილავთ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას. კვლევის პროცესი იყო ღრვიანი, სისტემური, თანმიმდევრული და განმეორებადი. ვიყენებდი დოკუმენტებს და მონაცემთა ანალიზს. შედეგად წარმოვაჩინე ჩამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის ურთიერთობა აშშ-ის ეკონომიკასთან, რა ინოვაციები გამოიყენება წარმატებულ ქვეყნებში. თუ წინა საუკუნეში ჩამდენიმე ეკონომიკური კრიზისი დაფიქსირდა, XXI საუკუნეში ეკონომიკური კრიზისები დიდი სიხშირით ხდება. ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ. აშშ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ინვესტორი ქვეყანაა. რომელთანაც საქართველოს მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს და რომელიც ქვეყნის სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის ახალ პირობებს ანხორციელებს. აშშ საქართველოსთვის ახა მხოლოდ ვაჭრობის მიმართულებით იყო მოწინავე ქვეყანა, ახამედ ქვეყანაში განხორციელებული პირობების უცხოური ინვესტიციების კუთხითაც. აშშ-ის ინვესტიციები იღებოდა ისეთ დარგებში, როგორიცაა: საფინანსო სექტორი, ტექნიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, მრეწველობა, განახლებადი ენერგია, სასტუმროების მიმართულება და სხვა. ქვეყნების ეკონომიკური წარმატება დაფუძნებული იყო იმდროულად მეცნიერებაზე, განათლებაზე, მაღალ ტექნოლოგიებზე. მათი გამოცდილება საქართველომაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს თავისი შიდა პოტენციალი, ეკონომიკური და სამეცნიერო კონიუნქტურის გათვალისწინებით და გააგრძელოს აშშ-ის ეკონომიკასთან ეკონომიკური ურთიერთობა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ურთიერთობა, აშშ-ის ეკონომიკა, ინოვაციები, გლობალური გამოწვევები, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ვაჭრობა.

შესავალი

ეკონომიკაზე მსჯელობისას და შესაბამისად მეცნიერული კვლევის განხორციელებისას, აუცილებელია შევხვთ რეალობას, დავინახოთ სინამდვილეში რა ხდება ეკონომიკაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სხვა ქვეყნებთან

ურთიერთობისას. ახლა ჩვენი კვლევის საგანი მეტ-ნაკლებად შესაძლოა იყოს როგორც მიმდინარე პროცესები ეკონომიკაში, ასევე დამატებით პერსპექტივები მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტით - თუ როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას ეკონომიკური ყოფა. წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღმერთმა ხილულ სამყაროში თავის ხატად მხოლოდ ადამიანი შექმნა და დაადგინა სხვა ქმნილებათა გამგებლად, მისცა თავისუფლება და განსაკუთრებული პატივი მიაგო მას, არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მის ნებას მიანდო. როგორი იქნება სიცოცხლე, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება ის და როგორ შეიძლება იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელსაც ადამიანი მუდმივად აწვითარებს, ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული (სააღდგომო ეპისტოლე, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, 2025, 3). ეკონომიკა გვკარნახობს, რომ ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებს შესაძლებლობები დავუკავშიროთ, ვიცხოვროთ განვითარებულ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში მდიდრულად და შევძლოთ ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

ამ შემთხვევაში ჩვენი ნება ხორციელდება გულით, სულით, გონებით და სიტყვით. ამიტომ, ამაზე ზრუნვა განსაკუთრებულად გვმართებს. დიახ, განსაკუთრებული ყურადღების საგანია არსებული პროცესების გამოყენება და უკეთ ცხოვრება. ამისთვის ჩვენ გამოვიყენებთ აშშ-ის ეკონომიკასთან ინტეგრაციის შესაძლო გზებს, რაც დაგვეხმარება ეკონომიკის განვითარებაში. განხილვა დავინწყოთ ძირფესვიანად. როგორც ვიცით, ეკონომიკური ზრდის საპირისპირო მოვლენა სიღარიბეა, რაც ძირითადად გამოწვეულია უმუშევრობით და არა - მრეწველობის განვითარებით. უმუშევრობის გაზრდა მთელ მსოფლიოში იწვევს ეკონომიკის შემცირებას. იზრდება მსოფლიოში ქვეყნებს შორის უთანასწორობა. უმუშევრობა და უთანასწორობა საქართველოს ეკონომიკის განსაკუთრებული პრობლემებია. ამ პრობლემებმა მსოფლიოშიც იჩინა თავი. ჯერ კიდევ 2015 წელს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ დღეში 1,90 აშშ დოლარი შემოსავლით მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 9% ცხოვრობდა, უმუშევართა რაოდენობამ 197,1 მლნ მიაღწია (ბერიძე თ, 2024, 12,16).

ანალიზის ამოსავალი პრინციპები

გახშირებული ეკონომიკური კრიზისები განაპირობებს მოსახლეობის სიღარიბის გაღრმავებას. თუ წინა საუკუნეში რამდენიმე ეკონომიკური კრიზისი დაფიქსირდა, XXI საუკუნეში ეკონომიკური კრიზისები დიდი სიხშირით ხასიათდება. ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ. ეკონომიკური კრიზისების დაძლევა იქცა მნიშვნელოვან პრობლემად. როგორც მოხერხდება კრიზისის დაძლევა და ეკონომიკის სტაბილიზაცია, ამაზეა დამოკიდებული ეკონომიკის შემდგომი განვითარება, არამხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანაში, არამედ მთელ მსო-

ფლიოში. ამ მასტაბებით ეკონომიკური კრიზისები აშკარად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეკონომიკურმა კრიზისმა დააზიანა მრეწველობა, შეაჩერა წარმოება, გაზარდა უმუშევრობა, დასაქმებას შეუშალა ხელი, ვერ მოხერხდა ინფლაციის შეჩერება და ა.შ. საქართველოს ეკონომიკის სწორად განვითარება უნდა იყოს რეალურად ეკონომიკის მიზანი და საშუალება, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და შესაბამისად წარმოების განვითარება, ფინანსური რესურსების სპეკულაციური ვაჭრობიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში გადატანა, მეცნიერების და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკური სისტემის შექმნა, ეკონომიკაში სოციალური მიმართულების განვითარება. დემონოპოლიზაცია და სამეურნეო სუბიექტებისთვის თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, ის აუცილებელი პროცესებია, რაც საქართველოს ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარების საფუძველია. ეს უნდა იყოს როგორც სახელმწიფოს, ასევე სამეცნიერო სექტორის გადაუდებელი ამოცანა. ადამიანი შექმნა უფალმა, ადამიანები კი თავისი ქცევით ცვლიან და აყალიბებენ ეკონომიკის აღნაგობას. აღნაგობა კი ისეთი უნდა იყოს, რომ სრულიად შეცვალოს და დააკმაყოფილოს თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები, რაც ძირითადად დამოკიდებულია იმ შესაძლებლობებზე, რომელიც უნდა გამოჩნდეს სწორი ეკონომიკური პროცესების წარმართვის საფუძველზე. (პაპავა გ. 2012). ეკონომიკა იმდაგვარად უნდა იმართებოდეს რომ უკუგება იყოს რაციონალური და გამოირიცხოს ირაციონალურობა. მით უმეტეს, როცა ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის სიღრმისეული გამოკვლევის შედეგად მიღებულია ეკონომიკური რეალობის მიზანმიმართული ურთიერთთავსებადი სოციალურად ჯანსაღი წყობა, ანუ სისტემა, რითაც საბაზრო ეკონომიკა განთავისუფლდება უსისტემო პროცესებისგან და მოხდება მისი ნორმალიზება. აქ უნდა მოიაზრებოდეს საქართველოს ფულადი ფონდის რაციონალური განაწილება. თავად ეკონომიკა საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა, მის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის განვითარება და საერთო წინსვლა. ყოველი დღე ადამიანის ცხოვრებაში ეკონომიკით იწყება და თითქმის განსაზღვრავს მის ყოველ მოქმედებას და შედეგს, ამასთან, ეკონომიკა საინტერესო და არაზუსტი მეცნიერებაა და ქმნის შესაძლებლობას ერთსა და იმავე საკითხზე ჩამოყალიბდეს სხვადასხვაგვარი მიდგომა და პოზიცია, რაც, თავის მხრივ, მუდმივ ძიებასა და ანალიზს მოითხოვს. ეკონომიკა მოიცავს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა სფეროს და უწყვეტ კავშირშია სხვადასხვა დარგთან, რომელთა განვითარების და გარდაქმნის მეშვეობით მიიღწევა ეკონომიკის გაძლიერება და მასთან ერთად ცხოვრების დონის ამაღლება. ეკონომიკის განვითარება თავის თავში მოიცავს მართლმადიდებლური სარწმუნოების წესების დაცვას, განათლებასა და მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირს. საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღე, განათლება და სწრაფვა მეცნიერული

მიღწევებისადმი, ის ძირითადი მიზანია, რასაც უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ეკონომიკა. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება სისტემად ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია დემოკრატიის წესრიგის დამყარება და პრინციპების დაცვა. ამ პროცესში განსაკუთრებული მოვალეობა ეკონომიკურ სუბიექტს აკისრია. ეკონომიკური სუბიექტის საბაზრო ეკონომიკის ტექნოლოგიებთან შეთავსებით და ფორმირებით, ისეთი ხედვა უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განიხილებოდეს, სადაც მიზეზი ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის არსებული პრობლემების გადაჭრა იქნება, ხოლო შედეგი - ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების კონტექსტით. ამ პროგრესის მიღწევა საქართველოსთვის როგორც პატარა ქვეყნისთვის, შეუძლებელია სხვა ქვეყნების დახმარების და ეკონომიკური ინტეგრაციის გარეშე.

აშშ-ის როლი საქართველო-აშშ-ის ეკონომიკური ურთიერთობებთან განვითარებაში

კვლევაში განვიხილავთ საქართველოს და აშშ-ის ეკონომიკურ ურთიერთობებს. აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, მისწრაფებას ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ. ამიტომ, აშშ აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში რუსეთის მხრიდან მზარდი ზეწოლის პირობებში და 1991 წლიდან დღემდე ჩვენს ქვეყანას 3 მლრდ დოლარზე მეტი ფინანსური დახმარება გაუწია. თუმცა, ეს ურთიერთობები გაცილებით ადრე იღებს სათავეს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა 1995 წელს ქართულ-ამერიკულ საინვესტიციო ხელშეკრულებას პრეზიდენტ კლინტონთან. უფრო ადრე, თბილისში აშშ-ის საკონსულო 1917 წლიდან მოქმედებდა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობა არ დააუმყარებია. 1918-1921 წლებში საქართველოს და აშშ-ის ურთიერთობა ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. საქართველოში აშშ-ის საელჩო გაიხსნა 1992 წლის 23 აპრილს, იმავე წლის 25 მაისს საქართველოს სტუმრობდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმზ ბეიკერი. საქართველო 2004-2008 წლებში ცდილობდა გამხდარიყო ნატოს წევრი, მაგრამ ვერ მიაღწია წარმატებას რუსეთის ძლიერი ოპოზიციის პირობებში. 2012 წლის თებერვალში მიაღწიეს შეთანხმებას, რომ აშშ და საქართველო დაიწყებენ მუშაობას თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც თუ განხორციელდება, საქართველო გახდება ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელსაც აქვს ასეთი ხელშეკრულება აშშ-თან. საქართველოში ჩამოსული ამერიკელი მოქალაქეები ამჟამად ვიზას არ საჭი-

როებენ. 90-დღიან ტურისტულ ვიზას ქვეყნის შესასვლელ პუნქტში მიიღებენ. 2005 წელს პრეზიდენტ ბუშის გამოსვლა თავისუფლების მოედანზე 100 000-ზე მეტი ადამიანის წინაშე, ქართულ-ამერიკული ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაწყების ნიშანი იყო. აშშ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსთან ურთიერთ უსაფრთხოების, კონტრტერორისტული ინტერესების ხელშეწყობისთვის და უზრუნველყოფს საქართველოს ორმხრივ დახმარებას უსაფრთხოების სფეროში ინგლისურენოვანი და სამხედრო პროფესიული სწავლების ჩათვლით, საერთაშორისო სამხედრო განათლების და მომზადების პროგრამის (IMET) მეშვეობით. საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის მრავალწლიანი პროგრამა (GTEP) დასრულდა 2004 წელს და მიაღწია დასახულ მიზანს- საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებისა და სამხედრო რეფორმების სტიმულირების მხრივ. საქართველოს მდგრადობისა და სტაბილურობის ოპერაციების პროგრამამ, რომელიც დაიწყო 2005 წლის იანვარში, მიაღწია GTEP-ის მიზნებს და განვრთნა ქართული კონტინგენტი, რომელიც მონაწილეობდა ერაყში კოალიციის პირობებში, საშუალება მიეცათ დარჩნენ ერაყში და თავისი ცოდნა გამოიყენონ 6 თვით და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. ჯორჯიის ეროვნულ გვარდიასთან პარტნიორობა, მეექვსე ფლოტის სანაპირო დაცვის ვიზიტები საქართველოში და თავდაცვისა და სამხედრო თანამშრომლობის ორმხრივი სამუშაო ჯგუფი ასევე წარმოადგენს საქართველოსთან აშშ-ის უსაფრთხოების ურთიერთობების მნიშვნელოვან კომპონენტს. <https://ka.wikipedia.org/wiki> (ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ურთიერთობები).

აშშ-საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ინვესტორი ქვეყანა

აშშ, რომელთანაც საქართველოს მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს და რომელიც ქვეყნის სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის არაერთ პროგრამას ახორციელებს, ის საქართველოსთვის ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად და ამავე დროს მნიშვნელოვან ინვესტორ ქვეყანად იქცა. საქართველო-აშშ-ის სავაჭრო ბრუნვამ 2024 წლის 9 თვეში შეადგინა 1 472 მლნ დოლარი. მეზობელი თურქეთისა და რუსეთის შემდეგ უმსხვილესი სავაჭრო მიმართულებების რეიტინგში 8.8%-იანი წილით მესამე ადგილი დაიკავა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, წლის ამ პერიოდში ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა წლიურად 10,4%-ით შემცირდა. აშშ-სთან ვაჭრობა იანვარ-სექტემბერში იმპორტის ხარჯზე შემცირდა. ამ პერიოდისთვის საქართველომ აშშ-დან 1 376 მლნ დოლარის ღირებულების საქონელი შეიძინა. რაც გასული წლის იმპორტის მაჩვენებელს

12,4 %-ით ჩამორჩება. ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებში იმპორტი მთავარ ადგილს იკავებს. რამდენიმე წელია ეს მაჩვენებელი დადებით ტრენდს აჩვენებს, რაც ძირითადად აშშ-დან ავტომობილების იმპორტის გაზრდილი სტატისტიკით არის განპირობებული. 9 თვეში, აშშ საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების რეიტინგში თურქეთის შემდეგ, 11,5%-იანი წილით მეორე ადგილს იკავებს. მიმდინარე წელს, ექსპორტ-იმპორტში მთავარი სავაჭრო საქონლის-მსუბუქი ავტომობილების იმპორტი შემცირებულია. ამან განაპირობა იმპორტის და შესაბამისად სავაჭრო ბრუნვის შემცირებაც. წელს საქართველოში აშშ-დან 1 249 მლნ დოლარის 103 206 ავტომობილი შემოვიდა, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში იმპორტირებული 118 832 ავტომობილის ღირებულება 1 489 მლნ დოლარს აღწევდა.

საქართველო-აშშ-ის ექსპოზიცი-იმპოზიტი 2024 წელს

აშშ-დან იმპორტირებული ტოპ-5 საქონლის რეიტინგი ასეთია:

1. მსუბუქი ავტომობილი - 1 249 მლნ დოლარი (103 206 ცალი)
2. თხილი და სხვა კაკალი - 18.6 მლნ. (3153 ტონა)
3. კვების პროდუქტები - 5.3 მლნ დოლარი (129 ტონა.)
4. კოსმეტიკური საშუალებები - 4,6 მლნ დოლარი (68 ტონა).
5. მოტოციკლები და ველოსიპედები - 4,4 მლნ დოლარი (676 ცალი).

აშშ-დან ასევე წელს შევიძინეთ სამოსი, შინაური ფრინველის ხორცი, ავტომობილების ნაწილები, სატვირთო ავტომობილები, ტელეფონის აპარატები, დაფასებული სამკურნალო საშუალებები.

რაც შეეხება ექსპორტს საქართველოდან აშშ-ში, საქონლის რეალიზების მაჩვენებელი მცირეა. აშშ უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების რეიტინგში 2%-იანი წილით, მეცხრე ადგილზეა. 2024 წლის პირველ 9 თვეში საქართველომ ამ მიმართულებით საქონლის რეალიზებით 95 მლნ 640 ათასი დოლარის შემოსავალი მიიღო. რაც წლიურად 32%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ექსპორტის ნახევარზე მეტი ადგილობრივი ნაწარმის ფეროშენადნობების გაყიდვაზე მოდის.

აშშ-ში ექსპორტირებული ტოპ-5 საქონლის რეიტინგი კი ასეთია:

1. ფეროშენადნობები-59 მლნ დოლარი, 48 056 ტონა,
2. ყურძნის ნატურალური ღვინოები-5.9 მლნ დოლარი, 994 ტონა,
3. საფრენი აპარატების ნაწილები-5,2 მლნ.დოლარი, 23,9 ტონა,
4. შავი ლითონების მილები, მილაკები-4,9 მლნ დოლარი, 4632 ტონა,
5. ხილის და ბოსტნეულის წვენები-3,8 მლნ. დოლარი, 2596 ტონა.

ამის გარდა, 2024 წლის 9 თვეში აშშ-ში საქართველოდან გავიდა წყალბადი და ინერტული აირები, ეთილის სპირტი, მინერალური წყლები, დანებებული ფანერა, სუნამოები, ტუალეტის წყალი და სხვა.

2024 წლის მეორე კვარტალში აშშ საქართველოსთვის არა მხოლოდ ვაჭრობის მიმართულებით იყო მოწინავე ქვეყანა, არამედ ქვეყანაში განხორცი-

ელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. აშშ 1997 წლიდან ანხორცი-
 ელებს ინვესტიციებს. აშშ-ს საქართველოსთან დადებული აქვს ორმხრივი
 საინვესტიციო შეთანხმება, რომელიც ეფექტიანი ინვესტირების ერთ-ერთი
 აუცილებელი წინაპირობაა და კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის მომგე-
 ბიან განაწილებას უწყობს ხელს. აშშ-ის ინვესტიციები იდებოდა ისეთ და-
 რგებში როგორიცაა: საფინანსო სექტორი, ტურიზმი, ჯანდაცვა, სოფლის მე-
 ურნეობა, მრეწველობა, განათლება, განახლებადი ენერგია, სასტუმროების
 მიმართულება და სხვა. აშშ 2024 წლის აპრილ-ივნისში, ინვესტორი ქვეყნების
 პირველ ათეულში მე-7 ადგილს იკავებდა. ამ პერიოდისთვის ქვეყანაში ჩადე-
 ბული ამერიკული ინვესტიციების მოცულობა შემცირებულია. საქართველოს
 სტატისტიკის მიხედვით, 2025 წლის 6 თვეში ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა
 დარგში ჩადებული ამერიკული ინვესტიციების მოცულობამ 52,1 მლნ დოლარი
 შეადგინა, მაშინ, როდესაც გასული წლის იანვარ-ივნისში 82,6 მლნ დოლარის
 ინვესტიცია ჩაიდო, ხოლო 2023 წელს ამერიკული ინვესტიციების მოცულობა
 წლიურად 182 მლნ დოლარს აღწევდა. აშშ პირველი იყო საქართველოში გა-
 დმორიცხული ფულადი გზავნილების რეიტინგშიც. 2024 წლის სექტემბერში
 ქვეყანაში სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან ფულადი გზავნილების სა-
 ხით 49 მლნ დოლარი შემოვიდა, რაც წინა წლის სექტემბრის მაჩვენებელს
 18%-ით აღემატებოდა. 2024 წლის იანვარ-სექტემბერში აშშ-დან საქართვე-
 ლოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მიხედვით, საქართველო მე-
 სამე ადგილს იკავებს რუსეთის და იტალიის შემდეგ. რაც შეეხება ტურიზმს,
 აშშ-დან საქართველოში მოგზაურობის მაჩვენებელი მცირეა, კერძოდ, 327
 მილიონიანი მოსახლეობის ქვეყნიდან 2024 წლის იანვარ-სექტემბერში სა-
 ქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლიურად 10,9%-ით
 გაიზარდა და შედეგად 48 004 ვიზიტორი ჩამოვიდა. ამ პროცესებს ხელის შე-
 წყობა და განვითარება სჭირდება, თუმცა, 3 წელია აშშ-საქართველოს სტრა-
 ტეგიული პარტნიორობის ჯგუფი არ შეკრებილა და აშშ-საქართველოს სტრა-
 ტეგიული პარტნიორობის ქარტიის - ორი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნე-
 ლოვანი ინსტრუმენტის, პლენარული სხდომა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრა
 ბოლო სამი წელია არ ჩატარებულა. ქარტია, რომელიც ორ ქვეყანას შორის
 თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს, აშშ-ის
 დედაქალაქ ვაშინგტონში, 2009 წლის 9 იანვარს, აგვისტოს ომიდან 5 თვეში
 გაფორმდა. (<https://Ka.m.wikipedia.org/wiki>) საქსტატის მონაცემების თანახ-
 მად, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში აშშ-ის კაპიტა-
 ლის მონაწილეობით სულ დარეგისტრირებული 1031 საწარმოდან, ამ ეტაპზე
 მოქმედია 276 საწარმო, მათ შორის 169 საწარმო- აშშ-ის კაპიტალით, 69 სა-
 წარმო- ქართულ-ამერიკული წილობრივი კაპიტალით, 6 საწარმო-ქართულ-ა-
 მერიკული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით, 32 საწარმო- ამერი-
 კული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით. ბოლო წლებში აშშ-სა
 და საქართველოს შორის ვაჭრობის ახალი მაქსიმუმები დაფიქსირდა. 2019

წელს 522 მლნ აშშ დოლარს მიაღწია ძირითადად ამერიკული პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე. ამ ეტაპისთვის საქართველოს აშშ-სთან ვაჭრობის ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმი გააჩნია, რაც 3 ათასზე მეტი დასახელების პროდუქტზე ვრცელდება. თავისუფალ ვაჭრობას ის უპირატესობა აქვს, რომ თითქმის ყველა დასახელების საქონელს შეეხება. ამის გარდა, ეს მუდმივმოქმედი რეჟიმი, რაც ინვესტორებისთვის სტაბილურობის გარანტიას ქმნის. 2019 წლის სტატისტიკით, აშშ-დან ინვესტორები საქართველოში ძირითადად დაინტერესებულები იყვნენ კავშირგაბმულობით, უძრავი ქონებით, მშენებლობით და სხვა დარგებით. აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივ სტრატეგიულ თანამშრომლობას არაჩვეულებრივად კარგი ისტორია აქვს, ასევე სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძველი გააჩნია. ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას დიდ პოტენციალი აქვს. აშშ-საქართველოს კიდევ უფრო გაზრდილი ეკონომიკური ურთიერთობები ხელს შეუწყობს საქართველოს უზრუნველყოფის სწრაფი განვითარება ეკონომიკის, პოლიტიკის, და უსაფრთხოების სფეროებში და ასევე გააძლიერებს მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ეს პოლიტიკა თავის მხრივ აშშ-ისთვის საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს პოზიციების გამყარებას სამხრეთ კავკასიაში, შავი ზღვის რეგიონსა და მთლიანად ევროპაში. (<https://bm.ge/news/>)

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ აშშ დოლარი)

ცხილი 1.


	მლნ აშშ დოლარი					
	2020	2021	2022	2023	2024	2025* წლის იანვარი- მაისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	11 389.4	14 341.1	19 122.2	21 697.5	23 447.5	9 790.6
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 340.6	4 242.5	5 582.5	6 086.4	6 558.7	2 594.5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	8 048.8	10 098.6	13 539.7	15 611.2	16 888.8	7 196.1
საგარეო ვაჭრობის სალდო	-4 708.1	-5 856.1	-7 957.2	-9 524.8	-10 330.1	-4 601.6
ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)	2436.7	3 167.1	3 729.3	2 861.8	2 993.0	1 169.8

* წინასწარი მონაცემები.

წყარო: geostat.ge <https://www.geostat.ge/ka/single-news/3345/>.

ცხრილი გვიჩვენებს საგარეო სავაჭრო ბრუნვას, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტს, იმპორტსა, საგარეო ვაჭრობის სალდოს და ადგილობრივ ექსპორტს (ექსპორტს რეექსპორტის გარეშე) 2020 წლიდან დღემდე. ცხრილიდან კარგად ჩანს როგორ იზრდება ექსპორტი და მასთან ერთად იმპორტი, ამიტომ, საგარეო ვაჭრობის სალდოს უარყოფითი დინამიკაც იზრდება. საქართველოს სულ 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა ჰყავდა 2024 წელს: თურქეთი, რუსეთი, აშშ, ჩინეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, სომხეთი, იაპონია (იხ. დიაგრამა 1)

დიაგრამა 1.



წყარო: geostat.ge (https://www.mof.ge/export_importis_informacia).

დიაგრამიდან 1 ჩანს, როგორი განსხვავებაა საქართველოს და აშშ-ის ექსპორტსა და იმპორტს შორის. ამ რიცხვების ურთიერთდამოკიდებულება კი ნაჩვენებია ცხრილში 2.

საინტერესოა როგორია საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი იმპორტში 2024 წელს (იხ. დიაგრამა 2).

ცხივი 2.


**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2024 წლის ბრუნვის მიხედვით**

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	6 560 376.9	100.0	16 874 881.3	100.0	23 435 258.1	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	458 378.6	7.0	2 770 068.1	16.4	3 228 446.7	13.8
რუსეთი	681 459.0	10.4	1 849 810.4	11.0	2 531 269.4	10.8
აშშ	141 046.3	2.1	2 047 270.0	12.1	2 188 316.4	9.3
ჩინეთი	303 133.9	4.6	1 612 282.8	9.6	1 915 416.7	8.2
გერმანია	53 463.8	0.8	1 312 808.7	7.8	1 366 272.5	5.8
აზერბაიჯანი	724 534.7	11.0	583 599.2	3.5	1 308 133.9	5.6
ყირგიზეთი	1 287 444.3	19.6	5 389.9	0.0	1 292 834.3	5.5
ყაზახეთი	859 946.0	13.1	62 069.8	0.4	922 015.8	3.9
სომხეთი	617 533.5	9.4	236 177.9	1.4	853 711.5	3.6
იაპონია	4 211.9	0.1	534 928.6	3.2	539 140.5	2.3
დანარჩენი ქვეყნები – სულ	1 429 224.9	21.8	5 860 475.6	34.7	7 289 700.5	31.1

წყარო: geostat.ge (https://www.mof.ge/export_importis_informacia).

გრაფიკა 2.

**უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში
2024* წელს**



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: geostat.ge (https://www.mof.ge/export_importis_informacia).

ცხილი 3.

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2024 წლის ექსპორტის მიხედვით**

	2023		2024*		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	6 086 416.7	100.0	6 560 376.9	100.0	7.8
მათ შორის:					
ყირგიზეთი	695 661.0	11.4	1 287 444.3	19.6	85.1
ყაზახეთი	703 175.3	11.6	859 946.0	13.1	22.3
აზერბაიჯანი	862 010.5	14.2	724 534.7	11.0	-15.9
რუსეთი	657 019.4	10.8	681 459.0	10.4	3.7
სომხეთი	787 159.9	12.9	617 533.5	9.4	-21.5
თურქეთი	409 439.7	6.7	458 378.6	7.0	12.0
ჩინეთი	310 888.4	5.1	303 133.9	4.6	-2.5
უზბეკეთი	115 484.1	1.9	146 920.7	2.2	27.2
აშშ	96 986.8	1.6	141 046.3	2.1	45.4
ბელგარეთი	249 959.7	4.1	124 307.3	1.9	-50.3
დანარჩენი ქვეყნები – სულ	1 198 631.8	19.7	1 215 672.5	18.5	1.4

წყარო: geostat.ge (https://www.mof.ge/export_importis_informacia).

ცხრილი 3-იდან ნათლად სჩანს აშშ-თან სავაჭრო პროცესები წლითი-წლობით როგორ იზრდება, განსაკუთრებით ექსპორტის მიმართულებით.

დასკვნა

აშშ-ის ეკონომიკასთან ურთიერთობებით, საქართველოს შეუძლია უფრო სწრაფად განავითაროს საკუთარი ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაზარდოს, ასევე მდგრადი განვითარება აჩვენოს. ეს აუცილებელია, რადგან დღეს ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველა ქვეყანა ცდილობს მოძებნოს ის გასაღები, რომლითაც გლობალურ სამყაროში წარმატებულად ადგილს დაიკავებს. ამისთვის აუცილებელია თანამედროვე ინოვაციების ჯეროვანი გამოყენება (მექაბიშვილი ე. 2025, 394) რათა გლობალურ სამყაროში შესაფერისი და იმავდროულად ღირსეული ადგილი მოიძებნოს. ქვეყნების ეკონომიკური წარმატება დაფუძნებული იყო მეცნიერებაზე, განათლებაზე, მაღალ ტექნოლოგიებზე. მათი გამოცდილება საქართველომაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს თავისი შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამეცნიერო თვალსაზრისით და შიდა კონიუნქტურის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

- ილია II, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე 2025
- ბერიძე თ. ეკონომიკური კვლევების ანთოლოგია, 2024, გვ.12,16. გამომცემლობა „უნივერსალი“
- მექვაბიშვილი ე. (2024). თეორიული ეკონომიკის ახალი პარადიგმების ძიებანი. გვ. 394. თსუ გამომცემლობა
- პაპავა გ. (2012). მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.5.
- ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობები <https://ka.wikipedia.org/wiki>
- აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. როგორია საქართველო-აშშ-ის ეკონომიკური კავშირი
- <https://www.geostat.ge/media>
- https://www.mof.ge/export_importis_informacia
- https://www.geostat.ge/ka/modules_categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

References:

- Ilia II Catholicos Patriarch of Georgia (2025). sakartvelos katolikos patriarkis saaghdgomo epistole [Easter Epistle] in Georgian
- Beridze T.(2024). ekonomikuri kvlevebis antologia [Anthology of Economic Research, p.12,16. Publishing House “Universal”] in Georgian
- Mekvabishvili E. (2024). teoriuli ekonomikis akhali paradigmebis dzieba. [Search for New Paradigms of Theoretical Economics. p. 394. TSU Publishing House] in Georgian
- Papava G. (2012). ekonomikuri realobisadmi morpologiuri midgoma. [Morphological Approach to Economic Reality. TSU Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, p.5.] in Georgian
- Relations between the United States and Georgia <https://ka.wikipedia.org/wiki>
- US-Georgia Charter on Strategic Partnership. What is the Georgia-US Economic Union? / <https://bm.ge/news/> <https://Ka.m.wikipedia>
- <https://www.geostat.ge/media>
- https://www.mof.ge/export_importis_informacia
- https://www.geostat.ge/ka/modules_categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

Georgia-US Economic Relations (Current Status and Prospects)

Rusudan Sirbiladze

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Rusudan.sirbiladze@tsu.ge

In studying the economy, it is essential to engage with reality – examining what is truly occurring both within the domestic sphere and in the broader context of international integration. Our research explores contemporary economic processes alongside emerging perspectives shaped by global interconnectedness. Economic existence, as we understand it, is transmitted across generations. According to the Holy Scriptures, God created man in His image within the visible world, appointing him as steward over the creatures. He endowed humanity with freedom and bestowed a unique dignity, entrusting individuals with the moral responsibility to choose between good and evil, life and death – decision left to the discretion of free will.

The nature of life, its security, and the fulfillment of ever-evolving human needs ultimately depend on individual agency. Economics provides a lens through which we understand how to align our developed needs with available opportunities, enabling us to live prosperously within an advanced society and pursue sustainable economic development. In this context, the human will is expressed through the heart, soul, mind, and word – each requiring thoughtful care and deliberate attention.

It is of particular importance to leverage existing economic processes in order to improve living standards. In pursuit of this goal, we examine potential avenues for integration with the United States economy – an approach that may offer valuable opportunities for strengthening domestic economic growth. Our analysis begins with foundational considerations. Economic growth stands in direct contrast to poverty, which is driven primarily by unemployment rather than a lack of industrial development. Rising global unemployment contributes to economic contraction and exacerbates socioeconomic disparities. Notably, inequality between countries is accelerating at an unprecedented rate. Whereas the previous century witnessed relatively few economic crises, the 21st century has been marked by increasing volatility, with major disruptions occurring approximately every 3 to 5 years.

Addressing economic crises has become a central challenge in the post-crisis period. The manner in which a crisis is managed and stabilized plays a decisive role in shaping the future development of the economy – both nationally and globally. On this scale, economic crises exert a detrimental impact on key indicators of growth,

particularly when industrial sectors are disrupted, production is halted, unemployment rises, job creation stalls, and inflation remains unchecked.

The proper development of Georgia's economy must serve as the fundamental objective, rationale, and instrument of economic activity. This entails enhancing export potential, revitalizing domestic production, redirecting financial resources from speculative trading toward the real economy, and fostering an innovative economic system grounded in contemporary scientific and technological advancements. Equally essential are the development of a socially oriented economic framework, the dismantling of monopolistic structures, and the establishment of a competitive environment that ensures equal opportunities for all economic actors. These processes are not merely aspirational – they constitute the foundational pillars for the sustainable and equitable development of Georgia's economy.

The economy is the driving force of social life; without it, the development of the country and overall progress is unattainable. Each day in a person's life is shaped by economic forces, influencing decisions, behaviors, and outcomes. At the same time, economy is a complex, dynamic, and inherently imprecise discipline – one that accommodates diverse perspectives and methodological approaches to the same issue. This complexity necessitates continuous research and critical analysis.

Economics encompasses all areas of public life and maintains constant interaction with various sectors. Strengthening the economy and thereby improving living standards – depends on the development, modernization, and integration of these interconnected sectors.

Economic development, in its fullest sense, must be grounded in Orthodox Christian values and closely linked to education and scientific advancement. The moral integrity of society, the cultivation of knowledge, and the pursuit of scientific progress are foundational objectives that the economy must serve. Moreover, the formation of a developed market economy requires the establishment and preservation of democratic governance its core principles. Within this framework, economic actors bear a distinct responsibility to uphold ethical standards and contribute to the collective well-being.

An economic actor must cultivate a strategic vision by aligning with the technologies and principles of a market economy, and by adopting behavior informed through cause-and-effect analysis. The underlying cause is the resolution of existing challenges to achieve economic stabilization; the desired effect is sustained economic growth within the framework of sustainable development. For a small country such as Georgia, attaining this progress is not feasible in isolation – it requires meaningful cooperation with international partners.

The United States maintains a close partnership with Georgia to advance shared security and counter-terrorism objectives. This collaboration includes bilat-

eral assistance in the security sector, notably through English-language instruction and military vocational training provided under the International Military Education and Training (IMET) program. The multi-year Georgia Train and Equip Program (GTEP), which concluded in 2004, successfully fulfilled its goals objectives.

The United States is among Georgia's largest trade partners and foreign investors. With a long-standing relationship across various sectors, the U.S. has implemented many programs to support Georgia's development and, in recent years, has emerged as one of the country's most significant economic allies. Our analysis examined Georgia's foreign trade turnover, including registered exports and imports of goods, as well as the overall trade balance. In 2024, Georgia's top 10 trading partners were: Turkey, Russia, the United States, China, Germany, Azerbaijan, Kyrgyzstan, Kazakhstan, Armenia, and Japan.

We conducted a detailed examination of Georgia's export-import dependencies and overall foreign trade turnover with its principle trading partners. This analysis included a review of the relative share of the largest export and import countries in Georgia's total trade volume. In 2024, the top 5 imported goods from the U.S. were as follows: Passenger cars – \$1.249 billion, 103,206 units

1. Hazelnuts and other nuts – \$18.6 million, 3,153 tons
2. Food products – \$5.3 million, 129 tons
3. Cosmetic products – \$4.6 million, 68 tons
4. Motorcycles and bicycles – \$4.4 million, 676 units

The top 5 exported goods to the U.S. were:

1. Ferroalloys – \$59 million, 48,056 tons
2. Natural grape wines – \$5.9 million, 994 tons
3. Aircraft parts – \$5.2 million, 23.9 tons
4. Steel pipes and tubes – \$4.9 million, 4,632 tons
5. Fruit and vegetable juices – \$3.8 million, 2,596 tons

Our analysis clearly demonstrates the steady growth of Georgia-U.S. trade over recent years, particularly in the area of exports. Such bilateral relations offer Georgia a valuable pathway for strengthening its economy and improving key economic growth indicators, thereby contributing to long-term sustainable development.

This is especially critical in the current era of globalization, where every country seeks to secure a meaningful and competitive position within the global world. Achieving this requires the strategic application of modern innovations and pursuit of a dignified and fitting role in the international arena. Countries that have achieved economic success have done so by grounding their development in science, edu-

cation, and advanced technologies. Georgia must similarly draw upon these principles – adapting them through its own political, economic, and scientific lens, and in alignment with its internal context. Such an approach will enable deeper integration with the United States and serve as a catalyst for sustained economic advancement.

Keywords: Economic integration, US economy, innovations, global challenges, exports, imports, foreign trade.

JEL Codes: O10, O11, O19, F14, F15

თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე

მაჩიამ ხორავა

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

mm.khorava@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.03

საქართველოს გეოპოლიტიკური გახეიმო უმნიშვნელოვანეს ხორს ასხედებს ქვეყნის ეკონომიკურ ფორმირებაში, ხადგან მას აქვს სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის. წინამდებარე კვლევა აანალიზებს თანამედროვე გეოპოლიტიკური ჰედობის გავლენას ეკონომიკური პოლიტიკის მხავადი მიმართულებით, ჰოგოხიცაა საქართველოს ეკონომიკურ ტრანეჟიკოია, ვაჭრობის დივერსიფიკაცია, პიხდაპიხი უცხოური ინვესტიციები (FDI), ენეჰგეტიკული უსაფხთხოება, ჰეგიონული კონფლიქტები, ინსტიტუციური ჰეფორმები და ინფრასტრუქტურული განვითარება.

მხავადმეთოდური მიდგომა ეკონომიკის გეოპოლიტიკური ჩაჩროს გამოყენებით აეითიანებს პოლიტიკის დოკუმენტების, ეკონომიკური ანგაჩიშების, სამეცნიერო დიგრაფიკისა და საეითაშოხისო შეთანხმებების თვისებრივ ანალიზს, მაკოეკონომიკური მაჩვენებლების, სავაჭრო მონაცემებისა და საინვესტიციო ტენდენციების ჰაოდენობრივ შეფასებასთან, მათ შორის, მსოფლიო ბანკის, საეითაშოხისო სავადუგო ფონდის (IMF) და ეკონომიკური თანამშოიმდობისა და განვითარების ოგანიზაციის (OECD) მონაცემებზე დაყდნობით.

კვლევის შედეგები აჩვენებს, ჰომ მიუხედავად სტრატეგიული პაჩგნიოხოობის, ჰეგუდახური ჰეფორმებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების მეშვეობით საქართველოს ეკონომიკური ზიდისა, ჰეგიონული კონფლიქტები, გაჩე დამოკიდებულებები და გლობალური ეკონომიკური გაუჰკვევლობები გიძედვადიანი მდგადობის ჰისკს ქმნის. ამასთან, ციფრული ტრანსფორმაცია, ჰეგიონული ეკონომიკური ოგანიზაციებთან თანამშოიმდობა და უსტონეთისა და დიეტუვას გამოცდილება ხაზს უსვამს ინსტიტუციური შესაძლებლობების, ინოვაციებზე ოჩინენტიხებული პოლიტიკისა და სტრატეგიული ეკონომიკური აღიანსების მნიშვნელობას ზიდის შენაჩუნებისთვის.

დასკვნის სახით წაჩმოდგენილია, ჰომ საქართველოს მდგადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად კიტიკულად მნიშვნელოვანია ჰეგიონული თანამშოიმდობა, ვაჭრობის დივერსიფიკაცია, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, ენეჰგეტიკული უსაფხთხოების გაძდიეება და ციფრული ეკონომიკის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ეკონომიკა, ეკონომიკური მდგა-
ლობა, ჰეგიონული კონფლიქტები, ინსტიტუციური ჰეფოხმები, ენეჰეტიკული
უსაფოხოება, ციფიული გიანსფოხმაცია.

შესავალი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა რუსეთს, თურქეთსა და
ევროკავშირს (EU) შორის, ისტორიულად განსაზღვრავდა მის ეკონომიკურ და
პოლიტიკურ განვითარებას. 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებ-
ლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანამ ეკონომიკური მოდერნიზაციის, დასავ-
ლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურული განვითარების
კურსი აირჩია. თუმცა, რეგიონული კონფლიქტები, ალიანსების ცვლილებები
და გლობალური ეკონომიკური რყევები კვლავ კვლავ მნიშვნელოვან გავლე-
ნას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე.

პოსტსაბჭოთა ეკონომიკური ტრანზიცია ხასიათდებოდა სტრუქტურული
რეფორმებით, პრივატიზაციითა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისკენ
მიმართული პოლიტიკით. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ
მისწრაფება, რაც გამოიხატება ისეთი შეთანხმებებით, როგორიცაა ევროკავ-
შირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA),
რა თქმა უნდა, თუ ეს შეთანხმება კვლავაც ძალაში დარჩება, ეკონომიკურ რე-
ფორმებსა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას უწყობს ხელს. მიუხე-
დავად ამისა, გეოპოლიტიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ
უსაფრთხოებასა და საინვესტიციო გარემოს სტაბილურობაზე.

კვლევაში ნაჩვენებია, თუ როგორ ახდენს თანამედროვე გეოპოლიტი-
კური ფაქტორები გავლენას საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, საინვესტი-
ციო გარემოზე, სავაჭრო დინამიკასა და საერთოდ ეკონომიკურ პოლიტი-
კაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონული კონფლიქტებისა და
გარე დამოკიდებულებების გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.
ამასთან, კომპლექსურადაა გაანალიზებული გეოპოლიტიკური რეალობების
გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე და მოიცავს შედარებებს
ევროპის სხვა მცირე, გეოპოლიტიკურად მგრძნობიარე ეკონომიკებთან.

კვლევის მიზანი მოითხოვს შემდეგი ძირითადი საკითხების განხილვას:

- როგორ გავლენას ახდენენ თანამედროვე გეოპოლიტიკური ფაქტო-
რები საქართველოს ვაჭრობაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და ეკონომიკური
განვითარების დინამიკაზე.

- რა არის საქართველოს გეოპოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირებული
ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები და რისკი.

- რა სტრატეგიების გამოიყენება შეუძლია საქართველოს ეკონომიკური
მდგრადობის გასაძლიერებლად, მათ შორის ვაჭრობის დივერსიფიკაციის,

ციფრული ტრანსფორმაციისა და რეგიონული პარტნიორობის გაღრმავების გზით.

- რისი გათვალისწინება შეუძლია საქართველოს ესტონეთისა და ლიეტუვას გამოცდილებიდან ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის სტრატეგიების დახვეწის მიზნით.

ჰიპოთეზები

- ▶ H1: საქართველოს ეკონომიკური ზრდა პოზიტიურ კავშირშია სავაჭრო დივერსიფიკაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებთან.

- ▶ H2: გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, განსაკუთრებით კონფლიქტები და გარე დამოკიდებულებები, უარყოფითად აისახება უცხოურ ინვესტიციებსა და ინვესტორთა ნდობაზე.

- ▶ H3: ციფრული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებაში და ამცირებს გარე მოწყვლადობას.

- ▶ H4: ესტონეთისა და ლიეტუვას გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და ინოვაციაზე ორიენტირებული პოლიტიკა გადამწყვეტია მცირე, გეოპოლიტიკურად მოწყვლადი ეკონომიკებისთვის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

თეორიული ჩარჩო

წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია გეოპოლიტიკური ეკონომიკისადმი მიდგომა, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ურთიერთობების და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიებს. კვლევაში გამოყენებულია უოლერსტეინის მსოფლიო სისტემების თეორია, კერძოდ კი ცენტრალური-პერიფერიული მოდელი (Wallerstein, 2004), რათა შეისწავლოს საქართველოს პოზიცია გლობალურ ვაჭრობაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ცენტრალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გამოწვევებსა და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საჭიროებაზე. გარდა ამისა, ბუზანის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია (Buzan, 1991), რაც გამოიყენება საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობის ანალიზისთვის ფართო გლობალურ სისტემაში.

საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის ლიტერატურაში, კერძოდ, ინსტიტუციური თეორიის შესახებ (Acemoglu & Robinson, 2012), ასახულია პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოს შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მმართველობის მოდელს, კორუფციის დონესა და პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე.

ელდარ ისმაილოვისა და აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ნაშრომი - „ცენტრალური ევრაზია: ახალი გეოპოლიტიკური გააზრება“, მნიშვნელოვან თეორიული ჩარჩოა საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური პოზიციის გასაანალიზებლად. ავტორები აყალიბებენ ცენტრალური კავკასიის კონცეფციას, როგორც განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეს, რაც მოითხოვს საქართველოს რეგიონული ძალაუფლების დაბალანსებას, ამასთანავე, საკუთარი როლის გამყარებას სტრატეგიული სატრანზიტო ჰაბის რანგში. ავტორები, ასევე, მიუთითებენ, რომ მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა აუცილებელია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც რეგიონში კონკურენცია ძლიერდება (პაპავა, ისმაილოვი 2012).

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ ანალიზს, რათა შესწავლილ იქნეს გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. მეთოდოლოგია მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

კვლევის დიზაინი

სტატიაში გამოყენებულია საძიებო კვლევის დიზაინი, რათა შეაფასდეს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულებები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ტენდენციებს აფორმირებენ. გეოპოლიტიკური ეკონომიკის ჩარჩო გამოიყენება მაკროეკონომიკური ინდიკატორების, პოლიტიკური დოკუმენტებისა და გეოპოლიტიკური მოვლენების ანალიზისთვის, რაც გავლენას ახდენს ვაჭრობასა და ინვესტიციებზე.

მონაცემების შეგროვება და ანალიზი

ნაშრომში გაანალიზებულია მონაცემები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციების განხილვისათვის.

- თვისებრივი მონაცემები მოპოვებულია პოლიტიკურ დოკუმენტებიდან, ეკონომიკურ ანგარიშებიდან, მთავრობის ოფიციალური განცხადებებიდან და აკადემიური ლიტერატურიდან, რომლებიც მოიცავს შემდეგ ინსტიტუტებს: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და საქართველოს ეროვნული ბანკი. გეოპოლიტიკურ ეკონომიკაზე, რეგიონულ ინტეგრაციასა

და მცირე სახელმწიფოების ეკონომიკურ სტრატეგიებზე ჩატარებული აკადემიური კვლევები უზრუნველყოფს ანალიზის თეორიულ საფუძველს.

- რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს (მაგალითად, მსპ-ის ზრდა, FDI-ს ტენდენციები, სავაჭრო მოცულობები), რომლებიც ხელმისაწვდომია მსოფლიო ბანკის, IMF-ის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ოფისის ანგარიშების მიხედვით. შედარებითი ანალიზი გამოიყენება ესტონეთისა და ლიეტუვას ეკონომიკური პოლიტიკების შესწავლისთვის, რათა გამოვლინდეს სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს რეალობაში.

ამგვარი სტრუქტურით, კვლევა უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკური მეზობლობის ყოვლისმომცველ შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც თვისებრივ, ასევე, რაოდენობრივ ანალიზს, რაც აუმჯობესებს შედეგების სანდოობას და ვალიდურობას. აღნიშნული შეხედულებები ქმნის საფუძველს ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციებისათვის, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკური მდგრადობისა და გლობალურ ბაზარზე სტრატეგიული პოზიციონირების გაძლიერებას.

შედეგები და განხილვა

მონაცემების და ანალიზის საფუძველზე კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის გეოპოლიტიკურ კონტექსტზე:

- ვაჭრობა და ინვესტიციების ტენდენციები: მონაცემები აჩვენებს მყარ კავშირს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობებსა და ვაჭრობის დივერსიფიკაციის ზრდას შორის. თუმცა, გარე დამოკიდებულებები, განსაკუთრებით რუსეთისა და თურქეთის ბაზრებზე, კვლავ ქმნის ეკონომიკურ რისკს.

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ეკონომიკური სტაბილურობა: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საკმაოდ მგრძნობიარეა გეოპოლიტიკური არასტაბილურობის მიმართ, რაშიც შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ვარდნა რეგიონში დაძაბულობის პერიოდში, მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

- გაციფრულება და ეკონომიკური მდგრადობა: საქართველოს ციფრული ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მდგრადობის მამოძრავებელი ძალა, ხელს უწყობს გარე დამოკიდებულებების შემცირებას და ინოვაციის დანერგვას.

- შედარებითი ანალიზი: ესტონეთისა და ლიეტუვას გამოცდილება ხაზს უსვამს ინსტიტუციური რეფორმების და ინოვაციური პოლიტიკის კრიტიკულ როლს, რაც უზრუნველყოფს ხანგრძლივი ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებას.

ამ შედეგების მიხედვით, ნათელია, რომ საქართველომ უნდა გაატაროს დაბალანსებული ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გააძლიერებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, ვაჭრობის დივერსიფიკაციასა და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას, რათა გააუმჯობესოს მდგრადობა გეოპოლიტიკური გაურკვევლობების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია და მოსალოდნელი შედეგები

ვაჭრობა და ეკონომიკური ინტეგრაცია: საქართველო აქტიურად ისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTA) მეშვეობით, მათ შორის განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ხელმოწერით ევროკავშირთან, ასევე, გაფართოებული პარტნიორობით ჩინეთსა და აშშ-თან. გარდა ამისა, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, როგორც რეგიონული სატრანსპორტო ჰაბი, ხელს უწყობს ვაჭრობას კავკასიის მასშტაბით. თუმცა, ვაჭრობის დივერსიფიკაცია კვლავაც გამოწვევაა ისტორიული ეკონომიკური დამოკიდებულებების გამო.

მაგალითად, 2006 წლის რუსული ემბარგო ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ეკონომიკაზე, რამაც გამოიწვია სტრატეგიული გადახრა ევროპული და აზიური ბაზრებისკენ (მსოფლიო ბანკი, 2023). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ვაჭრობის შეზღუდვებმა და გარე ეკონომიკურმა ზეწოლამ შესაძლოა გამოავლინოს მოწყვლადობა, რაც ხაზს უსვამს გრძელვადიანი დივერსიფიკაციის პოლიტიკის საჭიროებას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მას მნიშვნელოვან მოთამაშედ აქცევს რეგიონულ სავაჭრო ინიციატივებში, როგორიცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC) და ჩინეთის „სარტყელი და გზა“. (<https://civiciidea.ge/wp-content/uploads/2024/01/>) ამ ჩარჩოებში აქტიური ჩართულობითა და ადაპტირებული ვაჭრობის სტრატეგიის მიღებით საქართველოს შეუძლია გააძლიეროს რეგიონული კავშირები, მოიზიდოს მდგრადი ინვესტიციები და გააძლიეროს ეკონომიკური მდგრადობა.

აშშ-ის ვაჭრობის პოლიტიკისა და ინვესტიციის სტრატეგიების ცვლილებამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს აშშ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით უსაფრთხოების თანამშრომლობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის (FDI) სფეროებში. ისტორიულად, აშშ-ს დიდი როლი ჰქონდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის პრიორიტეტების განვითარება შეიძლება მოითხოვდეს რეგულირებას ბილატერალურ თანამშრომლობაში, საქართველო აქტიურად ინარჩუნებს ეკონომიკურ კავშირებს

აშშ-თან და განაგრძობს ვაჭრობისა და ინვესტიციების პარტნიორების დივერსიფიკაციას, რათა შეამციროს რისკი და გააძლიეროს ეკონომიკური სტაბილურობა (Carnegie Endowment for International Peace, 2023).

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) და ეკონომიკური ზრდა: 2024 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ დაახლოებით 966 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, კვარტალებს შორის ინვესტიციების ნაკადში მნიშვნელოვანი რყევები შეინიშნებოდა. კერძოდ, მეორე კვარტალში ინვესტიციების მოცულობა 10.3%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო პირველ და მესამე კვარტალში, ინვესტიციების ნაკადმა შესაბამისად - 64%-ით და 55.2%-ით იკლო (Geostat, 2024). მსგავსი ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან, მათ შორის რუსეთისა და უკრაინის ომთან, გლობალური ეკონომიკური ცვლილებებითა და ინვესტიციების შემფოთებით რეგიონული არასტაბილურობის მიმართ. ამ პირობებში, ინვესტიციებმა შესაძლოა შეაჩერონ მოგების რესტრუქტურიზაცია, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე.

მიუხედავად ინვესტიციების ზრდის შემთხვევებისა, სხვადასხვა პერიოდის შედეგების დაპირისპირებამ ნათლად აჩვენა, რომ ეკონომიკური სტაბილურობა და გლობალური ეკონომიკური ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციების ნაკადებზე. ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესები პირდაპირ დამოკიდებულია არამხოლოდ შიდა, არამედ, გლობალურ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პირობებზე.

გამოწვევების მიუხედავად, საქართველო განაგრძობს რეფორმებს, რაც მიზნად ისახავს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, მათ შორის რეგულაციური გამჭვირვალობის, ფინანსური სექტორის მდგრადობისა და სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორობების გაძლიერების გზით. უცხოური ინვესტიციების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციების წყაროების დივერსიფიკაცია, ინსტიტუციური ჩარჩოების გამყარება და ინვესტიციების ნდობის გაზრდა პოლიტიკის პროგნოზირებადობის საშუალებით. მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, უცხოური ინვესტიციები თითქმის 60%-ით შემცირდა ინვესტიციების მხრიდან გაურკვევლობის გამო (Papava, 2010). შემდგომში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, როგორიცაა კორპორატიული გადასახადების შემცირება და რეგულაციური გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ინვესტიციური მიმზიდველობის აღდგენაში. შედარებით ანალიზში, რომელიც მოიცავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის

ქვეყნებს, ნათლად ჩანს, რომ სამართლებრივი სტაბილურობა და პოლიტიკის პროგნოზირებადობა დიდ გავლენას ახდენს უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე (EBRD, 2022).

აშშ კვლავ რჩება საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ინვესტორად და მხარს უჭერს იმ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას (U.S. Department of State, 2023; IMF, 2022). დონალდ ტრამპის პრეზიდენტად დაბრუნება განაახლებს აშშ-ის ეკონომიკური ჩართულობის საკითხს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტიციების მიმართულებებზე, განსაკუთრებით ენერგეტიკის, ციფრული ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის სექტორებში. გლობალური ეკონომიკური გარემოს ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველომ უნდა მიაღწიოს ბალანსს დასავლეთისგან მიღებული ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებაში, თუმცა, უნდა გააფართოოს სტრატეგიული პარტნიორობები ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

დაბალანსებული და დივერსიფიცირებული საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც დაეყრდნობა რეგულაციურ პროგნოზირებადობას, სექტორულ დივერსიფიკაციასა და სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპებს, უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას გეოპოლიტიკური გაურკვევლობების პირობებში.

ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციები საქართველოში: საქართველო ციფრულ ტრანსფორმაციას მიიჩნევს როგორც ეკონომიკური დივერსიფიკაციის ძირითად ელემენტს და ამ კონტექსტით პოზიციონირებს როგორც რეგიონული ტექნოლოგიური ჰაბი, რომელიც იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს ფინტექსა და უახლესი ტექნოლოგიების მიმართულებით. ფინტექ - სტარტაპებისთვის შექმნილი ლიბერალური რეგულატორული გარემო, რომლის ნაწილია ციფრული ბიზნესებისთვის საგადასახადო შეღავათები, ხელს უწყობს სექტორის ზრდას და ამაღლებს საქართველოს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის (National Bank of Georgia, 2023).

საქართველოს ციფრული მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიღწევას ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე დამყარებული მინის რეგისტრაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური გამჭვირვალობის გაზრდას, ბიუროკრატიული პროცესების გამარტივებას და უწყებათაშორისი ნდობის გაძლიერებას. აღნიშნული ინიციატივა წარმოაჩენს საქართველოს როგორც ციფრული მმართველობის ლიდერს და აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიამ გააუმჯობესოს ადმინისტრაციული ეფექტურობა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, გამოწვევები რჩება მაღალტექნოლოგიური ექსპორტის გაფართოებასა და ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ციფრული ეკონომიკის სრულ ინტეგრაციაში.

გრძელვადიანი ციფრული სექტორის მდგრადი განვითარებისათვის საქართველო:

► განახორციელებს ორიენტირებულ ინვესტიციებს კვლევისა და განვითარების (R&D) სფეროში, რათა გაზარდოს ტექნოლოგიური ინოვაცია და ციფრული კონკურენტუნარიანობა;

► გააძლიერებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს მაღალი ღირებულების უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

► გააფართოვებს ციფრულ ინფრასტრუქტურას და ხელოვნური ინტელექტით გათვალისწინებულ საჯარო სერვისებს, რათა ის დაემთხვეს გლობალურ ციფრულ სტანდარტებს.

ესტონეთის ელექტრონული მმართველობის მოდელის გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები გვიჩვენებს, რომ რეგულაციების შემდგომი დახვეწა, საჯარო-პირადი პარტნიორობების გაძლიერება და მიზნობრივი პოლიტიკის სტიმულირება, კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს პოზიციას ციფრულ ეკონომიკაში გლობალურ ასპარეზზე. უახლესი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობა დაეხმარება საქართველოს ინოვაციებზე დაფუძნებული ზრდის მოდელისკენ სვლაში და მისი გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებაში.

საქართველოს საერთაშორისო ციფრულ რეიტინგებში მოხვედრა საჭიროებს სისტემურ რეფორმებს, მათ შორის, ციფრული განათლების გაუმჯობესებას, სტარტაპების მხარდაჭერას და ინვესტიციების მოზიდვას. ბედინაშვილის, ჟოსანის და ლავრენკოს (2022) კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინამ ამ მიმართულებით გადაადგა კონკრეტული ნაბიჯები, ხოლო საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსგავსი მოდელის ადაპტაციით (Bedianashvili, Zhosan, & Lavrenko, 2022)

ენერგეტიკული უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურა: საქართველოს სტრატეგიული როლი, როგორც რეგიონული ენერგეტიკული სატრანზიტო ჰაბი, გაძლიერდა ისეთი ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტებით, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) მილსადენი და სამხრეთის გაზის დერეფანი. ამ ინიციატივებმა გააძლიერა საქართველოს რეგიონული ენერგეტიკული უსაფრთხოება და ეკონომიკური პოზიციონირება. ამავდროულად, გააძლიერა მისი როლი ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაში (BP, 2022). თუმცა, გარე ენერგეტიკული ბაზრის რყევები და გეოპოლიტიკური დაძაბულობა მოითხოვს ადაპტირებულ პოლიტიკას გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ამის საპასუხოდ, საქართველომ პრიორიტეტი მიანიჭა განახლებადი ენერგიის წყაროების გაფართოებას, მათ შორის - ჰიდროენერგეტიკას, ქარისა და მზის ენერგიას. ეს ძალისხმევა ასახავს პროაქტიურ მიდგომას გარე ენერგომომარაგებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად გლობალური მდგრადო-

ბის მიზნებთან შესაბამისობით. მეტი ენერგეტიკული მდგრადობის მისაღწევად საქართველომ უნდა განსაზღვროს დაბალანსებული სტრატეგია, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას, გარემოს მდგრადობას და მიზნობრივ უცხოურ ინვესტიციებს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში (Melua, 2021).

ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღმა, საქართველოს შუა დერეფნის ინიციატივამ - კრიტიკულმა სავაჭრო მარშრუტმა, რომელიც ცენტრალურ აზიასა და ევროპას კავკასიის გავლით აკავშირებს, სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით გამოწვეული ტრადიციული სავაჭრო გზების შეფერხების გამო. ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსი (BTK) რკინიგზა და შემოთავაზებული ანაკლიის ღრმანყოფილება პორტი, აუცილებელია საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური და ლოგისტიკური ხედვისათვის.

სატრანზიტო ჰაბის როლის გასაძლიერებლად, საქართველომ მიიღო ევროკავშირის მხარდაჭერით ინფრასტრუქტურის დაფინანსება ალტერნატიული ლოგისტიკური დერეფნების განვითარებისთვის. ფოთის პორტის შემოთავაზებული გაფართოება და აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრომობილუ გზების ქსელების განახლება მიზნად ისახავს ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო კავშირის გაძლიერებას. გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა საჭიროებს სატრანსპორტო ქსელების მოდერნიზებას, მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებას და ინფრასტრუქტურის განვითარებაში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდას.

გეოპოლიტიკური მდებარეობის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე

რეგიონული კონფლიქტები და ეკონომიკური სტაბილურობა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობა განაგრძობს საქართველოს ეკონომიკური ტრეექტორიის ფორმირებას, გავლენას ახდენს ინვესტიციების ნდობაზე, სავაჭრო პოლიტიკასა და რესურსების განაწილებაზე (Caucasus Research Resource Centers, 2023). აღნიშნულ კონფლიქტებში პერიოდული ესკალაცია ქმნის მაკროეკონომიკურ გაურკვევლობას, აფერხებს გრძელვადიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) და ზრდის სახელმწიფო დანახარჯებს უსაფრთხოებაზე.

საქართველოს უსაფრთხოება და ეკონომიკური პერსპექტივა შემდგომში ყალიბდება უფრო ფართო გეოპოლიტიკური დინამიკით, განსაკუთრებით აშშ-ის ჩართულობით აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში (North Atlantic Treaty Organization, 2023; Eurasia Group, 2023). ნატოს გაფართოებისა და რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობისადმი აშშ-ის მხარდაჭერის ხარისხი პირ-

დაპირ გავლენას ახდენს საქართველოს გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე და ინვესტიორების განწყობაზე. რეგიონში აშშ-ს გავლენის შემცირებამ შეიძლება შეცვალოს ძალთა ბალანსი, გაზარდოს რუსეთის გავლენა სავაჭრო მარშრუტებზე, ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურასა და საგარეო პოლიტიკაზე. საპასუხოდ, საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს პროაქტიური დიპლომატიური და ეკონომიკური სტრატეგია, გააძლიეროს რეგიონული ალიანსები, გააფართოოს სავაჭრო პარტნიორობა და ხელი შეუწყოს შიდა ეკონომიკურ გაჯანსაღებას საგარეო რისკის შემცირების მიზნით.

საქართველო სტრატეგიულად თანამშრომლობს სხვადასხვა რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციასთან, რათა გააძლიეროს ვაჭრობა, ინფრასტრუქტურული პროექტები და ეკონომიკური ინტეგრაცია. თუმცა, ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ინტეგრაციის დაბალანსება, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნებით, კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

ესტონეთი და ლიეტუვა წარმოადგენს იმ ქვეყნებს, რომლებიც წარმატებით გაერთიანდნენ ევროკავშირში და ინარჩუნებენ დივერსიფიცირებულ სავაჭრო ურთიერთობებს. ეს მაგალითი ხაზს უსვამს საქართველოს პოტენციალს გააძლიეროს ინსტიტუციური შესაძლებლობები რეგიონული ეკონომიკური ქსელების გამოყენებისას. სავაჭრო პოლიტიკის, საინვესტიციო კლიმატის რეფორმებისა და ინსტიტუციური მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის მიღებით, საქართველოს შეუძლია რეგიონული ეკონომიკური პოზიციების გაძლიერება და გრძელვადიანი სტრატეგიული მოქნილობის შენარჩუნება.

გლობალური ეკონომიკური კრიზისების პირობებში სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ უსაფრთხოებაში კიდევ უფრო მძაფრდება. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკური მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და სტრატეგიული ეკონომიკური დაგეგმვა. პროფ. ე. მექვაბიშვილი აღნიშნავს, რომ მცირე ეკონომიკებისთვის, როგორცაა საქართველო, გლობალიზაციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს გრძელვადიანი სტაბილური პოლიტიკის ჩამოყალიბებას (მექვაბიშვილი, 2019).

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე ჩამოყალიბდა ლიბერალური ბაზრის პრინციპებით, სტრუქტურული რეფორმებით და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მცდელობებით. ევროატლანტიკური მისწრაფებების შესაბამისად, საქართველომ გაათანაბრა თავისი ეკონომიკური ჩარჩო ევროპულ სტანდარტებთან, ახორციელებს რა საკვანძო რეფორმებს ანტიკორუფციულ ღონისძიებებში, საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაში (პაპავა, 2018). ამ რეფო-

რმებმა ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და გაზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI). თუმცა, საქართველო კვლავ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით ეკონომიკური ლიბერალიზაციის და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკასთან დაბალანსების თვალსაზრისით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (NBS) გადამწყვეტი როლი ითამაშა ფინანსურ სტაბილურობაში, ინფლაციის მიმართ გათვლილი მონეტარული პოლიტიკის დანერგვით და საბანკო სექტორის მდგრადობის გაძლიერებით ევროკავშირის ფინანსური რეგულაციების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზომებმა გააძლიერა ინვესტიციების ნდობა და ფინანსური სექტორის გამჭვირვალობა, მუდმივი ინფლაციური ზეწოლა, ვალუტის კურსის რყევები და გლობალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა ახალ გამოწვევებს ქმნის. ამის საპასუხოდ, ბოლოდროინდელი პოლიტიკის კორექტირება - მათ შორის სავალუტო ინტერვენციები და უფრო მკაცრი ფისკალური რეგულაციები - ასახავს საქართველოს ძალისხმევას საგარეო ფინანსური რისკის შერბილებისა და ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამასთან, აკად. ვლადიმერ პაპავა საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს ეკონომიკური იზოლაციისა და საგარეო დახმარებაზე ზედმეტად დამოკიდებულების შესახებ, ნაცვლად ამისა, ემხრობა ეკონომიკურ პრაგმატიზმს - პოლიტიკის მიდგომას, რომელიც აბალანსებს ეკონომიკურ ღიაობას შიდა თვითკმარობასთან (პაპავა, 2018). ეს პერსპექტივა ხაზს უსვამს დასავლეთის ეკონომიკებთან ინტეგრაციის მნიშვნელობას მეზობელ სახელმწიფოებთან სტრატეგიული ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებისას. საქართველომ უნდა მიიღოს ორმხრივი სტრატეგია, გააძლიეროს ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმები და უზრუნველყოს ეკონომიკური დივერსიფიკაცია ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდა, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას მუდმივი ადაპტაციის საჭიროებას უქმნის. გველესიანი და ბედიაშვილი (2023) მიუთითებენ, რომ ასეთ გარემოში ქვეყნისთვის გადამწყვეტია კრიზისების ადრეული იდენტიფიკაცია, პრევენციული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკური მდგრადობის გასაზრდელად გრძელვადიანი სტრატეგიების დანერგვა (Gvelesiani & Bedianashvili, 2023, p. 15).

გამოწვევები და შესაძლებლობები: გეოპოლიტიკური გაურკვევლობის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკური მომავალი პერსპექტიული რჩება, განპირობებული მისი სტრატეგიული მდებარეობით, ციფრული ეკონომიკის გაფართოებით და რეგიონულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. თუმცა, გლობალური ეკონომიკური გამოწვევები, მათ შორის, ინფლაციური ზეწოლა, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები და COVID-19 პანდემიის ხანგრძლივი შედეგები, კვლავაც ქმნის რისკს მდგრადი ზრდისთვის.

რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო გაამძაფრა გეოპოლიტიკური დაძაბულობა, გავლენა მოახდინა რეგიონულ სავაჭრო მარშრუტებსა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ავტომატიზაციის სწრაფი წინსვლა ცვლის შრომის გლობალურ ბაზრებს, ქმნის როგორც გამოწვევებს, ასევე შესაძლებლობებს საქართველოს სამუშაო ძალისთვის და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისთვის.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით, საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა მოსალოდნელია ზომიერ დონეზე პოტენციური რყევებით, რაც გავლენას მოახდენს რეგიონის სტაბილურობასა და უცხოური ინვესტიციების ტენდენციებზე. გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საქართველოში პრიორიტეტული უნდა იყოს:

- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება მმართველობისა და მარეგულირებელი ჩარჩოების გასაძლიერებლად.
- ინოვაციებისა და ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა გლობალური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.
- სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის დივერსიფიკაცია გარე ეკონომიკური დამოკიდებულების შესამცირებლად (ADB, 2023).
- ეკონომიკური პარტნიორობის გაფართოებითა და განვითარებად ტექნოლოგიურ ტენდენციებთან ადაპტაციით, საქართველოს შეუძლია შეამსუბუქოს სხვადასხვა გარე რისკი და შეინარჩუნოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა.

კვლევაში ხაზგასმულია გეოპოლიტიკური ფაქტორების კრიტიკულ როლზე საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის დივერსიფიკაცია და ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს შესაძლებლობებს, მუდმივი რეგიონული კონფლიქტები და არც თუ სასურველი დამოკიდებულებები წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებს. ეკონომიკური მდგრადობის გასაზრდელად, შემოთავაზებულია ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგი რეკომენდაციები:

- ვაჭრობის დივერსიფიკაციის სრულყოფა – ეკონომიკური კავშირების გაძლიერება აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებთან, ევროკავშირსა და რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულების შესამცირებლად (World Bank, 2023).
- უცხოური ინვესტიციების მიმზიდველი გარემოს შექმნა – სამართლებრივი სტაბილურობის გაუმჯობესება, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და ინვესტორების ნდობის ხელშეწყობა მარეგულირებელი გამჭვირვალობის მეშვეობით (EBRD, 2022).
- ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიების შემუშავება – განახლებადი ენერგიის ინიციატივების გაფართოება ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად (Melua, 2021).

• რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება – საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად (Caucasus Research Resource Centers, 2023).

• გაციფრულებისა და ინოვაციების დაჩქარება – ინვესტიცია მაღალტექნოლოგიურ სექტორებსა და ციფრულ ინფრასტრუქტურაში მდგრადი ზრდის სტიმულირებისთვის (National Bank of Georgia, 2023).

ყოველივე აღნიშნულის განხორციელებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს თავისი ეკონომიკური სტაბილურობა, ინვესტორების ნდობა და დამკვიდრდეს გლობალურ ეკონომიკაში მდგრად მოთამაშედ.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკური განვითარება კვლავ მნიშვნელოვნად არის გადაჯაჭვული მის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტთან. ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ეკონომიკურ რეფორმებში, ინვესტიციების მოზიდვასა და სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაციაში. თუმცა, მუდმივი რეგიონული კონფლიქტები, ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევები და საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულება კვლავაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხებს. გარდა ამისა, გლობალურმა ეკონომიკურმა შეფერხებებმა, ახალი სირთულეები შეჰმატა საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას.

საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობა დამოკიდებულია ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებაზე, განსაკუთრებით - ფინანსური მმართველობის, ანტიკორუფციული აღსრულებისა და მარეგულირებელი გამჭვირვალობის სფეროში. ძირითადი პრიორიტეტებია:

1. რეგიონული თანამშრომლობა: დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირების გაძლიერება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ფარგლებში გეოპოლიტიკური რისკის შესამცირებლად.

2. ვაჭრობის დივერსიფიკაცია: ბაზრის ხელმისაწვდომობის გაფართოება ევროკავშირისა და რუსეთის ფარგლებს გარეთ - აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკებთან კავშირების გაძლიერებით.

3. საინვესტიციო კლიმატი: სამართლებრივი პროგნოზირებადობის გაძლიერება და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება მდგრადი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

4. ენერგეტიკული უსაფრთხოება: მწვანე ენერგიაზე გადასვლის დაჩქარება გარე დამოკიდებულების შესამცირებლად.

5. ციფრული ეკონომიკა: ინოვაციების ხელშეწყობა ფინტექ პოლიტიკისა და ციფრული მმართველობის რეფორმების მეშვეობით.

საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ გადამწყვეტ როლს შეასრულებს ინფლაციის სტაბილიზაციასა და მაკროეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფაში. ესტონეთისა და ლიეტუვას მაგალითზე - ორი ქვეყანა, რომლებიც წარმატებით გადავიდნენ ევროკავშირში ინტეგრაციაზე ციფრული ინოვაციების, ფინანსური გამჭვირვალობისა და სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით - საქართველოს შეუძლია გააძლიეროს საკუთარი ინსტიტუციური მდგრადობა. ესტონეთის ელექტრონული მმართველობის მოდელი (Kalvet, 2018), და მათი ძლიერი დამწყები ეკონომიკები (OECD, 2022) იძლევა მნიშვნელოვან საგზაო რუკებს საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციისთვის.

რამდენადაც საქართველო მოძრაობს თავის განვითარებად ეკონომიკურ ლანდშაფტზე, ქვეყანაში პოლიტიკის გამტარებლები გააგრძელებენ დაბალანსებულ მიდგომას რეგიონული ჩართულობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო პარტნიორობის შესაბამისობას ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიასა და ეროვნულ ინტერესებთან. ესტონეთსა და ლიეტუვაში წარმატებულ ეკონომიკური ტრანსფორმაციის მაგალითზე, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს ინსტიტუციური გამჭვირვალობა, სრულყოს საკანონმდებლო ბაზა და მოიზიდოს დივერსიფიცირებული საინვესტიციო წყაროები გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობისთვის.

სწრაფად განვითარებად გლობალურ ეკონომიკაში, საქართველომ უნდა განსაზღვროს წინდახედული ეკონომიკური სტრატეგიები, პრიორიტეტული იყოს ციფრული ტრანსფორმაცია, მწვანე ენერგიის ინვესტიციები და უფრო ღრმა ევროპული ეკონომიკური ინტეგრაცია. თავისი სტრატეგიული მდებარეობის, დიპლომატიური კავშირების ხელშეწყობით და თანმიმდევრული პოლიტიკის უზრუნველყოფით, საქართველოს შეუძლია წარმოჩინდეს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ კერად კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც.

ლიტერატურა:

- ისმაილოვი ა., & პაპავა ვ. (2012). ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება. გამომცემლობა ინტელექტი.
- Ismailov A., & Papava V. (2012). tsentraluri evrazia: akhali geopolitikuri gageba. [Central Eurasia: A New Geopolitical Understanding. Publishing House "Intellecti".] in Georgian
- მექვაბიშვილი ე. (2019). სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი, #8, 22-33. <https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002>
- Mekvabishvili E. (2019). sakhelmtsipos ekonomikuri roli globalizatsiis pirobebshi. [The Economic Role of the State in the Conditions of Globalization. Globalization and Business, #8, 22-33.] in Georgian <https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002>

- Acemoglu D., & Robinson J. A. (2012). Why Nations Fail: the Origins of Power, Prosperity, and Poverty. Crown Publishing Group.
- Asian Development Bank. (2023). Georgia Economic Outlook. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/27765/geo-2023.pdf>
- Bedianashvili G., Zhosan H., & Lavrenko S. (2022). Modern Digitalization Trends of Georgia and Ukraine. Scientific Papers Series: Management, Economic Engineering in Agriculture and Rural Development, 22(3), 57–73. <https://www.researchgate.net/publication/364652680>
- BP. (2022). BP Energy Outlook 2022: Transitioning Global Energy Markets. <https://www.bp.com>
- Buzan B. (1991). People, States and Fear: an Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era. Harvester Wheatsheaf.
- Carnegie Endowment for International Peace. (2023). The Future of U.S.-Georgia Relations Under Shifting Global Power Dynamics. <https://carnegieendowment.org>
- Caucasus Research Resource Centers. (2023). Regional Security and Economic Development in Georgia. <https://www.crrcaucasus.org>
- Council on Foreign Relations. (2023). U.S. Foreign Policy Under Trump: Economic and Security Implications for Eastern Europe. <https://www.cfr.org>
- European Bank for Reconstruction and Development. (2022). Georgia Investment Climate Report. <https://www.ebrd.com>
- European Commission. (2022). Cohesion Policy Support for Estonia and Lithuania. <https://ec.europa.eu>
- Eurasia Group. (2023). U.S.-Russia Relations and Their Impact on Eastern Europe. <https://www.eurasiagroup.net>
- Geostat. (2024). Foreign Direct Investments – Q1-Q3 2024. National Statistics Office of Georgia. <https://www.geostat.ge/media/67401/Foreign-Direct-Investments---Q3-2024.pdf>
- Gvelesiani R., & Bedianashvili G. (2023). Methods of Assessing Economic Situation and Development. Journal of Innovative Economics and Management, 10(2), 6–17. <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.6-17>
- International Energy Agency. (2022). World Energy Outlook 2022. <https://www.iea.org>
- International Monetary Fund. (2021). Euro Adoption and Financial Stability in Lithuania. <https://www.imf.org>
- International Monetary Fund. (2022). Foreign Direct Investment Trends in Emerging Markets. <https://www.imf.org>
- International Monetary Fund. (2023). Georgia Economic Assessment. <https://www.imf.org>
- International Trade Administration. (2022). U.S. Trade Policy and Its Impact on Strategic Partners. U.S. Department of Commerce. <https://www.trade.gov>
- Kalvet T. (2018). Digital Transformation in Estonia: The Success of E-Governance. Tallinn University of Technology.
- Khundadze N. (2020). Tourism and Economic Growth in Georgia. Journal of Economic Development Studies, 45(2), 113–132.
- Melua M. (2021). Energy Policy and Infrastructure Development in Georgia. Georgian Institute for Policy Studies.
- National Bank of Georgia. (2023). Monetary Policy and Financial Stability Report. <https://www.nbg.gov.ge>

- North Atlantic Treaty Organization. (2024). Relations with Georgia. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm
- Organisation for Economic Co-operation and Development. (2022). Start-Up Ecosystem and Innovation Policies in Estonia. <https://www.oecd.org>
- Papava V. (2010). The Economic Development of Post-Revolution Georgia: Reform Challenges and Outcomes. *Caucasus Review of Economics and Business*.
- Papava V. (2018). *Becoming European: Challenges for Georgia's Economic Development*. Georgian Foundation for Strategic and International Studies.
- U.S. Department of State. (2023). 2023 Investment Climate Statement: Georgia. <https://www.state.gov/reports/2023-investment-climate-statements/georgia/>
- World Bank. (2023). Georgia Country Report. <https://www.worldbank.org>
- World Economic Forum. (2023). Economic Resilience in Post-Soviet States. <https://www.weforum.org>

Contemporary Geopolitical Reality and Its Impact on Georgia's Economic Development

Mariam Khorava

Doctoral Student

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Mariami.khorava392@eab.tsu.edu.ge

Georgia's geopolitical position between Russia, Turkey, and the European Union (EU) has long shaped its economic and political trajectory. Since regaining independence from the Soviet Union in 1991, the country has actively pursued economic modernization, integration with Western institutions, and infrastructure development. However, regional conflicts, shifting alliances, and global economic fluctuations continue to impact Georgia's development.

The post-Soviet economic transition was characterized by structural reforms, privatization, and policy shifts aimed at establishing a market-driven economy. Georgia's aspirations toward Euro-Atlantic integration, reflected in agreements such as the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) with the EU, have spurred economic reforms and expanded trade. Yet, geopolitical landscapes have posed significant challenges to economic stability and investor confidence.

Georgia's strategic location between Europe and Asia plays a pivotal role in shaping its economic trajectory, providing opportunities for trade diversification, regional connectivity, and foreign investment. According to GeoStat, the country attracted approximately 1 333.8 million USD in foreign direct investment (FDI) in

early 2024, underscoring both its appeal to investors and the volatility stemmed from geopolitical instability. This includes disruptions linked to the Russia-Ukraine war and ongoing regional tensions in Abkhazia and South Ossetia. Such instability, compounded by external dependencies, continues to undermine long-term economic resilience by discouraging sustained FDI flows and contributing to fiscal uncertainty.

To mitigate these risks, the analysis underscores the importance of comprehensive institutional reforms – enhancing governance, ensuring legal predictability, and strengthening anti-corruption efforts to foster a more favorable investment climate. It also advocates for accelerating digital transformation, positioning Georgia as a regional technology hub through innovation, expanded digital infrastructure, and increased investment in research and development. Drawing inspiration from Estonia's e-governance model and Lithuania's integration strategies, the document highlights how targeted public-private partnerships, regulatory clarity, and support for high-value sectors can boost economic competitiveness and adaptability.

Energy independence is regarded as a critical priority. The recommendation is to expand renewable energy sources – particularly hydropower, wind, and solar - to stimulate economic growth and reduce vulnerability to external shocks. Infrastructure modernization, including the development of deep-water ports and the expansion of regional transport corridors, is seen considered essential for strengthening Georgia's role as a transit hub and deepening its integrating with global markets.

In summary, Georgia's path to sustainable development hinges on coordinated reforms: diversifying trade and investment, accelerating digital and green transitions, reinforcing institutional capacity, and adopting adaptive strategies modeled on peer Baltic states. This integrated approach will bolster resilience to regional uncertainties and foster stable, inclusive economic growth.

Keywords: Geopolitical economy, economic sustainability, regional conflicts, institutional reforms, energy security, digital transformation.

JEL Codes: O10, O20, O30, O52, Q40

წრიული ეკონომიკა, როგორც მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმა

ელენე კობახიძე

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

Elene.kobakhidze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.04

ნაშრომი მიმოიხილავს წიხური ეკონომიკის კონცეფციას, როგორც მდგრადი განვითარების ინოვაციური და ტრანსფორმაციული პარადიგმის, რომელიც პასუხობს თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს – ბუნებრივი რესურსების ამოწურვას, გახეობის დაბრუნებას, ეკოსისტემების დეგრადაციასა და კლიმატის ცვლილებებს. გრძელვადიანი (საზოგადოებრივი) ეკონომიკის მოდელის შეზღუდვების ანალიზი ცხადყოფს ადგილობრივი სისტემების დანერგვის აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან მართვასა და ეკოლოგიურ ბალანსს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო აკადემიური წყაროების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და თეორიული მოდელების სიღრმისეულ ანალიზს (Geissdoerfer et al., Kirchherr et al., Ellen MacArthur Foundation), რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს წიხური ეკონომიკის სტრუქტურა, ძირითადი პრინციპები და მისი კავშირი მწვანე ეკონომიკასთან. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ წიხური ეკონომიკა სტიმულირებს ნაჩვენებების მართვის ტექნიკურ მიდგომებს და მოიცავს სისტემურ ტრანსფორმაციას, ინოვაციური დიზაინს, ბიზნეს-მოდელების მოდერნიზაციასა და ბუნებრივი სისტემების აღდგენას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „საწყისიდან საწყისამდე“ (C2C) კონცეფციისა და „R“-პრინციპების პრაქტიკულ ინტეგრაციას, როგორც მდგრადი განვითარების საფუძველი. სტატიაში გაკეთებული დასკვნის თანახმად, საქართველოში წიხური ეკონომიკის წარმატებული განხორციელება საჭიროებს ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებას, ინოვაციებისა და განათლების განვითარებას, კუჩრო სექტორისა და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტიან მიღწევას.

საკვანძო სიტყვები: წიხური ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, საქართველო, ინოვაცია, ეკოდიზაინი.

შესავალი

თანამედროვე გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების ფონზე სულ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნა ისეთ ეკონომიკურ მოდელებზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. ტრადიციული

ხაზოვანი ეკონომიკის მოდელი, რომელიც ეფუძნება რესურსების მოპოვება-გამოყენება-გადაყრის ციკლს, გრძელვადიან პერსპექტივაში ინვეს ბუნებრივი რესურსების ამონურვას, ეკოსისტემების დეგრადაციას და კლიმატურ ცვლილებებს.

აღნიშნულ გამოწვევების საპასუხოდ, წრიული ეკონომიკა (Circular Economy) განიხილება როგორც მდგრადი განვითარების ტრანსფორმაციული ჩარჩო. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ნარჩენების მართვით, არამედ მოიცავს სისტემურ ხედვას, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების შენარჩუნებას, ეკოსისტემების აღდგენასა და პროდუქტისა სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივებას. წრიული ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით დიზაინის დონეზე შესაძლებელი გახდება ნარჩენების თავიდან აცილება, რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ბუნებრივი სისტემების რეგენერაცია.

გარდა ამისა, თანამედროვე აკადემიურ და ინსტიტუციურ დისკურსში წრიული ეკონომიკა სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც მწვანე ეკონომიკის ქვესისტემა - ეკონომიკური ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს, ნეგატიური ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებას, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წახალისებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამასთან, წრიული ეკონომიკა აერთიანებს როგორც ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, ასევე პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიდგომებს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს წრიული ეკონომიკის, როგორც მდგრადობის აბაი პარადიგმის, თეორიულ გააზრებას, მისი ძირითადი პრინციპების, სტრუქტურისა და ინსტიტუციური ჩარჩოების ანალიზს. აგრეთვე, განხილულია მისი კავშირი მწვანე ეკონომიკის კონცეფციასთან, როგორც ეს წარმოდგენილია Geissdoerfer et al. (2017), Kirchherr et al. (2017), Ellen MacArthur Foundation-ისა და სხვა ავტორთა ნაშრომებში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ყურადღება ეთმობა წრიული ეკონომიკის როლსა და განვითარების პერსპექტივებს საქართველოს კონტექსტით.

წრიული ეკონომიკა, როგორც სისტემური ტრანსფორმაციის სტრატეგია

წრიული ეკონომიკა (Circular Economy) წარმოადგენს სისტემურ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების შენარჩუნებას ეკონომიკაში რაც შეიძლება დიდხანს და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას. ის ეწინააღმდეგება ტრადიციული ხაზოვანი ეკონომიკის მოდელს, რომელიც ეფუძნება ციკლს, „აიღე, აწარმოე, გამოიყენე, გადაყარე“, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ინვეს როგორც ბუნებრივი რესურსების ამონურვას, ასევე, ეკოსისტემების დეგრადაციას და გარემოსდაცვით კრიზისს (Ellen MacArthur Foundation, 2013).

ელენ მაკართურის ფონდის (Ellen MacArthur Foundation) (2013) განმარტებით, წრიული ეკონომიკა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: (1) ნარჩენებისა და დაბინძურების თავიდან აცილება დიზაინის დონეზე, (2) პროდუქტებისა და მასალების რაც შეიძლება ხანგრძლივი შენარჩუნება ეკონომიკურ ცირკულაციაში და (3) ბუნებრივი სისტემების რეგენერაცია. ეს პრინციპები მოითხოვს სისტემურ გარდაქმნას ყველა ეტაპზე — რესურსების მოპოვებიდან, პროდუქტის დიზაინითა და წარმოებით დაწყებული, მომხმარებლის ქცევითა და ნარჩენების მენეჯმენტით დასრულებული.

წრიული ეკონომიკის პრინციპების პრაქტიკული განხორციელების თვალსაჩინო მაგალითია ელექტრონიკის ინდუსტრია: ტრადიციულად, მოწყობილობები იწარმოება მოკლევადიანი გამოყენებისთვის და რთულად შესაკეთებელია, რაც ხელს უწყობს სწრაფად მზარდ ელექტრონული ნარჩენების მოცულობას. წრიული ეკონომიკა აქ სთავაზობს მოდულური დიზაინის, შეკეთებადობისა და კომპონენტების მეორადი გამოყენების სტრატეგიებს, რაც საშუალებას იძლევა გახანგრძლივდეს პროდუქტების სასიცოცხლო ციკლი და შემცირდეს ნარჩენები. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ტექსტილის სექტორში, სადაც მასობრივი, დაბალფასიანი წარმოება ხშირად იწვევს ჭარბ მოხმარებას და ნარჩენების ზრდას. წრიული მოდელი კი აქცენტს აკეთებს ეკოდიზაინზე, მეორად ბაზარზე, გადამუშავებასა და რესურსების რეგენერაციაზე.

2019 წელს ელენ მაკართურის ფონდის (Ellen MacArthur Foundation) მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში - „სრული სურათი: როგორ უმკლავდება წრიული ეკონომიკა კლიმატის ცვლილებას“ (Completing the Picture: How the Circular Economy Tackles Climate Change) ხაზგასმულია, რომ მხოლოდ განახლებად ენერგიაზე გადასვლა არ არის საკმარისი კლიმატური მიზნების მისაღწევად. დოკუმენტში შეფასებულია, რომ ენერგეტიკული ტრანსფორმაცია ფარავს გლობალური ემისიების დაახლოებით 55%-ს, ხოლო დარჩენილი 45% დაკავშირებულია იმ სეგმენტებთან, რომლებიც მოიცავს პროდუქტებისა და მასალების სისტემებს, კერძოდ, საკვებ პროდუქტებს, ტექსტილს, პლასტმასს, ცემენტსა და ალუმინს. წრიული ეკონომიკა ამ სექტორებზე ახდენს სისტემურ გავლენას წარმოების, დიზაინისა და მოხმარების მოდელების მიხედვით, რაც შესაძლებელს ხდის ემისიების შემცირებას კლიმატური პოლიტიკის ფარგლებს გარეთ (Ellen MacArthur Foundation, 2019).

ამრიგად, წრიული ეკონომიკის კონცეფცია განიხილება, როგორც გარდამტეხი სტრატეგია, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, რესურსების რეგენერაციასა და კლიმატურ მდგრადობას. ის სცილდება მხოლოდ ნარჩენების მართვას და იკავებს ცენტრალურ როლს სისტემურ გარდაქმნაში, რაც აუცილებელია XXI საუკუნის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოწვევების გადასაჭრელად.

წრიული ეკონომიკა: მდგრადობის ტრანსფორმაციული ჩარჩო და მწვანე ეკონომიკის ქვესისტემა

Geissdoerfer, Savaget, Bocken და Hultink (2017) წრიულ ეკონომიკას განსაზღვრავენ როგორც მდგრადი განვითარების ალტერნატიულ პარადიგმას, რომელიც უფრო ღრმად ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ კომპონენტებს. ავტორთა შეფასებით, წრიული ეკონომიკა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ ტექნიკური მიდგომების კონტექსტით (როგორცაა გადამუშავება ან რესურსების ხელახალი გამოყენება), არამედ, როგორც ჰოლისტური მოდელი, რომელიც გულისხმობს სისტემურ ცვლილებებს ეკონომიკისა და საზოგადოების ყველა დონეზე.

კვლევის ფარგლებში ავტორებმა განიხილეს წრიული ეკონომიკის დეფინიციების დიდი სპექტრი და ყურადღება გაამახვილეს მის მრავალგვარ ინტერპრეტაციაზე. ამ მიმოხილვით დასტურდება, რომ წრიული ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის მკაცრად დადგენილი კონცეფცია აკადემიურ სივრცეში, თუმცა, ის შეიძლება ჩაითვალოს მდგრადობის ახალ ჩარჩოდ, რომელიც მიზნად ისახავს ღირებულებების შენარჩუნებას და გარემოზე ზეწოლის შემცირებას სისტემურ დონეზე (Geissdoerfer et al., 2017).

გარდა ამისა, Geissdoerfer et al. (2017) წრიულ ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის განსხვავება ის არის, რომ თუ მდგრადი განვითარება ხშირად ეფუძნება სამ კომპონენტს (ეკონომიკას, გარემოსა და საზოგადოებას) და მათ შორის კომპრომისულ ბალანსს, წრიული ეკონომიკა ამ კომპონენტებს შორის პირდაპირ კავშირს ხედავს და ცდილობს, რომ ისინი ურთიერთგაძლიერების პრინციპით ფუნქციონირებდნენ. შესაბამისად, წრიული ეკონომიკა არამხოლოდ ტექნიკური, არამედ სტრატეგიული და სისტემური ხედვის პლატფორმაა, რომელიც განაპირობებს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს არსებული ეკონომიკური მოდელის ფარგლებში.

ვფიქრობთ, Geissdoerfer et al. (2017)-ის მიდგომა მნიშვნელოვანია იმით, რომ წრიულ ეკონომიკას არ განიხილავს მხოლოდ ტექნიკურ გადანყვეტილებათა ერთობლიობად, არამედ აღიარებს მას როგორც სისტემურ და სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც მდგრად განვითარებაზე უფრო ინტეგრირებული და პროაქტიული რეაგირების საშუალებას იძლევა. ამ ჩარჩოში ტექნოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთგაძლიერებულია, რაც წრიულ ეკონომიკას აძლევს იმ ტრანსფორმაციულ პოტენციალს, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად.

Kirchherr, Reike და Hekkert (2017) წრიული ეკონომიკის ცნებას განიხილავენ როგორც ჯერ კიდევ კონცეპტუალურად არაკონკრეტიზებულ და მრავალმ-

ნიშვნელოვან ტერმინს, რომლის ინტერპრეტაციაც მერყეობს ტექნიკურ, პოლიტიკურ და სისტემურ მიდგომებს შორის. მათ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა 114 აკადემიური და პოლიტიკის დოკუმენტში არსებული დეფინიციის შედარებით ანალიზს, გამოიკვეთა, რომ ერთიანი, უნივერსალური განმარტება პრაქტიკულად არ არსებობს. დეფინიციების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს რესურსების ოპტიმიზაციასა და ნარჩენების მინიმიზაციაზე, თუმცა, ნაკლებად ეხება სოციალურ კომპონენტებს, როგორიცაა სამართლიანი დასაქმება ან სოციალური თანასწორობა.

ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს თეორიულ და პრაქტიკულ ინტერპრეტაციებს შორის არსებულ აცდენას: მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად წრიული ეკონომიკა ხშირად აღიქმება როგორც სისტემური ტრანსფორმაციის მოდელი, პრაქტიკაში ის ჯერ კიდევ უმეტესად განიხილება გადამუშავებისა და ნარჩენების მენეჯმენტის ტექნიკურ ჩარჩოდ. Kirchherr et al. (2017) ამტკიცებენ, რომ ამ დისბალანსის გადაჭრა საჭიროებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინკლუზიურ ჩარჩოებს, რათა წრიული ეკონომიკა რეალურად იქცეს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტად და არამხოლოდ გარემოსდაცვით ღონისძიებათა ერთობლიობად.

მათი კვლევა ასტიმულირებს წრიული ეკონომიკის შინაარსობრივ გააზრებას არამხოლოდ აკადემიურ სივრცეში, არამედ პოლიტიკის დაგეგმვასა და ბიზნეს-პრაქტიკაში, განსაკუთრებით ისეთი ეკონომიკებისთვის, რომლებიც განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან.

გარდა ამისა, თანამედროვე აკადემიურ და ინსტიტუციურ დისკურსში წრიული ეკონომიკა სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც მწვანე ეკონომიკის ქვესისტემა – მოდელი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, გარემოზე ზეწოლის შემცირებასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. როგორც UNEP (2011) და OECD (2020) მიუთითებენ, მწვანე ეკონომიკა ეფუძნება პრინციპებს, როგორიცაა დაბალი ნახშირბადის ეკონომიკა, ეკოსისტემების დაცვა და სოციალურ-ეკონომიკური ინკლუზიურობა – ეს ყველაფერი თანხვედრაშია წრიული ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ მიზნებთან. შესაბამისად, წრიული ეკონომიკა უნდა განვიხილოთ არამხოლოდ როგორც ცალკეული ინსტრუმენტი, არამედ როგორც მწვანე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებულ შესრულებას.

წრიული ეკონომიკის დასაბამიდან დღემდე – (Cradle-to-Cradle)(C2C) მოდელი, რომელიც შემუშავებულია McDonough და Braungart-ის მიერ (2002), წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ თეორიულ საყრდენს წრიული ეკონომიკის დიზაინზე ორიენტირებული მიდგომისთვის. ეს კონცეფცია ასახავს მკვეთრ დაპირისპირებას ტრადიციულ საწყისიდან ნაგავსაყრელამდე (cradle-to-grave)

ხაზოვან მოდელთან და გვთავაზობს ალტერნატიულ ჩარჩოს, სადაც ყველა პროდუქტი და მასალა ინარმოება არა ერთი მოხმარებისთვის, არამედ ცირკულაციისთვის – სისტემაში დაბრუნებისა და ხელახალი გამოყენების მიზნით.

C2C მიდგომის ძირითადი იდეა ის არის, რომ დიზაინი ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ თავიდანვე გაითვალისწინოს მასალების შემდგომი სიცოცხლე, ანუ პროდუქტი მისი სიცოცხლის ბოლოს არ უნდა იქცეს ნარჩენად, არამედ გახდეს ახალი რესურსის წყარო. ამისათვის კონცეფცია განასხვავებს ორ ცირკულაციას: ბიოლოგიურსა და ტექნოლოგიურს. ბიოლოგიური გულისხმობს, რომ მასალები უნდა ჩაერთოს ეკოსისტემის ბუნებრივ ციკლში, ხოლო ტექნოლოგიური – დარჩეს ინდუსტრიულ ბრუნვაში მათი ხარისხის დაკარგვის გარეშე (McDonough & Braungart, 2002).

C2C კონცეფცია მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ის პირდაპირ უკავშირდება მწვანე ეკონომიკის პრინციპებს. ის მოითხოვს არამხოლოდ გარემოსდაცვისთვის უსაფრთხო მასალების გამოყენებას, არამედ აქტიურად უწყობს ხელს ეკოსისტემების რეგენერაციას და რესურსების მაქსიმალურ შენარჩუნებას ეკონომიკაში. შესაბამისად, C2C მოდელი ასახავს იმ სისტემურ დიზაინზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც წარმოადგენს წრიული ეკონომიკის არსს და ამავდროულად ემსახურება მწვანე ეკონომიკის სტრატეგიულ მიზნებს.

წრიული ეკონომიკის ძირითადი პრინციპები და მოდელები

წრიული ეკონომიკის ფუნდამენტია პრინციპების ერთობლიობა, რაც მიზნად ისახავს რესურსების ღირებულების შენარჩუნებას, ნარჩენების მინიმიზაციასა და ეკოსისტემების რეგენერაციას. ამ პრინციპების სხვადასხვა ვერსია არსებობს, რაც წარმოადგენილია როგორც აკადემიურ, ასევე პოლიტიკურ დოკუმენტებში. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გავლენიანი მოდელია ელენ მაკართურის ფონდის (Ellen MacArthur Foundation (2013-2020) მიერ ჩამოყალიბებული სამპრინციპიანი ჩარჩო:

- დაბინძურებისა და ნარჩენების თავიდან აცილება დიზაინის დონეზე – პროდუქტის შექმნის ეტაპიდანვე გათვალისწინებულია მისი გარემოზე ზემოქმედება, რესურსების ეფექტიანობა და მომავალში ცირკულაციაში დაბრუნების შესაძლებლობა;

- პროდუქტებისა და მასალების რაც შეიძლება ხანგრძლივი შენარჩუნება ეკონომიკურ მიმოქცევაში – აქცენტი კეთდება გამოყენების გახანგრძლივებაზე, შეკეთებადობასა და მრავალჯერად ციკლზე;

- ბუნებრივი სისტემების რეგენერაცია – ეკონომიკური საქმიანობა არამხოლოდ აიცილებს ზიანს, არამედ ხელს შეუწყობს ეკოსისტემების გაჯანსაღებას (Ellen MacArthur Foundation, 2020).

ევროპის კომისია (European Commission)(2020) განსაზღვრავს წრიული ეკონომიკის პრინციპულ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს: მდგრადი პროდუქტის დიზაინი, რესურსების ოპტიმიზაცია, წარმოებისა და მოხმარების მოდელების ტრანსფორმაცია და მეორადი ნედლეულით ბაზრის გაძლიერება. კომისიის ახალი სამოქმედო გეგმის თანახმად, წრიული ეკონომიკის მოდელი წარმოადგენს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების (Green Deal) მთავარ საყრდენს.

წრიული ეკონომიკის პრინციპების განხილვისას ფართოდ გამოიყენება „R“-პრინციპების სისტემატიზაცია, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია 3R „შეამცირე, გამოიყენე ხელახლა, გადაამუშავე“ (Reduce, Reuse, Recycle), თუმცა, თანამედროვე ლიტერატურაში მეტად განვითარდა და შემუშავდა 6R, 9R და 10R მოდელები (Potting et al., 2017). მაგალითად, 9R ჩარჩო მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: „უარის თქმა, თავიდან გააზრება, შემცირება, ხელახლა გამოყენება, შეკეთება, განახლება, განმეორებითი წარმოება, მეორადი დანიშნულების მინიჭება და გადამუშავება.“ (Refuse, Rethink, Reduce, Reuse, Repair, Refurbish, Remanufacture, Repurpose, Recycle). რაც უფრო მაღლა დგას ქმედება R-სქემაში, მით უფრო პრევენციულია იგი გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

Geissdoerfer et al. (2017) ხაზს უსვამენ, რომ ეს პრინციპები არამხოლოდ ტექნიკური ინსტრუმენტებია, არამედ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის საფუძველს ქმნიან. Kirchherr et al. (2017) კი აკრიტიკებენ არსებულ დეფინიციებში პრინციპების ზედაპირულ ან ნაწილობრივ მოხსენიებას და მოუწოდებენ მათ სისტემურ ინტეგრაციას საზოგადოებრივ და ინსტიტუციურ დონეზე.

McDonough და Braungart (2002) თავიანთ კონცეფციაში - Cradle-to-Cradle მკაფიოდ ასახავენ ამ პრინციპების დიზაინზე ორიენტირებულ მოდელს, რომელიც ტექნიკურ და ბიოლოგიურ ცირკულაციებს ქმნის და პროდუქტის სიცოცხლის ციკლს აღიქვამს როგორც სისტემურ პროცესს. მათი ხედვა ხაზს უსვამს აუცილებლობას, წრიული ეკონომიკის პრინციპები გაერთიანდეს, როგორც მასალის, ასევე პროდუქტის შექმნისა და განლაგების პოლიტიკაში.

ამგვარად, წრიული ეკონომიკის პრინციპები აერთიანებს როგორც ტექნიკურ, ასევე სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს, რაც მას გარდაქმნის ინსტრუმენტად აქცევს თანამედროვე მწვანე ეკონომიკის ფარგლებში.

აღნიშნული პრინციპები ქმნის თეორიულ ფუნდამენტს, რომელზეც დაფუძნებულია წრიული ეკონომიკის პრაქტიკული მოდელები და ოპერაციული მექანიზმები. სწორედ ეს მოდელები განაპირობებს სისტემის სტრუქტურულ ფუნქციონირებას და განსაზღვრავენ, როგორ ხდება რესურსების ცირკულაცია ტექნიკურ და ბიოლოგიურ ციკლებში.

წრიული ეკონომიკის წარმატებული დანერგვა დამოკიდებულია იმ მოდელებზე და სტრუქტურებზე, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორ ცირკულირებს

რესურსი ეკონომიკურ სისტემაში. წრიული მოდელები ეფუძნება დიზაინის სტრატეგიებს, პროდუქტის სიცოცხლის ციკლის მენეჟმენტს, მატერიალური ნაკადების დახურულ სისტემებსა და ეკოსისტემური მომსახურებების ინტეგრირებას.

ელენ მაკართურის ფონდის (Ellen MacArthur Foundation, 2013) მიხედვით, წრიული ეკონომიკის სტრუქტურა მოიცავს ორ მთავარ ცირკულაციას: ტექნიკურ ცირკულაციას, რომელიც ეხება პროდუქტებისა და კომპონენტების აღდგენას, შეკეთებას, ხელახალ წარმოებასა და გადამუშავებას; და ბიოლოგიურ ცირკულაციას, რომელიც გულისხმობს მასალების ბუნებრივ დაბრუნებას გარემოში ისე, რომ მოხდეს მათი ეკოლოგიური განახლება. McDonough და Braungart (2002) სწორედ ამ ორსისტემიანი მოდელით ხსნიან სისტემის ეფექტიანობას – თუ ტექნიკური მასალები რჩება ინდუსტრიულ ცირკულაციაში, ბიოლოგიური მასალები უნდა განთავსდეს ბუნებაში რეგენერაციის მიზნით.

Potting et al (2017) და ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების სააგენტო (PBL Netherlands Environmental Assessment Agency) აღნიშნავენ, რომ წრიული ეკონომიკის წარმატებისთვის აუცილებელია ინოვაციური დიზაინის მექანიზმების ინტეგრირება, როგორიცაა: მოდულარობა, მრავალჯერადი გამოყენება, და სერვისზე დაფუძნებული ბიზნეს-მოდელები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა „პროდუქტი როგორც სერვისი“ (Product-as-a-Service) (PaaS) მოდელი, რომელიც ცვლის ტრადიციულ მფლობელობის კულტურას და ამცირებს გადაჭარბებულ წარმოებას. მომხმარებელი აღარ ყიდულობს პროდუქტს, არამედ იხდის მისი გამოყენებისათვის (მაგ. გარე განათების ან ოფისის ბეჭდვის მომსახურება), ხოლო მწარმოებელი პასუხისმგებელია პროდუქტის სიცოცხლის ციკლზე.

Geissdoerfer et al (2017) და Bocken et al (2016) გამოყოფენ რამდენიმე ტიპის მოდელს, რომლებიც მოიცავს: დიზაინზე ორიენტირებულ მიდგომებს, დისტრიბუციის ოპტიმიზაციას, მომხმარებლის ქცევის ტრანსფორმაციას, და ბიზნესის მოდელების ახალ სტრუქტურას. ამ მოდელებს აერთიანებს სისტემური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს რესურსების მაქსიმალურ შენარჩუნებას და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას.

ამრიგად, წრიული ეკონომიკის სტრუქტურა ეფუძნება არამხოლოდ ტექნოლოგიურ გადანაცვლებს, არამედ ინტეგრირებულ სოციალურ და მმართველობით ჩარჩოებს, რაც უზრუნველყოფს მისი პრინციპების რეალურ განხორციელებას გლობალურ და ეროვნულ დონეებზე.

წრიული ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო და პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოში

წრიული ეკონომიკის ეფექტიანი დანერგვა დამოკიდებულია არამხოლოდ მის თეორიულად გამართულ პრინციპებსა და მოდელებზე, არამედ ინსტიტუციურ და პოლიტიკურ სტრუქტურებზე, რაც ქმნის საჭირო გარემოს ეკონომიკური ტრანსფორმაციისთვის. როგორც ელენ მაკართურის ფონდი (Ellen MacArthur Foundation)(2020) და ევროპული კომისია (European Commission)(2020) ხაზს უსვამენ, წრიული ეკონომიკის რეალიზება მოითხოვს მჭიდრო კოორდინაციას პოლიტიკასა და სამოქმედო მექანიზმებს შორის, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიულ თანხვედრას მწვანე ზრდის, კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების გეგმებთან.

ევროპული კომისიის მიერ 2020 წელს შემუშავებული წრიული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა (Circular Economy Action Plan) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სრულ პოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს მდგრადი პროდუქტის ინიციატივებს, მწვანე საჯარო შესყიდვებს, ეკოდიზაინის დირექტივებსა და ინოვაციური ბიზნეს-მოდელების წახალისებას. ევროკავშირის მწვანე შეთანხმების (European Green Deal) ფარგლებში წრიული ეკონომიკა განიხილება, როგორც ცენტრალური სტრატეგია კლიმატის ნეიტრალობისა და რესურსების დამოუკიდებლობის მისაღწევად (European Commission, 2020).

OECD-ის (2022) შეფასებით, წრიული ეკონომიკის ინსტიტუციური მხარდაჭერა ეფუძნება სამ დონეზე მოქმედ პოლიტიკებს: ეროვნული სტრატეგიები, სექტორული პროგრამები და ადგილობრივი ინიციატივები. OECD საქართველოს პროფილში ხაზგასმულია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის სისტემის განვითარება, ინოვაციების მხარდაჭერა და სამრეწველო სიმბიოზის წახალისება (OECD, 2022).

UNDP-ის (2022) მიერ შემუშავებულ ანგარიშში “მწვანე შეთანხმების შეფასება საქართველოსთვის” (Green Deal Assessment for Georgia) დეტალურადაა განხილული, როგორ ერგება ევროკავშირის მწვანე შეთანხმება საქართველოს რეალობას. კვლევა ასახავს, რომ არსებული პოლიტიკის დოკუმენტები — მათ შორის ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრაცია — ქმნის საწყის საფუძველს, მაგრამ საჭიროებს ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას, განსაკუთრებით, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის თვალსაზრისით (UNDP, 2022).

მსოფლიო ბანკის ანგარიშში “საქართველო: მწვანე და მდგრადი ზრდისაკენ” (Georgia: Towards Green and Resilient Growth) (2022) ხაზგასმულია, რომ საჭიროა გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაცია, რათა

შეიქმნას თანმიმდევრული და პროგნოზირებადი ჩარჩო ინვესტიციებისთვის ცირკულარულ სექტორებში. დოკუმენტი რეკომენდაციას იძლევა ინკლუზიური მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაძლიერებისა და კლიმატისადმი მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით (World Bank, 2022).

წრიული ეკონომიკის ინსტიტუციური არქიტექტურა მოითხოვს კოორდინირებულ მოქმედებას - სტრატეგიულ დონეზე დაგეგმვის, სამართლებრივი ბაზის გამართვისა და მმართველობითი ჩარჩოების ეფექტიანობის ზრდის გზით. ამ მიდგომამ უნდა გააერთიანოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სექტორები, რათა წრიული ეკონომიკა ფუნქციონირებდეს არა როგორც ცალკეული პროექტი, არამედ როგორც ეროვნული განვითარების ინტეგრირებული სტრატეგია.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ წრიული ეკონომიკის პრინციპები, სტრუქტურა და ინსტიტუციური მხარდაჭერა ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს არამხოლოდ გარემოსდაცვით შედეგებს, არამედ ეკონომიკური ეფექტიანობის, ინოვაციური მექანიზმების და სოციალური პასუხისმგებლობის ერთიან რეალიზაციას. თეორიული კონცეფციები გადადის კონკრეტულ მოდელებსა და პოლიტიკის ინსტრუმენტებში, რაც ქმნის მყარ საფუძველს მისი პრაქტიკული ინტეგრაციისათვის. ქვემოთ განვიხილავთ, თუ როგორ აისახება ეს სისტემა საქართველოს კონტექსტით და რა გამოწვევები და შესაძლებლობები არსებობს მის განსახორციელებლად ეროვნულ დონეზე.

წრიული ეკონომიკის კონცეფციის გავრცელება და განვითარება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტად ხდება აქტუალური, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მდგრადი განვითარება, რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ეკოლოგიური უსაფრთხოება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. საქართველოსთვის, როგორც მცირე ზომის, რესურსებით შედარებით ღარიბი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, წრიული ეკონომიკა წარმოადგენს როგორც სტრატეგიულ საჭიროებას, ისე მნიშვნელოვან შესაძლებლობას გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების ინტეგრირებული მართვისათვის.

საერთაშორისო დონეზე მოქმედი ინიციატივები, როგორიცაა EU4Environment, RECP პროგრამა, UNEP-ის და OECD-ის ჩარჩოები, უკვე იძლევა რეგიონალური კონტექსტით, მათ შორის საქართველოშიც (UNEP, 2021; OECD, 2022). მაგალითად, ევროკავშირის მწვანე შეთანხმებისა და წრიული ეკონომიკის სამოქმედო გეგმის (European Commission, 2020) ფარგლებში, საქართველო იღებს ვალდებულებებს ეროვნული პოლიტიკის ჰარმონიზაციისა და ნარჩენების მართვის სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით. ამ კუთხით, საქართვე-

ლოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების სტრატეგია და მოქმედი ნორმატიული ბაზა ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს წრიული მიდგომების ეტაპობრივ დანერგვას (Government of Georgia, 2016).

CENN-ის (2019) თანახმად, საქართველოში წრიული ეკონომიკის მიმართულებით განხორციელებულია რიგი საინიციატივო ნაბიჯი, მათ შორის -რამდენიმე პილოტური პროექტი და პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა სისტემური ხედვის ინტეგრაცია ჯერ კიდევ არასაკმარისად განვითარდა. ამასთან, EEC Georgia (2022) მიუთითებს, რომ წრიული ეკონომიკის კონცეფციის გააზრება ბიზნეს-სექტორსა და საჯარო მმართველობაში კვლავ ფრაგმენტულია, რაც საჭიროებს როგორც ცნობიერების ამაღლებას, ასევე ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოების გაძლიერებას, რათა მოხდეს წრიული მოდელის ეფექტიანი განხორციელება.

RECP პროგრამის მიხედვით (2023), წრიული ეკონომიკის განვითარება საქართველოში უნდა დაეფუძნოს სექტორულ ანალიზსა და იმ სექტორების იდენტიფიცირებას, სადაც რესურსების მოპოვება, გამოყენება და ნარჩენების წარმოქმნა განსაკუთრებით პრობლემურია (მაგალითად, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სამრეწველო წარმოება). ამასთანავე, მნიშვნელოვანია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე არსებული პროდუქტების სიცოცხლის ციკლის მართვას და მათი რესურსების შენარჩუნებას.

OECD-ის (2022) და World Bank-ის (2022) ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ საქართველომ უნდა იმუშაოს როგორც ტექნიკური, ასევე მმართველობითი დონეების გაძლიერებაზე, რათა წრიული ეკონომიკის ინტეგრაცია მოახდინოს სახელმწიფო სტრატეგიებში, ინოვაციური ბიზნეს-მოდელების წახალისებასა და სოფლად მდგრადი განვითარებისა და დასაქმების სტიმულირებაში.

დასკვნა

წრიული ეკონომიკა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების გარდამტეხ ჩარჩოს, რომელიც სცილდება ტრადიციულ ნარჩენების მართვას და ითვალისწინებს სისტემურ ტრანსფორმაციას როგორც წარმოების, ასევე მოხმარების დონეზე. ის ეფუძნება რესურსების მაქსიმალურად შენარჩუნებას, ეკოსისტემების აღდგენასა და კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფას. წრიული მოდელი აერთიანებს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ ელემენტებს, რაც მას აქცევს მდგრადი განვითარების ინტეგრირებულ პლატფორმად.

წრიული ეკონომიკა სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ განიხილება, როგორც სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც აღიარებს ეკონომიკურ, სოცი-

ალურ და ეკოლოგიურ კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და ისწრაფვის მათი ურთიერთგაძლიერებისაკენ. ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პრაქტიკაში წრიული ეკონომიკა ხშირად წარმოჩინდება როგორც ტექნიკურ ზომათა ერთობლიობა და აკლია სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკისა და ინსტიტუციური პრაქტიკის დონეზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წრიული ეკონომიკა სულ უფრო ხშირად განიხილება მწვანე ეკონომიკის ქვესისტემად. როგორც UNEP და OECD მიუთითებენ, ის თანხვედრაშია მწვანე ეკონომიკის ძირითად პრინციპებთან და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტიან მიღწევას. ამ კონტექსტით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „საწყისიდან საწყისამდე“ (Cradle-to-Cradle)-ის კონცეფციას და „R“-პრინციპებზე დაფუძნებულ მოდელებს, რომლებიც ქმნიან როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საფუძველს წრიული მიდგომების დიზაინსა და პოლიტიკურ ინსტრუმენტებში ინტეგრაციისათვის.

წრიული ეკონომიკის წარმატებული განხორციელება მოითხოვს მყარ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რასაც ევროკავშირის, OECD-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული დოკუმენტები და პრაქტიკა გვთავაზობს. საქართველოს მაგალითზე ჩანს, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, კვლავ საჭიროა სისტემური ინტეგრაციის გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება და საკანონმდებლო-მმართველობითი მექანიზმების გაუმჯობესება.

ამრიგად, წრიული ეკონომიკა არის არამხოლოდ ალტერნატიული ეკონომიკური მოდელი, არამედ გარდამტეხი მიდგომა, რაც გლობალურ და ეროვნულ დონეზე უნდა იქნეს აღიარებული, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის აუცილებელი სტრატეგია.

ლიტერატურა:

- აბესაძე რ. (2022). მწვანე ეკონომიკა. ეკონომიკა და ეკოლოგია. <https://eas.tsu.ge/ეკონომიკა/მწვანე-ეკონომიკა>
- აბესაძე რ. (2024). „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკა – მდგრადი განვითარების საფუძველი. თსუ თებერვლის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 9–15. <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- ალადაშვილი მ. (2023). ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში. ეკონომიკა და ფინანსები, 1, 143–152. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf
- დათუნაშვილი ლ. (2019). მწვანე ეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. ResearchGate. <https://www.researchgate.net/publication/334747322>
- კაკულია ნ. & ტყემალაძე ი. (2024). ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გამოწვევები საქართველოში. თსუ თებერვლის სამეცნიერო კონფერენციის კრებული,

- 93–100. <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- პავლიაშვილი ს. & გუბელაძე, დ. (2020). სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა, ISBN 978-9941-8-2640-5
 - ხარაიშვილი ე. (2019). მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები. <https://www.researchgate.net/publication/341342934>
 - Abesadze R. (2019). Green Economy: Essence and Challenges. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/334746913_GREEN_ECONOMY_ESSENCE_AND_CHALLENGES
 - Bocken N. M. P., Bakker C., & Pauw, I. D. (2016). Product Design and Business Model Strategies for a Circular Economy. *Journal of Industrial and Production Engineering*, 33(5), 308–320. <https://doi.org/10.1080/21681015.2016.1172124>
 - CENN. (2019). Circular Economy in Georgia. <https://www.cenn.org>
 - Ellen MacArthur Foundation. (2013). Towards the Circular Economy: Economic and Business Rationale for an Accelerated Transition. <https://ellenmacarthurfoundation.org/towards-the-circular-economy-vol-1>
 - Ellen MacArthur Foundation. (2019). Completing the Picture: How the Circular Economy Tackles Climate Change. <https://ellenmacarthurfoundation.org/completing-the-picture-climate-change>
 - Ellen MacArthur Foundation. (2020). The Circular Economy: A transformative agenda for climate action. <https://ellenmacarthurfoundation.org/topics/climate>
 - European Commission. (2020). Circular Economy Action Plan: For a Cleaner and More Competitive Europe. Brussels. https://environment.ec.europa.eu/publications/circular-economy-action-plan_en
 - EEC Georgia. (2022). Review of Circular Economy Implementation in Georgia. <https://eecgeo.org>
 - Geissdoerfer M., Savaget P., Bocken N. M. P. & Hultink E. J. (2017). The Circular Economy – A New Sustainability Paradigm? *Journal of Cleaner Production*, 143, 757–768. <https://doi.org/10.1016/j.jclepro.2016.12.048>
 - Government of Georgia. (2016). Waste Management Strategy of Georgia 2016–2030. Tbilisi. <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/10806>
 - Kirchherr J., Reike D., & Hekkert M. (2017). Conceptualizing the Circular Economy: An Analysis of 114 Definitions. *Resources, Conservation and Recycling*, 127, 221–232. <https://doi.org/10.1016/j.resconrec.2017.09.005>
 - McDonough W., & Braungart M. (2002). *Cradle to Cradle: Remaking the Way We Make Things*. North Point Press. <https://www.amazon.com/dp/0865475873>
 - OECD. (2022). The Circular Economy in Georgia: Policy Highlights. <https://www.oecd.org/environment/circular-economy-in-georgia-policy-highlights.pdf>
 - Potting J., Hekkert M., Worrell E., & Hanemaaijer A. (2017). Circular Economy: Measuring Innovation in the Product Chain. PBL Netherlands Environmental Assessment Agency. <https://www.pbl.nl/en/publications/circular-economy-measuring-innovation-in-product-chains>
 - RECP. (2023). Resource Efficient and Cleaner Production in Georgia. <https://recp.ge>
 - UNDP. (2022). EU Green Deal Assessment for Georgia. <https://www.ge.undp.org>
 - UNEP. (2011). Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty

Eradication. <https://www.unep.org/resources/report/towards-green-economy>

- UNEP. (2021). Global Environment Outlook – GEO-6. <https://www.unep.org/resources/global-environment-outlook-6>
 - World Bank. (2022). Georgia: Towards Green and Resilient Growth. <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/561271654998865101>
- ყველა ლინკის ბოლო ნახვა - 15 სექტემბერი, 2025

References:

- Abesadze R. (2022). mtsvane ekonomika. ekonomika da ekologia. [Green Economy. Economics and Ecology.] in Georgian <https://eas.tsu.ge/>
- Abesadze R. (2024). „Mtsvane“ da „Tsriuli“ Ekonomika – Mdgradi ganvitarebis sapudzveli. [“Green” and “Circular” Economies - the Basis of Sustainable Development. TSU February Conference, 2024, 9-15.] in Georgian <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- Aladashvili M. (2023). tsirkularuli ekonomika da mdgradi ganvitarebis prioritetebi sakartveloshi. [Circular Economy and Sustainable Development Priorities in Georgia Economics and Finance 1, 143–152.] in Georgian https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekonomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf
- Datunashvili L. (2019). mtsvane ekonomika da soplis meurneobis mdgradi ganvitareba. [Green Economy and Sustainable Agricultural Development ResearchGate.] in Georgian <https://www.researchgate.net/publication/334747322>
- Kakulia N. da Tkemaladze I. (2024). tsirkularul ekonomikaze gadasvlis gamotsvebi sakartveloshi. [Challenges of Transitioning to a Circular Economy in Georgia. TSU February Conference, 2024.] in Georgian <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- Pavliashvili S. and Gubeladze D. (2020). soplis meurneoba, ekonomikuri epekturobis martva da tsirkularuli ekonomika [Agriculture, Economic Efficiency Management and Circular Economy. ISBN 978-9941-8-2640-5] in Georgian
- Kharaishvili E. (2019). mtsvane ekonomikis tanamedrove gamotsvebi. [Modern Challenges of the Green Economy.] in Georgian <https://www.researchgate.net/publication/341342934>
- Abesadze R. (2019). Green Economy: Essence and Challenges. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/334746913_GREEN_ECONOMY_ESSENCE_AND_CHALLENGES
- Bocken N. M. P., Bakker C., & Pauw, I. D. (2016). Product Design and Business Model Strategies for a Circular Economy. Journal of Industrial and Production Engineering, 33(5), 308–320. <https://doi.org/10.1080/21681015.2016.1172124>
- CENN. (2019). Circular Economy in Georgia. <https://www.cenn.org>
- Ellen MacArthur Foundation. (2013). Towards the Circular Economy: Economic and Business Rationale for an Accelerated Transition. <https://ellenmacarthurfoundation.org/towards-the-circular-economy-vol-1>
- Ellen MacArthur Foundation. (2019). Completing the Picture: How the Circular Economy Tackles Climate Change. <https://ellenmacarthurfoundation.org/completing-the-picture-climate-change>

- Ellen MacArthur Foundation. (2020). The Circular Economy: A transformative agenda for climate action. <https://ellenmacarthurfoundation.org/topics/climate>
- European Commission. (2020). Circular Economy Action Plan: For a Cleaner and More Competitive Europe. Brussels. https://environment.ec.europa.eu/publications/circular-economy-action-plan_en
- EEC Georgia. (2022). Review of Circular Economy Implementation in Georgia. <https://eecgeo.org>
- Geissdoerfer M., Savaget P., Bocken N. M. P. & Hultink E. J. (2017). The Circular Economy – A New Sustainability Paradigm? Journal of Cleaner Production, 143, 757–768. <https://doi.org/10.1016/j.jclepro.2016.12.048>
- Government of Georgia. (2016). Waste Management Strategy of Georgia 2016–2030. Tbilisi. <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/10806>
- Kirchherr J., Reike D., & Hekkert M. (2017). Conceptualizing the Circular Economy: An Analysis of 114 Definitions. Resources, Conservation and Recycling, 127, 221–232. <https://doi.org/10.1016/j.resconrec.2017.09.005>
- McDonough W., & Braungart M. (2002). Cradle to Cradle: Remaking the Way We Make Things. North Point Press. <https://www.amazon.com/dp/0865475873>
- OECD. (2022). The Circular Economy in Georgia: Policy Highlights. <https://www.oecd.org/environment/circular-economy-in-georgia-policy-highlights.pdf>
- Potting J., Hekkert M., Worrell E., & Hanemaaijer A. (2017). Circular Economy: Measuring Innovation in the Product Chain. PBL Netherlands Environmental Assessment Agency. <https://www.pbl.nl/en/publications/circular-economy-measuring-innovation-in-product-chains>
- RECP. (2023). Resource Efficient and Cleaner Production in Georgia. <https://recp.ge>
- UNDP. (2022). EU Green Deal Assessment for Georgia. <https://www.ge.undp.org>
- UNEP. (2011). Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication. <https://www.unep.org/resources/report/towards-green-economy>
- UNEP. (2021). Global Environment Outlook – GEO-6. <https://www.unep.org/resources/global-environment-outlook-6>
- World Bank. (2022). Georgia: Towards Green and Resilient Growth. <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/561271654998865101>

Last seen all links 15 september, 2025.

The Circular Economy: A New Paradigm for Sustainable Development

Elene Kobakhidze

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Elene.kobakhidze@tsu.ge

The paper examines the circular economy as a transformative and innovative paradigm aligned with the objectives of sustainable development. In light of mounting global challenges – such as resource depletion, environmental degradation, climate change, and ecosystem disruption – it contends that the traditional linear economy, based on extract–use–dispose model, is no longer sustainable. In its place, the circular economy (CE) is presented as a comprehensive and systemic alternative, designed to decouple economic growth from resource consumption and environmental impact.

The research employs a qualitative methodology, encompassing an in-depth analysis of academic literature, theoretical frameworks, and policy documents produced by prominent scholars and institutions, including Geissdoerfer et al., Kirchherr et al., and the Ellen MacArthur Foundation. This approach allows the paper to map the theoretical underpinnings, core principles, and structural elements of the circular economy, while also examining its intersections with the green economy.

The circular economy (CE) is framed not simply as a waste management tool, but as a strategic framework for sustainable transformation. It integrates systemic design principles, innovative business models, and resource-efficient approaches to production and consumption. At the heart of this framework are three core principles outlined by the Ellen MacArthur Foundation: (1) designing out waste and pollution, (2) keeping products and materials in use, and (3) regenerating natural systems. These principles are operationalized through R-frameworks such as the foundational 3R models (Reduce, Reuse, Recycle) and more comprehensive 9R or 10R models, which introduce additional strategies like “Refuse,” “Rethink,” and “Repurpose.” These frameworks establish a hierarchy of actions aimed at minimizing environmental impact and maximizing resource efficiency.

The paper places particular emphasis on the Cradle-to-Cradle (C2C) design concept introduced by McDonough and Braungart (2002), which provides a robust theoretical foundation for the CE. C2C envisions materials circulating perpetually within either biological or technical cycles, thereby eliminating the notion of waste. Rather than being discarded, products are intentionally designed for reintegration into nat-

ural ecosystems or industrial processes. This design philosophy aligns closely with the principles of the green economy and underscores CE's proactive role in tackling sustainability challenges.

The paper also explores the intersection between circular and green economies. Geissdoerfer et al. (2017) characterize the CE as an emerging sustainability paradigm that more closely integrates environmental, economic, and social dimensions than traditional sustainable development frameworks. Rather than striving for balance among competing priorities, CE fosters synergistic relationships between economic efficiency, ecological regeneration, and social inclusion.

In contrast, Kirchherr et al. (2017) highlight the conceptual ambiguity and lack of consensus surrounding CE definitions. Their review of 114 academic and policy sources reveals a disconnect between theoretical discourse and practical implementation, with most interpretations narrowly focused on waste management and recycling. The authors advocate for a broader, more integrated approach that incorporates social dimensions such as employment, equity, and participation – essential elements for realizing CE as a model of systemic transformation.

The institutional dimension of the CE is examined through policy frameworks developed by the European Commission, OECD, and UNDP. The EU's 2020 Circular Economy Action Plan stands out as a comprehensive strategy encompassing product design regulations, sustainable procurement practices, and innovation incentives. The OECD's recommendations for Georgia emphasize the development of multi-level governance capacity, particularly through extended producer responsibility (EPR) systems, industrial symbiosis, and support for circular innovation. Reports from the UNDP and World Bank further underscore the importance of harmonized policies and governance mechanisms to facilitate circular transitions in developing countries, including Georgia.

In the Georgian context, the paper offers a theoretical analysis of the CE's integration into national policy frameworks and development strategies. Although progress has been made – most notably through the adoption of the 2016–2030 Waste Management Strategy – systemic implementation remains limited. Key challenges include fragmented awareness across public and private sectors, weak institutional coordination, and insufficient capacity for sectoral planning and innovation. Initiatives such as EU4Environment and RECP (Resource Efficient and Cleaner Production) are recognized as important drivers of capacity building and pilot project execution. Nonetheless, the paper underscores the urgent need for a strategic shift toward integrated planning, inclusive governance, and sectoral prioritization – particularly in construction, agriculture, and manufacturing – to embed circularity within Georgia's national development agenda.

In conclusion, the circular economy represents a fundamental shift in economic thinking – extending far beyond the realm of waste management. It advocates for systemic transformation across design, production, consumption, and governance, aligning closely with green growth and climate objectives. For resource-constrained countries like Georgia, CE offers a viable pathway toward sustainable economic and social development. However, its successful implementation hinges on robust institutional support, coordinated policy action, active stakeholder engagement, and ongoing innovation. Ultimately, the paper argues that CE should not be viewed as a standalone policy instrument, but rather as a strategic cornerstone for national development and long-term sustainability.

Keywords: Circular economy, sustainable development, green economy, Georgia, innovation, ecodesign

JEL Codes: Q01, Q53, Q56, O44

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ლუკა ცხისვაძე

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
lukatsertsvadze@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.05

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის სწრაფმა განვითარებამ ბოლო ათწლეულებში, როგორც გლობალური, ასევე ეროვნული დონეზე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური სფეროებზე. მისი ინტეგრაცია ბიზნესში, განათლებაში, საზოგადოებრივ სფეროებში და სხვა სფეროებში, ამავე დროს გაჩაღებულია ახალი ინოვაციური საქმიანობის ფორმები, ახალი აქვს ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები. სწორედ ეს გაჩემობები განაპირობებს ICT სექტორის გავლენის მცირეხრივ ანალიზისა და შეფასების საჭიროებას.

სტატისტიკური განხილვით ICT სექტორის როლი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში, ამ სექტორის განვითარების ტენდენციები და სტრატეგიული თავისებურებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს: ICT სექტორის გავლენა შრომის ბაზრის დინამიკაზე, ინოვაციების წახალისება, პოტენციულობის ზრდა და ინტელექტუალური ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები. სტატისტიკური მიმოხილვით საქართველოს პოტენციური უზრუნველყოფის კომპანიების ძირითადი როლი ტექნოლოგიური ინოვაციის სტიმულირებაში, განაღებებელი ქართული ბაზრის ძირითადი მახასიათებლები, ნაჩვენებია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოტენციური უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანიების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. განხილვით პოტენციური უზრუნველყოფის ინტელექტუალური გავლენა ეკონომიკური ზრდასა და შრომითი ბაზრის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: პოტენციური უზრუნველყოფა, ეკონომიკური ზრდა, პოტენციური უზრუნველყოფის კომპანიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორი, IT სექტორი.

შესავალი

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებად და სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მისი გავლენა დღითი-

დღე იზრდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე, რაც ტექნოლოგიური პროგრესის, გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის თანმდევი პროცესების შედეგია. თანამედროვე პირობებში ICT სექტორი აღარ არის მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების სიმბოლო - ის იქცა ეკონომიკური ზრდის, მდგრადი განვითარების და გლობალური კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალად. როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორი სულ უფრო მეტად ეყრდნობა ციფრულ ტექნოლოგიებს ეფექტიანობის გაზრდისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით. ამავდროულად, ICT მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინკლუზიური ეკონომიკის მშენებლობაში, რაც გულისხმობს ციფრულ გარემოზე თანაბარ წვდომასა და ცოდნის საზოგადოებაზე ორიენტირებულ განვითარებას.

საქართველო, მცირე, მაგრამ ევროპის და აზიის გზაჯვარედინზე, სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანაა, ჩვენმა ქვეყანამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები განახორციელა. სსრკ-საგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ დაიწყო ბაზარზე ორიენტირებული რეფორმებისა და მოდერნიზაციის პროცესი. ერთ-ერთი მთავარი სფერო, რომელმაც ამ ტრანსფორმაციის პროცესში წვლილი შეიტანა, არის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სექტორი, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად სწრაფად ვითარდება, განსაკუთრებით პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიაში. საქართველოში, ინოვაციების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის კუთხით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრი პროგრამა და რეფორმა განხორციელდა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) შექმნა, რომელიც უკვე ათი წელია არსებობს. მისი მიზანია ისეთი ეკოსისტემის შექმნა, რომელიც მხარს დაუჭერს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვას და ტექნოპარკების, ინოვაციების ცენტრებისა და ლაბორატორიების გახსნის უზრუნველყოფას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მიუხედავად პროგრესისა, საქართველოს პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიების როლი ინოვაციის ეკოსისტემის ფორმირებაში, ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ციფრული გადაწყვეტილებების, პროდუქტების და სერვისების შექმნაში, მათი წვლილი ინოვაციური ტექნოლოგიების და ციფრული ტრანსფორმაციის განვითარების პროცესში ჯერ სრულად არ არის გააზრებული.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის როლი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში

საქართველოს პროგრამული უზრუნველყოფის (პროგრამული პროდუქციის) ბაზარი აქტიურად ვითარდება და ფართოვდება. ბოლო წლებში, ამ ინდუსტრიაში როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კომპანიების მუშაობა შესამჩნევად გაიზარდა, რაც ხელს უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციებს. ქართულ ბაზარზე არსებული პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანიები ძირითადად ორიენტირებულები არიან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთანავე, ბევრი კომპანია სპეციალიზდება სხვადასხვა დარგში, მათ შორისაა: ბიზნეს-ოპერაციების ავტომატიზაცია, კიბერუსაფრთხოება, ე-კომერცია, ფინანსური ტექნოლოგიები და სხვა.


საქართველოში 2020 წლიდან მოქმედებს საგადასახადო შეღავათები IT კომპანიებისათვის, რამაც ბიძგი მისცა საქართველოს ბაზარზე საერთაშორისო კომპანიების შემოსვლას, მათ შორისაა კომპანიები - Epam, Lineate, Sweeft Digital და სხვა. აღნიშნული საგადასახადო პოლიტიკის მიხედვით, საქართველოს საწარმო, რომელსაც მიენიჭება საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით (დადგენილება № 619, 2020 წლის 8 ოქტომბერი), განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს და შემოსავალს მხოლოდ ამ საქმიანობიდან იღებს, ისარგებლებს შეღავათიანი დაბეგვრის სისტემით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული ეროვნული კლასიფიკატორით (სეკ 006-2016) ნებადართულ ეკონომიკურ საქმიანობაში შედის 58.2 და 62-ე კოდებით გათვალისწინებული საქმიანობები, მათ შორის: პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული თამაშების გამოცემა, კომპიუტერული დაპროგრამება და მასთან დაკავშირებული სერვისები, საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში, ციფრული პროდუქტების დამზადება და მათი პროგრამული უზრუნველყოფა, ვებგვერდების დამზადება, განახლებული ვერსიების მიწოდება და ა.შ. საშეღავათო პოლიტიკა გულისხმობს 5%-იან მოგებასა და საშემოსავლო გადასახადს, ასევე ნულოვან დივიდენდის გადასახადს, მაშინ, როდესაც სტანდარტული განაკვეთის მიხედვით, მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე 15 %-ია, საშემოსავლო გადასახადი 20%, ხოლო - დივიდენდის გადასახადი 5% (გალტ & თაგარტი, 2024). 2024 წლის მონაცემებით, IT კომპანიების განაწილების მიხედვით, ბაზრის 84%-ს უცხოური კომპანიები იკავებს. საერთაშორისო კომპანიებს საქართველოში ძირითადად დაბალი ხარჯები იზიდავთ, მაგალითად, ფიქსირებული ინტერნეტის საშუალო ფასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტულია - 2024 წლის მონაცემებით, დაახლოებით 13 დოლარია, ყველაზე იაფი პაკეტის ღირებულება კი 11 დოლარი (<https://www.magticom.ge/ka/changes0825>), სომხეთში ფიქსირე-

ბული ინტერნეტის საშუალო ღირებულება 17 დოლარს აჭარბებს (<https://old.ucom.am/en/personal/home-services/unetx>), ხოლო ევროპის რეგიონში საშუალო ღირებულება თვეში 20-დან 50 დოლარამდე მერყეობს. საქსტატის მონაცემებით, 2024 წელს, კომპანიების 94.4%-ს ჰქონდა ინტერნეტი, აქედან მსხვილი კომპანიების 100% აღჭურვილია ინტერნეტით. ასევე სხვა IT კუთხით მიმზიდველ ლოკაციებთან შედარებით საქართველოში ცხოვრების ხარჯები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, 2025 წლის მონაცემებით, აღნიშნული ხარჯები 511 ამერიკულ დოლარს უტოლდება, იგივე მაჩვენებელი სომხეთში 546 დოლარია, ბულგარეთში - 615 დოლარი, ალბანეთში - 664 დოლარი (ცხოვრების ხარჯებში არ შედის ბინის ქირის ხარჯი) (<https://livingcost.org/>).

გალტ&თაგარტის კვლევების მიხედვით ქართველ პროგრამისტებში პოპულარულია ისეთი პროგრამული ენები, როგორიცაა : JavaScript, Python, C# და ა.შ. თუმცა, ყველაზე მეტი კოდი ინერება HTML -ში.

დეველოპერების განაწილება პროგრამირების ენის მიხედვით, Github-ზე საქართველოდან, 2023 წელი.

დიაგრამა1.



წყარო: galtandtaggart.com

გარდა საერთაშორისო კომპანიებისა, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სტარტაპების შექმნა. 2025 წლის თებერვალში Forbes Georgia-მ და Axel-მა გამოაქვეყნეს ტოპ 10 ყველაზე გამორჩეული ტექნოლოგიური კომპანიების სია, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ სტარტაპების უმეტესობა მონაწილეობდა GITA-ს საგრანტო კონკურსებში. სიაში შევხვდებით ისეთ კომპანიებს, როგორიცაა მაგალითად, რეკრუტირების მართვის სისტემა Helio.AI, რომელიც კომპანიებს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით უმარტივებს ადამიანების

შერჩევის პროცესს, Amadeo, რომელიც აწვდის ფინანსურ ანალიტიკას, მარეგულირებელ ანგარიშგებას და სესხის განაცხადის ავტომატიზებულ პროცესებს მცირე და საშუალო ბიზნესებს, Widgera, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესებს სთავაზობს დეველოპერების გარეშე შექმნან და გამართონ ვებსაიტები.

როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები აჩვენებს, პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრია და მისი მომიჯნავე სფეროები უკვე ერთ-ერთი წამყვანი სექტორი ხდება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანიები, განსაკუთრებით - მცირე და საშუალო ზომის, აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბიზნესებთან, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის წილი 2021 წელს საერთო მშპ-ში დაახლოებით 2%-3% იყო. 2024 წლის წინასწარი მონაცემებით ეს რიცხვი 6.4%-მდეა გაზრდილი. პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომ ICT სექტორის წილი მშპ-ში შენარჩუნდეს და გაიზარდოს. 2023 წელს სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტმა თითქმის 892 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წელთან შედარებით 87 %-ითაა გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ აქედან 671 მლნ მოდის კომპიუტერულ მომსახურებაზე, ხოლო დანარჩენი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე.


დროთა განმავლობაში იზრდება საწარმოთა წილი, რომლებიც იყენებდნენ ურთიერთდაკავშირებულ მოწყობილობებს ან სისტემებს, რომელთა მართვა და კონტროლი შესაძლებელია ინტერნეტით (ნივთების ინტერნეტი). მაგალითად, 2020 წელს ასეთი საწარმოების წილი 6.7 % იყო, ხოლო 2023 წლის მონაცემებით - 10.5%-მდეა გაზრდილი. ასევე, 2021 წელთან შედარებით გაზრდილია ისეთი საწარმოების რაოდენობა, რომლებიც CRM პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებს იყენებს. 2021 წელს ასეთი საწარმოების წილი 52.6 % იყო, ხოლო 2024 წლის წინასწარი მონაცემებით - 55.4 %-ია (<https://www.geostat.ge/>).

მნიშვნელოვანი ფაქტორი პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიის ზრდის შენარჩუნებაში საქართველოში არის განათლება და პროფესიული მომზადება. ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ასწავლიან პროგრამირების, მონაცემთა ანალიტიკის, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებებს, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდა პროფესიონალებს შექმნან ახალი ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციას გაუწე-

ვენ უცხოურ კომპანიებს. პროგრამული უზრუნველყოფის და ტექნოლოგიური სექტორის ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე სამუშაო ადგილების შექმნაზე. ბოლო წლებში, როდესაც ქვეყანამ უფრო დიდი ყურადღება დაუთმო ციფრულ ტრანსფორმაციას და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრია გახდა ერთ-ერთი ძირითადი სექტორი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. საქართველოში იზრდება იმ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, რაოდენობა, რომელთაც აქვთ სურვილი პროგრამირების, მონაცემთა ანალიტიკის, ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების სფეროში დასაქმდნენ. მონაცემთა მეცნიერება შედარებით ახალი და მზარდი მიმართულებაა, სტუდენტთა უმეტესობა სწავლობს უფრო ტრადიციულ მიმართულებებზე, როგორიცაა ეკონომიკა, ბიზნესი ან სამართალი, თუმცა, უნივერსიტეტებში მონაცემთა მეცნიერების პროგრამები წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება. გარდა უნივერსიტეტებისა, ბოლო წლებში შეიქმნა ბევრი აკრედიტირებული პროგრამა. 2020-2023 წლებში, კოვიდ პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, უფრო ნათელი გახდა ციფრული სამყაროს მნიშვნელობა, კომპანიები მოერგნენ არსებულ რეალობას და შექმნეს IT სფეროსთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაო ადგილები. თანამედროვე მსოფლიოში IT ინდუსტრიაში ანაზღაურება უფრო მაღალია ვიდრე, სხვა სექტორებში, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ამ სექტორს ახალგაზრდებისათვის.

კომპიუტერული პროგრამირების ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით

გრაფიკი 1.




საქართველოში ICT (ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების) სპეციალისტების წილი მთლიანი სამუშაო ძალაში ბოლო წლებში თანდათან იზრდება. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სამეწარმეო სექტორში ინოვაციებზე ორიენტირებული მიდგომები აისახება, როგორც სამუშაო ბაზარზე, ასევე ეკონომიკურ ზრდაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მსხვილი საწარმოების 55.9%-სა და საშუალო და მცირე კომპანიების 32.7 %-ში დასაქმებულია ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სპეციალისტები. ICT სექტორის ზრდა სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული, თუმცა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა, ქვეყანაში შემოვიდა კვალიფიციური IT სპეციალისტების დიდი ნაკადი, რამაც გავლენა იქონია საქართველოს შრომის ბაზრის სტრუქტურაზე, გაიზარდა მოთხოვნა პროგრამისტებზე, ვებ-დეველოპერებსა და მონაცემთა მეცნიერებაზე, რაც აისახა ბაზარზე არსებულ შრომის ანაზღაურებაზე. 2023 წლის მონაცემებით, IT სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 30000-50000 ადამიანი (https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2024-05/report/it-sector-in-georgia_may-2024_geo_0.pdf).

2018-2023 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში იზრდებოდა 15-20%-ით ყოველწლიურად, რაც დაკავშირებულია რო-

**დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი
ინფორმაციისა და საკომუნიკაციო სექტორში.**

გხაფიკი 2.



წყარო: geostat.ge

გორც ადგილობრივი მოთხოვნის ზრდასთან, ასევე საერთაშორისო კომპანიების დაინტერესებასთან საქართველოს ბაზრით. ამასთან, IT სექტორში ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა; 2023 წლის მონაცემებით, საშუალო ანაზღაურება 6940 ლარია, რაც 2021 წელთან შედარებით ორმაგი ზრდაა.

თუმცა, 2024 წელს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, საქართველოს IT სექტორის შემოსავალი წინა წელთან შედარებით 12% - ით შემცირდა. კლება მოსალოდნელი იყო, რადგან ზრდა გასულ წლებში მიგრაციულ ეფექტს უკავშირდებოდა, 2024 წლის განმავლობაში კი IT სპეციალისტების გარკვეულმა ნაწილმა საქართველო დატოვა, რაც ამ სფეროდან მიღებულ შემოსავლებზეც აისახა. კლება საგანგაშო არ არის, დარგის ექსპერტების აზრით ეს მაჩვენებელი შემდეგ წლებში დასტაბილურდება, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული საგადასახადო შეღავათები და დაგეგმილი IT ჰაბის მშენებლობა. საქართველოში IT (ან უფრო ფართო გაგებით, ICT) სექტორი აქტიურად ვითარდება, მაგრამ ამ განვითარებას ახლავს მთელი რიგი გამოწვევები. სასწავლო პროგრამები, ჯერ კიდევ ვერ ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებს. სტარტაპებისა და მცირე ტექნოლოგიური კომპანიების ზრდისთვის საინვესტიციო გარემო ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მომწიფებული. საქართველოს შიდა ბაზარი საკმაოდ პატარაა და მრავალი ტექნოლოგიური კომპანია გლობალურ ბაზარზე გასვლას ცდილობს, თუმცა, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ცოდნა, ქსელები და რესურსები, რაც ბევრ სტარტაპსა და კომპანიას ჯერ კიდევ არ აქვს. გაციფრულების ზრდასთან ერთად იზრდება კიბერუსაფრთხოების რისკიც. საქართველოში კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ სუსტია, ხოლო ციფრული სერვისების მომხმარებლების ინფორმირებულობა – დაბალი, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ტექნოლოგიური სექტორისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველო პროგრამული უზრუნველყოფის და ტექნოლოგიური ინდუსტრიის მხრივ მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, რაც გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ცვლილებაზე. ქართული პროგრამული პროდუქციის ბაზარი აქტიურად ვითარდება, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ინტერესმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს ინდუსტრია. საგადასახადო შეღავათები და ხელმისაწვდომი სამუშაო ძალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს. პროგრამული ინდუსტრიის ზრდა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, საყოველთაო ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოზე. ქვეყნის ტექნოლოგიური სექტორი აქტიურად მონაწილეობს მთლი-

ანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ მიმართულებით, საქართველო ეყრდნობა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ბიზნესების აქტიურ თანამშრომლობას.

მოცემული ანალიზის საფუძველზე, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის შემდგომი გაძლიერებისა და ეკონომიკურ ზრდაზე მისი გავლენის ოპტიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

განათლებისა და პიოფესიული მომზადების სისტემის მოდერნიზაცია

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამების მორგება სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ მოთხოვნებზე.

- საჭიროა STEM მიმართულებების გაძლიერება, მონაცემთა მეცნიერებისა და კიბერ უსაფრთხოების მიმართულებების ინტეგრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლების მხარდაჭერა.

სტატიკა ეკონომიკის გაძლიერება

- რეკომენდებულია სტარტაპებისთვის მეტი ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერის შეთავაზება.

- სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობით შესაძლებელია სტარტაპ აჩქარების პროგრამების, საინვესტიციო პლატფორმების ჩამოყალიბება, რაც ტექნოლოგიურ ინოვაციებს შეუწყობს ხელს.

ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება ხევიონებში

- ინტერნეტის სიჩქარისა და სტაბილურობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით რეგიონებში

- აუცილებელია, ციფრული ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად სწრაფი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა.

საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა

- მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური კომპანიების გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამებისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით.

- საჭიროა საერთაშორისო ტექნოლოგიურ გამოფენებსა და ღონისძიებებში აქტიური ჩართულობის წახალისება.

ICT სექტორის სტატისტიკური მონაცემების მუდმივი მონიტორინგი

- მნიშვნელოვანია, რეგულარულად ხდებოდეს სექტორის მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება, რაც დაეხმარება როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელებს, ასევე კერძო სექტორს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ლიტერატურა:

Referneces:

- ქისტაური ნ., ქველაძე ქ., მელაშვილი მ. (2018). პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების თანამედროვე ტენდენციები 6-7 ივლისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.142-145. თბილისი.
- Kistauri N., Kveladze K., Melashvili M. (2018). programuli uzrunvelqopis shemushavebis tana-medrove tendentsiebi [Modern Trends in Software Development, July 6-7, TSU P. Gugushvili Institute of Economics Publishing House, pp. 142-145. Tbilisi.] in Georgian
- Articles and Reports from GITA (Georgia's Innovation and Technology Agency). Accessed December 13, 2024. www.gita.gov.ge.
- The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia (2022). Accessed December 13, 2024. <https://intapi.sciendo.com/pdf/10.2478/bjes-2022-0010>.
- Asian Development Bank.Georgia's Innovation Ecosystem: Challenges and Opportunities. Accessed December 13, 2024. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/864291/georgia-ecosystem-technology-startups.pdf>.
- IT სექტორი საქართველოში, მაისი 2024, გალტ & თაგარტი.
- BTU. Digital Ecosystem Digest. Accessed December 13, 2024. <https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2024/03/Winter-2024-Digest-ENG.pdf>.
- <https://bm.ge/news/it-seqtorshi-sashualo-khelfasi-6-940-laria-ramden-adami-ans-asaqmebs-industria>
- <https://commersant.ge/news/economic/2023-tslis-otkhive-kvartalshi-dasaqmebulta-ra-odenobis-zrda-da-umushevrobis-donis-shemtsireba-gagrdzelda-vakhtang-tsintsadze>
- https://www.oecd-ilibrary.org/economics/western-balkans-competitiveness-outlook-2024-albania_a45245a8-en
- <https://www.matsne.gov.ge/>
- <https://www.imf.org/en/Home>
- <https://assets.kpmg.com/content/dam/kpmg/ge/pdf/2020/10/ge-en-tax-incentives-for-international-company.pdf>
- https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2024-05/report/it-sector-in-georgia_may-2024_geo_0.pdf
- <https://www.geostat.ge/>
- <https://forbes.ge>
- <https://it.org.ge/p1/>
- <https://pmcg-i.com/research/it-services-in-georgia/>
- <https://bestbroadbanddeals.co.uk/broadband/pricing/worldwide-comparison/>
- <https://www.magticom.ge/ka/changes0825>
- <https://old.ucom.am/en/personal/home-services/unetx>
- <https://livingcost.org/>
- <https://www.magticom.ge/ka/changes082>
- <https://old.ucom.am/en/personal/home-services/unetx>
- <https://livingcost.org/>

The Impact of the Information and Communication Technology (ICT) Sector on Economic Growth

Luka Tsertsvadze

Doctoral Student

Iv. Javakishvili Tbilisi State University

lukatsertsvadze@gmail.com

The Information and Communication Technology (ICT) sector has profoundly influenced both global and local economies, as well as societal structures. Its rapid expansion has disrupted traditional business models and introduced new opportunities and challenges. The integration of ICT into various sectors, including business, education, public services, and governance, has reshaped operational processes, stimulated innovation, and enhanced economic competitiveness.

This study examines the role of the ICT sector in fostering economic growth, with a particular emphasis on software development companies in Georgia. These companies play a critical role in driving technological innovation, contributing significantly to the country's GDP, especially through software exports. The analysis explores prevailing trends and structural characteristics within the ICT sector, underscoring its multifaceted impact on various sectors, including labor markets, innovation, and inclusive economic development.

Georgia's software industry has emerged as a pivotal force in advancing technological innovation. In recent years, Georgia has positioned itself as a regional technology hub, with software companies increasingly attracting both domestic and international partnerships. Integration into global market has intensified competition and catalysed the development of new business models. As digital tools and platforms proliferate, Georgia's software companies are gaining prominence in global business, leveraging the country's favorable tax policies and low labor costs.

The expansion of the ICT sector has also had a transformative impact on the labor market. Software companies have generated thousands of new employment opportunities, particularly in software development, data analysis, and IT services. The rise of the digital economy has elevated the relevance of knowledge-intensive occupations and reshaped the skill sets required for modern work environments. This surge in demand for ICT has contributed to rising wage levels within the sector, notably in roles such as software developers, web developers, and data scientists.

In response to this accelerating demands of the ICT sector, educational institutions across Georgia have updated their programs to better align with industry needs. Universities and schools have introduced new programs and courses in emerging

technologies such as data science, artificial intelligence, and cybersecurity. These developments have been complemented by government-led initiatives promoting STEM (Science, Technology, Engineering, and Mathematics) education and vocational training, effectively equipping the workforce with the skills required to meet the growing demand for ICT professionals.

The rising significance of the ICT sector is reflected in its expanding contribution to Georgia's economy. The country's strategic geographic location – at the crossroads of Europe and Asia – has enhanced its appeal as a destination for foreign investment in the ICT industry. Coupled with favorable tax policies and competitive labour costs, Georgia has rapidly evolved into a hub for international technology companies. This dynamic growth is reflected in the country's increasing presence at global tech conferences and trade events, further boosting its reputation as a regional leader in software development and IT services.

Despite this growth, the ICT sector in Georgia faces several challenges. One of the primary issues is the country's limited digital infrastructure, particularly in rural areas, where access to high-speed internet and reliable communication networks presents a substantial barrier to digital development. In response, the government has initiated targeted efforts to enhance connectivity in underserved regions. This includes improving internet speed and accessibility, which is essential for the continued growth of the digital economy.

A further pressing challenge within Georgia's ICT sector is the increasing need for enhanced cybersecurity. As digital services expand, the vulnerability to cyberattacks intensifies, making cybersecurity a top priority for both businesses and the government.

In addition, the study underscores the importance of a supportive environment for startups in the ICT sector. Despite Georgia's notable growth in foreign investment, targeted policies are still needed to bolster domestic startups. Strategic measures – such as financial support, consulting services, and the development of dedicated investment platforms – could significantly enhance the capacity of local enterprises to scale and compete globally. By fostering such an environment, Georgia stands to strengthen its position within the international tech industry while promoting innovation and entrepreneurship.

In conclusion, the ICT sector in Georgia has emerged as a vital driver of economic growth, shaping the labor market dynamics and encouraging innovation. Leveraging its core advantages – such as a skilled workforce, a competitive business climate, and strategic geographic positioning – Georgia has established itself as a regional leader in technology. Nonetheless, sustaining this momentum will require overcoming key challenges such as infrastructure issues, cybersecurity vulnerabilities, and insufficient

support mechanisms for startups. With sustained investment and targeted policie interventions, Georgia is well-positioned to deepen its integration into the global digital economy and secure the long-term success of the ICT sector.

Keywords: Software, economic growth, software development companies, information and communication technology (ICT) sector, IT sector.

JEL Codes: O30, O31, O32, O33, O38

ბიზნესი ♦ მენეჯმენტი ♦ მარკეტინგი ♦ ტურიზმი
BUSINESS ♦ MANAGEMENT ♦ MARKETING ♦ TOURISM

Economic Impact of Tourism Industry Development in Georgia: Current Trends

Ioseb Khelashvili

Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
ioseb.khelashvili@tsu.ge

Mariam Sharia

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
mariamshariag@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.06

This study analyses the impact of tourism industry development on Georgia's economy through a mixed-method research approach that integrates both quantitative and qualitative analysis. The quantitative component relies on statistical data, applying polynomial regression and Leontief's input-output model to assess the depth assessment of tourism's integration into the economic system. The qualitative aspect involves a survey of representatives from 78 accommodation providers, aimed at identifying the structure and trends in the consumption of Georgian versus imported products and services. The results revealed that although the absolute indicators of Georgian products are increasing, their share is shrinking due to the concurrent rise in imports. Moreover, the study reveals that the tourism industry's expansion significantly influences key supply sectors such as manufacturing, trade, and real estate. The research highlights the importance of enhancing the involvement of local resources in Georgia's tourism development strategy to retain generated income and reduce import-related expenditures.

Keywords: Tourism industry, economic impact, input-output model, Georgia

JEL Codes: L83, C67, O18, O13, R11

Introduction

The tourism industry in Georgia encompasses a wide range of consumer services, ranging from core and supplementary services for tourists, to domestic and international transportation, food and beverage services, security provision, environmental protection, sanitation, insurance organisation, and many others. This

diversity fosters extensive economic linkages both within and beyond the national economy, and on the other hand, underscores the importance of studying the interconnected processes.

As one of Georgia's leading economic sectors, tourism warrants thorough investigation - particularly in areas such as revenue generation, local economic simulation, dependence on external markets, and its overall economic impact.

The aim of this study is to explore the characteristics of the economic impact of the tourism industry in Georgia, determine current trends, and outline potential directions for future development.

The study's goal-oriented objectives shape its overall structure and stages, including an overview of concepts related to the topic, an evaluation of the main tourism segments' contribution to the national economy, and an analysis of the economic linkages driven by the tourism industry in order to provide baseline data for rational future development directions.

Concepts and Information Sources on Intersectoral Economic Linkages in the Tourism Industry

რდაუვალი მომავალია და ამდენად ელექტრონული გადახდების მეთოდების უნიფიცირება აუცილებელი შემადგენელი იქნება ყველა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ანგარიშსწორების სისტემები უკვე უნიფიცირებულია და მისი მართვა ინდუსტრიის მონაწილეთა მიერ ეფექტიანად ხორციელდება.

მნიშვნელოვანი ნეგატიური ფაქტორი, რაც გადახდების გაციფრულების გამოწვევად შეგვიძლია დავასახელოთ, არის პერსონალური ინფორმაციის დაცულობა.

საბანკო და საფინანსო სექტორების ზრდა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული გადახდებისა და ტრანზაქციების გაციფრულებაზე. 2019 წლის მონაცემების მიხედვით (World Payments report 2019) 2017 წელს გადახდებიდან მიღებული შემოსავალი 1.9 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2023 წლის შედეგი - 2,4 ტრლნ აშშ დოლარია. 2028 წლის პროგნოზით კი 3,1 ტრლნს გადააჭარბებს (McKinsey 2025).

უნაღდო ანგარიშსწორების მხრივ, მსოფლიოს ლიდერთა ათეულში აშშ, ევროზონა, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთია. სამთავრობო ინიციატივების გავლენით რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში საინტერესო ბიზნესქეისების რეალიზება განხორციელდა, რასაც უნაღდო ეკონომიკის აყვავება მოჰყვა შედეგად.

ევროზონის უმაღლეს ლიგაში ნორვეგია მოხვდა, სადაც უნაღდო ანგარიშსწორების მაჩვენებელი პერ კაპიტაზე ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ფედერალ რეზერვის მონაცემებით, აშშ-ში უნაღდო გადახდები ყოველწლიურად საშუალოდ 8.9%-ით იზრდებოდა 2015-2018 წლების შუალედში.

ინდოეთის GDP ზრდის ტემპი 4 წელიწადში 7.69-ით უფრო დაბალია, ვიდრე ბარათების (16%), მობილური გადახდების (121%) და მობილური ბანკინგის (153%). პოზიტიური და ყველაზე მაღალი კორელაცია აქვს მობილურ გადახდებსა და მობილურ ბანკინგს (0.79), რასაც მოსდევს GDP & მობილური გადახდები (0.37), რაც ამ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ინდიკატორად მობილური აპლიკაციების განვითარებაზე მიანიშნებს.

მაღალიზის ინდიკატორების ანალიზით ირკვევა, რომ ელექტრონული გადახდები იზრდება მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ, თუმცა ნაღდი ფული ბრუნვაში უფრო მზარდი ტრენდითაა წარმოდგენილი.

შვედეთში ნაღდი ფული ბრუნვაში მცირდება და იზრდება ელექტრონული გადახდების ხვედრითი წილი. უკონტაქტო გადახდებმა კიდევ უფრო დააჩქარა უნაღდო ანგარიშსწორების ზრდის ტემპი როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. 2012 წლის შემდეგ 2-ჯერ არის გაზრდილი საერთაშორისო ტრანზაქციების წილი გადახდებში, ვიდრე ქვეყნის შიდა გადახდები: განვითარებული ქვეყნის თითო გადამხდელზე წელიწადში 14 გადახდა საერთაშორისოა, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი წე-

ლინადში 2-ია. ამ მაჩვენებლის ზრდა ონლაინ კომერციის განვითარებას შე-
გვიძლია დავუკავშიროთ.

ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის გადახ-
დების სტატისტიკა (European Central Bank (ECB) 2019) ევროზონის უნაღდო მაჩ-
ვენებლის 7.9%-იან ზრდას აფიქსირებს (90.7 მლრდ ევრო 2018-ში), საბანკო
ბარათების წილი უნაღდო გადახდებში 46%-ია, ხოლო გადარიცხვების/პირ-
დაპირი კრედიტის წილი სულ 23%-ია. საცალო გაყიდვები საშუალოდ 1.6 ბა-
რათით პერ კაპიტა, 44 მლრდ ტრანზაქცია 32 ტრლნ ევროზე განხორციელდა
ერთი წლის განმავლობაში.

საუდის არაბეთის ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზით, ქვეყნის GDP
იზრდება ელექტრონული გადახდების ინფრასტრუქტურის ზრდასთან ერთად
(ონლაინ პლატფორმების, პოსებისა და ბანკომატების რაოდენობა), ანუ საუ-
დის არაბეთში პოზიტიური კორელაციაა მშპ-სთან და ქვეყანამ ამ მიმართუ-
ლების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

ცხრილში მოცემული 5 ქვეყნის ეკონომიკური ინდიკატორების ბივარი-
აციული კორელაციის მეთოდით ანალიზისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ
მნიშვნელოვანი რეგრესიული დამოკიდებულება საუდის არაბეთის, ავსტრა-
ლიისა და კანადის ეკონომიკებს არ აქვთ არცერთ ინდიკატორზე, თუმცა, მა-
ღალია ინგლისის GDP -ის კორელაცია ბანკომატების რაოდენობასთან (0.949).

ძირითადი პარამეტრების კორელაცია (ზრდის ტემპი) 2014-2018

ცხრილი 1.

კორელაცია ქვეყნების მიხედვით	ბარათები	პოსები	ბანკომატები
GDP საქართველო	0.54	0.99	0.92
GDP საუდის არაბეთი	0.087	0.813	0.893
GDP ინგლისი	-0.548	0.652	0.949
GDP ავსტრალია	-0.583	-0.687	-0.47
GDP კანადა	0.131	-0.694	0.228

წყარო: www.statista.com

საქართველოს რეალობაში სტატისტიკური მონაცემები გვაძლევს გარ-
კვეული დასკვნების გამოტანის საფუძველს. კერძოდ, 2015-2023 პერიოდში შე-
გროვებული მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე 2 საგადახდო
ინსტრუმენტი მოდის, რაც ემიტენტებს შორის არსებულ კონკურენციაზე მე-
ტყველებს. ყველა ემიტენტი ცდილობს მომხიბვლელი გახადოს პროდუქტი,
რათა მომხმარებელმა სწორედ მის მიერ ემიტირებული ბარათით და, მაშა-

სადამე, საბანკო ანგარიშით მოახდინოს გადახდა. ყოველწლიურად საშუალოდ 30%-ით იზრდება ბარათით გადახდების მოცულობა. 2023 წლისთვის ეს მაჩვენებელი 6 მლრდ ლარზე ავიდა, საიდანაც 22% ინტერნეტშია შესრულებული. თვალსაჩინოა ინტერნეტგადახდების ზრდის დინამიკა - წლიურად, საშუალოდ 57%, რაც ბოლო პერიოდში პოსტპანდემიური გავლენით ონლაინ გადახდებზე გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება. ადგილზე მაღაზიებში გადახდების საშუალო ზომა დროთა განმავლობაში მცირდება, ხოლო ინტერნეტ გადახდებში პირიქით - იზრდება. ეს ტენდენცია გამარტივებულ უკონტაქტო გადახდებს უნდა მივანეროთ, როდესაც მომხმარებელი უფრო მოხერხებულად და კომფორტულად, ანუ უფრო ხშირად ახერხებს ბარათის, ტელეფონის, საათის საგადახდო ინსტრუმენტად გამოყენებას და ყოველდღიურ გადახდებში სულ უფრო ინტენსიურად იყენებს მათ, მათ შორის, ტრანსპორტში. ინტერნეტში გადახდის ზომის გაზრდა კი მომხმარებელთა უფრო თამამ ნაბიჯებზე მეტყველებს, როდესაც ისინი ვირტუალურ სივრცეში ახორციელებენ ონლაინ შესყიდვებს უფრო მეტი ღირებულების პროდუქციამზე.

უნაღდო ანგარიშსწორების უფრო მეტი პენეტრაციისთვის ბანკები სულ უფრო მეტ ინვესტიციას ახორციელებენ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ბარათით გადახდების მიღების წერტილები დიდ ქალაქებთან ერთად რაიონულ ცენტრებსაც ფარავს წლიურად 20%-იანი ზრდის ტემპით. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში 117 000-ზე მეტი უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი პოს ტერმინალია განთავსებული სავაჭრო წერტილებში ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტის: ბარათის, საათის, ტელეფონის, ბრელოკის, სტიკერის და სხვა გაჯეტის მისაღებად. ონლაინ გაყიდვებში ჩასართავად მეტი ბიზნესსუბიექტი ინტერესდება და ცდილობს ბიზნესკონცეფციის ონლაინზე გადართვას, რისი დასტურიც გაზრდილი ონლაინ გაყიდვებია წლიური 50%-იანი ნაზრდით (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024) (დანვრილებით იხ. ცხრილი 2).

ექსტრაპოლაციის მეთოდით დათვლილი კორელაციის კოეფიციენტი ბარათებით შესრულებულ ოპერაციების მოცულობასა და მშპ-ს შორის $R=0.98\%$ -ს შეადგენს, რაც ამ ორ მაჩვენებელს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მეტყველებს. კორელაციის ფორმულა $Yx=22,589+1,9*X$, სადაც X ცვლადი უნაღდო გადახდებია, ხოლო Y - მშპ-ი, ანუ გადახდების ციფრულ არხებში გადაყვანა ცალსახად დადებითად მოქმედებს ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებელზე, და შესაბამისად, თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზე.

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის შემოსავლების წილი მშპ-ში 5,2%-ია. წრფივი რეგრესიის მეთოდით დგინდება, რომ მათ შორის ძლიერი კორელაციური კავშირია და კოეფიციენტი 0,99%-ს შეადგენს. ურთიერთდამოკიდებულების ფორმულა კი ასე გამოისახება: $Yx=19,8*X-460,4$.

საქართველოს სტატისტიკური მონაცემები

ცხილი 2.

მთლიანი შიდა პროდუქტის პრიცენტული სტრუქტურა	2018	2019	2020	2021	2022	2023
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ ლარი)	39 392	43 482	43 453	52 826	63 397	69 572
მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში	4 722	4 696	4 256	5 023	6 676	8 219
საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობების შემოსავლები	2 160	2 063	2 089	2 619	3 151	3 628
საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობების წილი მშპ-ში	5,5%	4,7%	4,8%	5,0%	5,0%	5,2%
მოსახლეობის რაოდენობა	3 729 600	3 723 500	3 716 900	3 728 600	3 688 600	3 736 357
საგადახდო ინსტრუმენტების რაოდენობა	7 471 220	6 726 735	6 882 652	6 870 302	7 817 427	8 626 656
საგადახდო ინსტრუმენტი თითო მოსახლეზე	2,0	1,8	1,9	1,8	2,1	2,3
ბარათებით შესრულებული ოპერაციების რაოდენობა	26 576 822	35 691 617	38 932 508	48 869 269	69 434 601	80 821 756
ბარათებით შესრულებული ოპერაციების მოცულობა (მლნ ლარი)	2 453 326	3 217 095	3 503 108	4 731 624	6 344 058	6 554 033
საშუალო გადახდა	92	90	90	97	91	81
ინტერნეტში შესრულებული ოპერაციების რაოდენობა	5 021 526	4 588 020	8 698 360	7 344 872	13 714 772	18 918 758
ინტერნეტში შესრულებული ოპერაციების მოცულობა (მლნ ლარი)	291 918	316 845	554 293	604 073	956 197	1 435 141
საშუალო გადახდა ინტერნეტში	58	69	64	82	70	76
კოს-ტერმინალების რაოდენობა	42 877	61 975	72 713	88 364	104 269	117 748
ონლაინ მაღაზიების ბრუნვა (მლნ ლარი)	243 584	347 182	500 764	616 169	658 926	1 025 956

წყარო: nbg.gov.ge; geostat.ge

კვლევის აქტუალობა

საგადახდო სფეროში ჩატარებული ძირეული კვლევები სტატიას კიდევ უფრო ფასეულს გახდის, ამ სწრაფად განვითარებადი სფეროს მიმართ თანამედროვე ციფრული სამყაროს დიდი ინტერესისა და ასევე, მისი ლიტერატურულ გამოცემებში ხალვათად წარმოდგენიდან გამომდინარე. გადახდებსა და მშპ-ს შორის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რასაც მოსახლეობის სუბკულტურები და მენტალობა, სოციალური მდგომარეობა და ეკონომიკური სტაბილურობა, ფინანსური სექტორისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ქმედუნარიანობა უდევს საფუძვლად.

კვლევის ძიხითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია დადგინდეს, თუ რა გავლენას ახდენს საგადახდო ინდუსტრია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. საკვლევი საკითხებია:

- კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული ინოვაციური საგადახდო პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პერსპექტივების კვლევა ელექტრონულ არხებში გადანაცვლების შემთხვევაში, მომხმარებლის მზაობის დადგენა ამ სერვისების გამოსაყენებლად და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;
- გადახდების ინდუსტრიის ფინანსურ სექტორზე დამოკიდებულების კანონზომიერების დადგენა და მშპ-ის შემადგენელი კომპონენტების შესწავლა კონკრეტულ კომპონენტებზე ფინანსური ოპერაციების გავლენის დასადგენად;
- ფინანსური სერვისების გაციფრულებასა და ეკონომიკის ეფექტიანობას შორის კორელაციური ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის კითხვებზე პასუხების მისაღებად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შერეული ტექნიკა, ასევე, ეკონომეტრიკული და სამაგიდო კვლევებით დამუშავდა არსებული სტატისტიკური ინფორმაცია. საჭირო გახდა როგორც რიცხვითი ტენდენციების ანალიზი, ასევე დარგის პროფესიონალთა და სექტორის მოთამაშეთა შეხედულებების სიღრმისეული გამოკვლევა.

კვლევის შეზღუდვები

- მონაცემთა აკურატულობა;
- მონაცემთა შეზღუდვები;
- მეთოდოლოგიური შეზღუდვები.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევისთვის შეირჩა არაალბათური, პანელური მე-
თოდი და მიზნობრივ აუდიტორიას სოციალური ქსელების (Facebook, Instagram,
Linkedin), ელექტრონული ფოსტის გამოყენებით გაეგზავნათ კითხვარი
Google Forms პლატფორმაზე დაყრდნობით. გამოიკითხა 1679 რესპონდენტი
სხვადასხვა გეოგრაფიული და სოციალური მახასიათებლით. რაოდენობრივი
კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კორელაციური დამოკიდებულებები
(იხ. ცხრილი 3.):

ცხრილი 3.

რესპონდენტთა მახასიათებლების კორელაციური დამოკიდებულებები

ცვლადი	კორელაცია
ასაკი & პოზიცია	0,045
ასაკი & განათლება	0.007
ასაკი & შემოსავალი	0.52
პოზიცია & განათლება	0,032
პოზიცია & შემოსავალი	-0,028
განათლება & შემოსავალი	0.005

როგორც კორელაციის ცხრილიდან ჩანს, ასაკთან მჭიდრო კორელაცია-
შია ყოველთვის შემოსავალი და სამუშაო პოზიცია, მაგრამ თანამდებობასა
და შემოსავლიანობას შორის ნეგატიური კორელაციაა. ეს ძირითადად აიხ-
სნება რესპონდენტთა პასუხით, რომ არ აქვს თანამდებობრივი პოზიცია, ანუ
შესაძლოა იყოს თვითდასაქმებული - ფრილანსერი და აქვს შემოსავალი.
აქედან გამომდინარე, კვლევით მიღებული შედეგი არ მიაჩნდება ყოველთვის
შემოსავლის ზრდის პარალელურად, თანამდებობრივ ზრდაზე.

საინტერესოა განათლების ფაქტორი, რომელიც უფრო მჭიდრო დამოკი-
დებულებაში აღმოჩნდა სამუშაო პოზიციასთან, ვიდრე - ასაკსა და შემოსავლი-
ანობასთან, რაც იძლევა ისეთი შეხედულების ჩამოყალიბების შესაძლებლო-
ბას, რომ განათლებას უმეტესად ახალგაზრდა ასაკში ღებულობენ და ასევე,
განათლება არ არის შემოსავლიანობის ზრდის გენერატორი, ანუ განათლების
კვალდაკვალ არ იზრდება ადამიანის ქონებრივი შესაძლებლობები.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივ კვლევაში მონაცემთა შეგროვების პირველად მეთოდებად
გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუები, დაკვირვება ინტერვიუ-

რებზე და მონაცემთა ანალიზი. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეირჩა არასტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება დარგის ექსპერტებთან სხვადასხვა მიმართულებით: ფინანსური სფეროს რეგულატორი - საქართველოს ეროვნული ბანკი; საბანკო სფეროს დარგის სპეციალისტები; საგადახდო სისტემების წარმომადგენლები: VISA/Mastercard; ფინტექ კომპანიების წარმომადგენლები.

ეკონომეტრიკული კვლევა #1: გაციფრულების, გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე (მშპ) - GMM მოდელის ანალიზი.

გაციფრულების მშპ-ზე გავლენის ეკონომეტრიკული მოდელის შესაქმნელად გაანალიზებულ იქნა 6 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, გერმანია, პოლონეთი) 2006-2023 წლების პანელური მონაცემები. კვლევაში ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ცვლადები:

დამოკიდებული ცვლადები

- $\ln GDP_{pc}$: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლოგარითმული)
- IVA : მრეწველობის დამატებული ღირებულება (% მშპ-თან)
- AVA : სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულება (% მშპ-თან)
- SVA : მომსახურების დამატებული ღირებულება (% მშპ-თან)

მთავარი დამოკიდებული ცვლადები (გაციფრულება)

- $\ln DIG$: გაციფრულების ინდექსი (ლოგარითმული)
- $CELL$: მობილური ტელეფონის აბონენტები (100 კაცზე)
- IS : ინტერნეტ სერვერები (ერთ მილიონ კაცზე)
- ICT : საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (% მთლიან ექსპორტთან)

სპორტთან)

- ICT_G : ICT საქონლის ექსპორტი (% მთლიან ექსპორტთან)

საკონტროლო ცვლადები

- $TRADE$: ვაჭრობა (% მშპ-თან)
- GOV_EXP : სახელმწიფო ხარჯები (% მშპ-თან)
- POP_GR : მოსახლეობის ზრდა (%)
- FDI : პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (% მშპ-თან)
- $GFCF$: მთლიანი კაპიტალის ფორმირება (% მშპ-თან)

აღწერითი სტატისტიკიდან იკვეთება მნიშვნელოვანი ტენდენციები:

1. მშპ-ს და გაციფრულებას შორის ძლიერი დადებითი კორელაცია - მაღალია კორელაცია $\ln_gdp_pc$ და $\ln_dig$ შორის (0.950), რაც მიუთითებს ძლიერ კავშირზე ეკონომიკურ განვითარებასა და გაციფრულებას შორის.

2. სოფლის მეურნეობასა და გაციფრულებას შორის უარყოფითი კორელაცია - აშკარაა უარყოფითი კორელაცია ava და $\ln_dig$ (-0.864) და ict_g (-0.561) შორის, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ უფრო გაციფრულებულ ეკონომიკებში სოფლის მეურნეობის წილი მცირდება.

3. მომსახურების სექტორისა და გაციფრულების დადებითი კავშირი - დადებითი კორელაცია sva -სა და გაციფრულების ცვლადებს შორის მიუთითებს, რომ მომსახურების სექტორი იზრდება გაციფრულების ზრდასთან ერთად.

4. მრეწველობისა და გაციფრულების შერეული კავშირი - კორელაცია iva -სა და გაციფრულების ცვლადებს შორის შერეულია, რაც მიუთითებს უფრო კომპლექსურ ურთიერთობაზე.

შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

1. გაციფრულების დადებითი გავლენა მშპ-ზე
 - გაციფრულების (ln_dig) 1%-ით ზრდა ასოცირებულია მშპ-ის 0.717%-ით ზრდასთან, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე
 - მობილური ტელეფონების ($cell$) გავრცელება ასევე მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს მშპ-ზე
 - ICT საქონლის ექსპორტის (ict_g) ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის მშპ-ს
2. გაციფრულების გავლენა ეკონომიკის სექტორებზე
 - გაციფრულება დადებით გავლენას ახდენს როგორც მრეწველობის (0.592), ასევე მომსახურების (0.684) და სოფლის მეურნეობის (0.392) სექტორებზე
 - გავლენა ყველაზე ძლიერია მომსახურების სექტორზე, შემდეგ - მრეწველობაზე, და შედარებით სუსტია სოფლის მეურნეობაზე
3. საკონტროლო ცვლადების გავლენა
 - მთლიანი კაპიტალის ფორმირება ($gfcf$) პოზიტიურად და მნიშვნელოვნად მოქმედებს ყველა დამოკიდებულ ცვლადზე
 - სახელმწიფო ხარჯების (gov_exp) გავლენა ნეგატიურია მშპ-ზე, მაგრამ პოზიტიურია სოფლის მეურნეობაზე
 - ვაჭრობა ($trade$) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სექტორისთვის.

რეკომენდაციები

1. ინვესტიციები გაციფრულებულ ინფრასტრუქტურაში
 - ქვეყნებმა უნდა გაზარდონ ინვესტიციები დიჯიტალურ ინფრასტრუქტურაში, რადგან გაციფრულება მნიშვნელოვნად ზრდის მშპ-ს და ყველა ეკონომიკურ სექტორს
 - განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მობილური კავშირის ხელმისაწვდომობას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაში

2. ICT ექსპორტის წახალისება
 - ICT საქონლის ექსპორტი მნიშვნელოვან დადებით ეფექტს ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე
 - სასარგებლოა ICT სექტორის განვითარებისა და ამ ტიპის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება
3. სექტორული სტრატეგიები
 - მომსახურების სექტორი ყველაზე მეტად იღებს სარგებელს გაციფრულებიდან, ამიტომ ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიები განსაკუთრებით ეფექტური იქნება ამ სექტორში
 - სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია, თუმცა, ეფექტი შედარებით ნაკლებია
4. კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერა
 - მთლიანი კაპიტალის ფორმირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ყველა ეკონომიკური სექტორისთვის
 - პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ინვესტიციებს, ასევე შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას

ეკონომეტრიკული კვლევა #2: გაციფრულების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე - დროითი მწკრივის ანალიზი

საქართველოს 2006-2023 წლების ეკონომიკური მონაცემების საფუძველზე გამოკვლეულ იქნა როგორ მოქმედებს გაციფრულება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (მშპ). ანალიზისთვის გამოყენებულია დროითი მწკრივის რეგრესიული მოდელი, რომელიც წარმოადგენს GMM (Generalized Method of Moments) მეთოდის ადაპტაციას ერთი ქვეყნის შემთხვევისთვის.

შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

1. გაციფრულების მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა საქართველოს მშპ-ზე
 - გაციფრულების ინდექსის ($\ln_dig$) 1%-ით ზრდა ასოცირებულია მშპ-ის 0.899%-ით ზრდასთან, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია
 - მობილური ტელეფონების ($cell$) გავრცელების 1 ერთეულით ზრდა (100 კაცზე) იწვევს მშპ-ის 0.038%-ით ზრდას
 - ICT საქონლის ექსპორტის (ict_g) 1 პროცენტული პუნქტით ზრდა მშპ-ს 0.152%-ით ზრდის
2. გაციფრულების პოზიტიური გავლენა ეკონომიკური ზრდის ტემპზე
 - გაციფრულების ინდექსის 1%-ით ზრდა ასოცირებულია ეკონომიკური ზრდის ტემპის 0.953 პროცენტული პუნქტით ზრდასთან

- ICT-ის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში მნიშვნელოვანია და სტატისტიკურად სარწმუნო
- 3. სექტორული ეფექტები დიფერენცირებულია
 - გაციფრულების გავლენა ყველაზე ძლიერია მომსახურების სექტორზე (კოეფიციენტი - 0.893)
 - შედარებით სუსტია გავლენა მრეწველობაზე (კოეფიციენტი - 0.656)
 - ყველაზე ნაკლები გავლენაა სოფლის მეურნეობის სექტორზე (კოეფიციენტი - 0.471)
- 4. მობილური ტელეფონების როლი
 - მობილური ტელეფონების გავრცელება (cell) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და მნიშვნელოვან გაციფრულების ინდიკატორს, რომელიც პოზიტიურად ზემოქმედებს ყველა დამოკიდებულ ცვლაზე
- 5. საკონტროლო ცვლადების გავლენა
 - მთლიანი კაპიტალის ფორმირება (gfcf) აჩვენებს ძლიერ, პოზიტიურ და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ყველა მოდელში
 - მოსახლეობის ზრდის (pop_gr) ეფექტი განსხვავებულია სხვადასხვა მოდელში: ნეგატიური მშპ-სთვის, მაგრამ პოზიტიური ეკონომიკური ზრდის ტემპისთვის
 - ვაჭრობა (trade) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობისა და მომსახურების სექტორებისთვის

საქართველოს სპეციფიკური მახასიათებლები

1. მობილური კომუნიკაციების ძლიერი გავლენა
 - საქართველოში მობილური ტელეფონების გავრცელების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2006-2022 წლებში (43.31-დან 156.09-მდე)
 - ეს ზრდა ასოცირებულია მშპ-ის მნიშვნელოვან ზრდასთან, რაც აჩვენებს მობილური ტექნოლოგიების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის
2. ICT ექსპორტის ზრდის ეფექტი
 - ICT-ის წილი საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020-2023 წლებში (1.84%-დან 12.65%-მდე)
 - ეს მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ციფრული სერვისების როლის ზრდაზე
3. ეკონომიკური მერყეობის პერიოდები
 - 2008-2009 წლებში (ფინანსური კრიზისი) და 2020 წელს (COVID-19 პანდემია) გამოვლინდა ეკონომიკური ზრდის შემცირება
 - თუმცა, გაციფრულების ზრდა დადებითად მოქმედებდა ამ პერიოდებში

შიც, რაც მიუთითებს, რომ გაციფრულება არის ეკონომიკური მდგრადობის ხელშემწყობი ფაქტორი

4. სექტორული ტრანსფორმაცია

- გაციფრულების ზრდასთან ერთად ეკონომიკაში შემცირდა სოფლის მეურნეობის წილი (11.20%-დან 6.02%-მდე) და გაიზარდა მომსახურების სექტორის წილი (55.22%-დან 62.45%-მდე)

- ეს მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე უფრო მაღალი დამატებული ღირებულების სექტორებისკენ.

რეკომენდაციები

1. ციფრული ინფრასტრუქტურის გაძლიერება

- ინვესტიციები ციფრულ ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით მობილურ და ფართოზოლოვან ინტერნეტში, უნდა იყოს პრიორიტეტული

- საქართველოში მობილური ტელეფონების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი უნდა იქნეს გამოყენებული მობილური აპლიკაციების და სერვისების განვითარებისთვის

2. ICT სექტორის და ექსპორტის ხელშეწყობა

- ICT სექტორის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკა, მათ შორის-საგადასახადო სტიმული და სპეციალური ეკონომიკური ზონები

- ICT სერვისების ექსპორტის ხელშეწყობა, რომელიც უკვე აჩვენებს მნიშვნელოვან ზრდას

3. ციფრული უნარების განვითარება

- ინვესტიციები განათლებაში, განსაკუთრებით ციფრულ უნარებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო ძალის მზაობა ციფრული ეკონომიკისთვის

- პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების ადაპტირება ICT და ციფრული ეკონომიკის მოთხოვნებთან

4. სექტორული სტრატეგიები

- მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით ICT მომსახურების, განვითარების მხარდაჭერა, რომელიც ყველაზე მეტად იღებს სარგებელს გაციფრულებიდან

- სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა პროდუქტიულობის გასაზრდელად

5. კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერა

- მთლიანი კაპიტალის ფორმირების (gfcf) ხელშეწყობა ინვესტიციების წახალისების გზით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ყველა ეკონომიკური სექტორისთვის

ხელოვნური ინტელექტის ძირითადი ელემენტები საგადახდო ბიზნესმოდელებში

ხელოვნური ინტელექტის გლობალური ბაზარი სწრაფი ტემპით ფართოვდება, ამ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილი აპლიკაციები უამრავ ინდუსტრიას მოედო და ინტენსიურად ინერგება. კვლევითი კომპანია IDC-ის მონაცემებით, 2025 წლის ბოლოსთვის, ხელოვნური ინტელექტის ბაზრის მოცულობა ნახევარ ტრლნ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

რა არის ხელოვნური ინტელექტი? ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს კომპიუტერულ მეცნიერებებზე დაფუძნებულ მანქანურ უნარს, შეასრულოს ადამიანის ინტელექტის ჩამნაცვლებელი ამოცანები, როგორცაა ვიზუალური აღქმა, მეტყველების ამოცნობა, გადაწყვეტილებების მიღება და სხვ. ჩვენ მას უკვე ვიყენებთ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ხმოვანი ასისტენტების, ჩატ-ბოტებისა და ციფრული კონსიერჟების, სახლის რობოტების სახით.

ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა და მისი გარდაუვალი გავლენა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, აღნიშნულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2024 წლის საშობაო ეპისტოლეში: „ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს“. პატრიარქი და, შესაბამისად, სამოციქულო ეკლესიაც კი აღიარებს ხელოვნური ინტელექტის ძალას, შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, იქვე აღნიშნავს იმ რისკს, რომელსაც ეს ტექნოლოგია ატარებს მისი სათანადო გაცნობიერების გარეშე, არამიზნობრივად გამოყენების გამო.

ხელოვნური ინტელექტის გამოგნებელმა განვითარებამ ნებისმიერ ბიზნესსექტორს - ელექტრონულ კომერციას, ჯანდაცვას, გართობას და ა.შ. უპრეცედენტო პოტენციალი გაუხსნა. მათ შორის არის ფინანსური სექტორიც, რომლის ტრანსფორმაციაც უამრავ ბენეფიტს მოუტანს მას. საერთაშორისო საგადახდო სქემა Visa 2025 წლის 6 ძირითად ტრენდში პირველ ადგილზე ხელოვნური ინტელექტის საგადახდო ეკოსისტემის ტრანსფორმაციაზე ზემოქმედებას ასახელებს: „ხელოვნური ინტელექტი ითამაშებს უმნიშვნელოვანეს როლს გადახდების პერსონალიზაციის გამოცდილების შექმნასა და განვითარებაში, თაღლითობის დეტექციის ინსტრუმენტების შექმნასა და დაწერგვაში მყიდველებისა და გამყიდველებისთვის უსაფრთხო და საიმედო გამოცდილების უზრუნველსაყოფად. ღრმა მანქანური სწავლების ალგორითმების დახვეწა ტრანზაქციების ონლაინ ანალიზისა და მყისიერი გადაწყვეტი-

ლებების მიღების შესაძლებლობას მისცემს ინდუსტრიის მესვეურთ რეალურ დროში. ხელოვნური ინტელექტის მომდევნო თაობებს აქვთ პოტენციალი, გარდაქმნან გადახდების ეკოსისტემა და გახადონ ის უფრო დაცული, ქვეყანი და მდგრადი - რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია საგადახდო ინდუსტრიის ბიზნესის წარმატებისთვის“ (Visa 2024).

ელექტრონული კომერციის სამყაროში, კლიენტთა გამოცდილების გაუმჯობესების კუთხით, ჩატბოტების ურიცხვი რაოდენობის აპლიკაციები დაინერგა და მიმდინარე წლის ბოლოსთვის ეს ბაზარი 180 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, ხოლო 2027 წლისთვის კი 400 მლნ დოლარია პროგნოზირებული (Chatbot market revenue worldwide from 2018 to 2027. Statista 2024). ადამიანის ხმის მიმსგავსებულად NLP, natural language processing და მანქანური სწავლების გამოყენებით, ჩატბოტს შეუძლია მომხმარებლის უამრავ კითხვას გასცეს პასუხი და დაზოგოს კომპანიის რესურსები გადამხდელის ავთენტიფიკაციისა და გადახდის პროცესის ჩათვლით. ელექტრონული კომერცია ბევრი სხვა მიმართულებითაც იყენებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს ონლაინ სივრცეში ტრანზაქციების მარტივი და წარმატებული check-out -ების გასაზრდელად.

რისკისა და თაღლითური ტრანზაქციების მართვა ელექტრონული კომერციის ბიზნესში უმნიშვნელოვანესია. ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინერგება რისკის მონიტორინგის სისტემები, რაც, შესაძლოა, საჭიროზე მეტ ტრანზაქციას ბლოკავს არასათანადო ანალიზის ჩატარების გამო. ხელოვნური ინტელექტზე მომუშავე რისკზე დაყრდნობილი ავტორიზაციები კი - მომხმარებლის ქცევიდან და სხვა მრავალი პარამეტრიდან გამომდინარე, რაც მონაცემთა ბაზაში არსებობს ისტორიული მონაცემების სახით, ლებულობენ უფრო ზუსტ და მომხმარებელზე მორგებულ გადანყვეტილებებს: თუ რა შემთხვევაში დაადასტურონ ტრანზაქცია და რა შემთხვევაში მიიჩნიონ ის საფრთხედ.

აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მდიდარია ეკონომიკა და მაღალია მშპ, მით უფრო მეტი სტიმული და რესურსი არსებობს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად და გაციფრულების ინდექსის ასამაღლებლად.

შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევებით დასაბუთდა თუ რა ეკონომიკური ეფექტი აქვს ციფრული ბანკინგის რელსებზე გადართვას ქართული საბანკო სექტორისთვის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკისთვის, რათა მზარდი კონკურენციის პირობებში, დროულად მოხდეს თანამედროვე მომხმარებლის მოლოდინებთან თანხვედრა, რაც მათ შორის შემდგომი მომგებიანი ურთიერთობების წინაპირობა შეიძლება იყოს.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

- 16-25 წლის ასაკობრივი ჯგუფი ყველაზე გაციფრულებულია დანარჩენთან შედარებით. როდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ციფრული სერვისების ყველაზე აქტიური მომხმარებელი ახალგაზრდა თაობაა, რომელიც თავისი შემოსავლებიდან გამომდინარე, დაბალი ფასის გადახდისთვის არის მზად და ბიზნესმა უნდა უპასუხოვს გამოწვევას, ოპტიმიზაცია გაუწიოს ხარჯებს ციფრულ პროდუქტებზე, მოსალოდნელი მოთხოვნის შესაბამისი ღირებულების შესატავაზებლად;

- განათლების სტატუსი გაციფრულებაზე პირდაპირპროპორციულად არ აისახება;

- დაბალშემოსავლიანი მომხმარებელი უფრო გაციფრულებულია და უფრო ინტენსიურად მოიხმარს ციფრულ პროდუქტებს;

- თბილისში მომხმარებელი უფრო გაციფრულებულია (საშუალოზე მაღალი), ვიდრე რეგიონებში (საშუალოზე დაბალი);

- თანამდებობა და სტატუსი ციფრულობის განმსაზღვრელი არ არის და კომფორტული, უსაფრთხო და თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტები ყველა ჩვენგანს ყოველდღიურობაში მეტად ესაჭიროება;

- ყოველი მეექვსე რესპონდენტი საბანკო ბარათით საერთოდ არ სარგებლობს, სივრცე მომხმარებელთა საბანკო სერვისში ჩართვისთვის დიდია და ის სექტორის მიერ ასათვისებელია;

- ციფრული პროდუქტებიდან ყოველდღიური მოხმარებით ApplePay/ GPay წარმოადგენს ლიდერს - 23% ვოლეთს ყოველდღიურობაში იყენებს, 22% - ინტერნეტბანკს და 23% - მობილურ ბანკინგს ყოველდღიურად მოიხმარს. საბანკო ბარათს ყოველდღიურად 22% იყენებს, უფრო ნაკლები, ვიდრე ვოლეთს ან მობილურ ბანკს;

- ყოველთვიური მოხმარების ლიდერი ნაღდი ფულია - 37%-ს მაინც ესაჭიროება ნაღდი ფული ყოველთვიურად, ფულადი გზავნილებით ყოველთვიურად 35% სარგებლობს. ონლაინში გადახდების ყოველთვიური მაჩვენებელი (35%), თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ყოველდღიური (20%), რაც ბუნებრივია, რადგან ყოველდღიური ონლაინგადახდები უფრო QuickCommerce -ს უკავშირდება (Glovo, Walt, Bolt) და ყოველთვიური რეგულარულს E_commerce-ს შესყიდვებს. მხოლოდ 14%-ია ის კატეგორია, რომელიც ონლაინ გადახდებით საერთოდ არ სარგებლობს;

- გამოკითხულთა 15% ნაღდ ფულს საერთოდ არ მოიხმარს;

- ხელოვნური ინტელექტი - ჩატარებული როდენობრივი კვლევით გამოიკვეთა 16-25 ასაკობრივი ჯგუფის ინტერესის კრიპტოს სასარგებლოდ გადახრა ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით, ასაკის ზრდასთან ერთად ხელოვნურ ინტელექტს უფრო ნაკლები რესპონდენტი აცხადებს მიუღებლად,

ვიდრე კრიპტოს, ანუ ახალგაზრდებს უფრო კრიპტო პროდუქტები იზიდავთ, ხოლო მოზრდილებს - ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სერვისები;

- ნაღდი ფულის მიმოქცევის ხარჯი მშპ-ზე უკუეფექტით აისახება. სახელმწიფოს მიერ ნაღდი ფულის ემისიაზე, მიმოქცევაზე, შენახვასა და უტილიზაციაზე გაწეული ხარჯი მოსახლეობას აღარბეჭდის;

- გადაწყვეტილებების მიმღებნი გამოთქვამენ მზაობას ძვირადღირებული ტექნოლოგიების შესყიდვისა და დანერგვისთვის, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ სწრაფი უკუგების მოლოდინი ამ ინვესტიციებზე არ აქვთ (ROTI);

- კომერციული ბანკები გამოთქვამენ მზაობას ფინტექ სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობისა და გაზიარებული ციფრული სერვისებით სარგებლობისთვის. ღია ბანკინგის დანერგვა სწორედ ფინტექ სექტორის საფინანსო სერვისებში ინტეგრირების ფართო შესაძლებლობების გახსნას გულისხმობს;

- ფინტექ სექტორი აქტიურად ჩაერთო თანამედროვე, გლობალური ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაში და დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან სერვისების აუტსორსინგულ მიწოდებაზე;

- მშპ-ში ფინანსური სექტორის ხვედრითი წილი კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ გენერირებული სუფთა მოგებით განისაზღვრება. საქართველოში 2023 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 5,2%-ს შეადგენს;

- რაც უფრო მდიდარია ეკონომიკა და დიდია მშპ, მით უფრო მეტი სტიმული და რესურსი არსებობს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად და გაციფრულების ინდექსის ასამაღლებლად.

დასკვნა და რეკომენდაციები

დღეს სამომხმარებლო ბაზრის ძირითადი გამოწვევებია: ინოვაციურობა, სერვისზე ორიენტირებულობა და სანდოობა. ნაღდი ფულის მომავალი მისი ციფრული ანალოგია, რასაც ტექნოლოგიურად გამართული, უსაფრთხო და სწრაფი ინფრასტრუქტურა და სისტემები ესაჭიროება. ხელოვნური ინტელექტი ამ ჯაჭვში მონაცემების სწრაფად დამუშავების დასაყრდენი, მძლავრი ინსტრუმენტია. მისი პენეტრაცია გადახდების ეკოსისტემაში არამხოლოდ გაზრდის ინტერნეტ სივრცეში პერსონალური ინფორმაციის მოძრაობის უსაფრთხოებას, არამედ შესაძლებლობას მისცემს მონაწილეებს მოახდინონ საგანთა და სერვისების ინტერნეტიზაცია პერსონიფიცირებული და მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტების შესათავაზებლად.

ეკონომიკების განვითარებადიდან განვითარებულზე გადასვლას კვალდაკვალ თან მოჰყვება უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოთხოვნის ზრდა.

ამასთან, ციფრული გადახდები გლობალური ფენომენია და მისი უპირატესობების მნიშვნელობა კარგად უნდა გაითავისონ მთავრობებმა, კორპორაციებმა და ფიზიკურმა პირებმა. ასევე გადასაჭრელია პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რასთან გამკლავებაც დასჭირდება ინდუსტრიას უახლოეს პერიოდში.

გაციფრულების ინდექსის, მობილური ტელეფონების გავრცელების და ICT საქონლის ექსპორტის გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შედეგები მიუთითებს, რომ გაციფრულებაში ინვესტიციები წარმოადგენს ეფექტურ სტრატეგიას ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და ათვისება არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი, და ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავება პრიორიტეტი უნდა იყოს განვითარებადი და განვითარებული ეკონომიკებისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ გადახდების ბიზნესის ადრესატი საბანკო სექტორის გარდა ფინტექ სექტორიცაა, ვისგანაც მომხმარებელი უფრო სწრაფ, იაფ და მოხერხებულ სერვისებს ელის. ღია ბანკინგის პირობებში ფინტექ სექტორმა უნდა შეძლოს და კომერციულ ბანკებთან პარტნიორული კოლაბორაციით მოახერხოს ფინანსური სერვისების აუტოსორსინგი, რათა შემცირდეს საოპერაციო დანახარჯები.

სახელმწიფო დონეზე იქმნება სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამენ ხელოვნური ინტელექტის მზარდ როლს ფინანსურ მომსახურებაში. საქართველოს 2024 წლის ფინტექ სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ეროვნული ბანკი გეგმავს „ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ზედამხედველობისა და თაღლითობის მონიტორინგისთვის მოწინავე ინსტრუმენტების შესამუშავებლად“. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგულირებას ეხება, აღნიშნული მიუთითებს, რომ საქართველოს ეკოსისტემა აღიარებს ხელოვნურ ინტელექტს, როგორც ახალი თაობის გადახდის გადაწყვეტილებების კატალიზატორს (მაგ., რეალურ დროში ანალიტიკა, ავტომატიზებული შესაბამისობა). გადახდის ინდუსტრიის ბიზნეს მოდელები შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებს - გაუმჯობესებული უსაფრთხოებიდან დაწყებული მომხმარებლის ინტელექტუალური ინტერფეისებით დამთავრებული - რაც ხელს უწყობს უფრო ეფექტურ, პერსონალიზებულ ფინანსურ მომსახურებაზე გადასვლას.

სტატიკაში წარმოდგენილი რაოდენობრივი და დარგის სპეციალისტებისა და მარეგულირებელი სფეროს წარმომადგენელთა თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, მათემატიკური მოდელირების მეშვეობით დგინდება, რომ გადახდების გაციფრულებასა და მშპ-ს შორის პირდაპირპროპორციული ურთიერთდამოკიდებულებაა. კვლევით დადასტურდა, რომ გადახდების გაციფრულებით მიღებული ეფექტი საფინანსო სექტორის მომგებიანო-

ბაზე მას შემდეგ იქნება საგრძნობი, როდესაც ტექნოლოგიების დანერგვასა და მოვლასთან დაკავშირებული დანახარჯი შემცირდება.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ლიტერატურულ წყაროებად გამოადგება ციფრული ტრანზაქციების, კონკრეტულად კი ციფრული გადახდების მკვლევრებსა და უბრალოდ, ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებს. შემდგომი ანალიზისთვის მიზანშეწონილია ჩატარდეს კვლევები მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევითი მეთოდოლოგიის ადაპტირებისთვის საქართველოში, რათა რეგულარულად დადგინდეს ნაღდი ფულის მიმოქცევის ხარჯის ზეგავლენა მშპ-სა და, შესაბამისად ეკონომიკაზე. ამ მაჩვენებლის გამოაშკარავება და მისი დინამიკა სახელმწიფო სექტორის მისცემს მოტივაციას, შეამციროს დანახარჯი ოპერაციების ციფრულ სივრცეში გადატანის ხელშეწყობის გზით.

ლიტერატურა:

- VISA.visa-everywhere.usa.visa.com. (last seen 11.11.2021)
- Premchand and Choudhry. 2015
- Dominique Rambure and Alec Nacamuli. "Payment Systems From the Salt Mines to the Board Room". UK: Palgrave Macmillan. 2008
- McKinsey & Company. "On the cusp of the next payments era: Future opportunities for banks". 18.09.2023 . <https://www.mckinsey.com/> last seen 17.02.2025)
- Capgemini."World Payments report". 2019
- National Bank of Georgia. www.nbg.gov.ge
- Statista. <https://www.statista.com/statistics/261327/number-of-per-card-credit-card-transactions-worldwide-by-brand-as-of-2011/> last seen 24.01.2022)
- sruliad sakartvelos katolikos-patriarkis sashobao epistole 2024 [Christmas Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia 2024.] in Georgian <https://patriarchate.ge/news/3274> last seen 10.02.2024)

AI-Driven Business Models in the Payment Industry and the Impact of Cashless Payments on Economic Growth in Georgia

Maia Kheladze

*Associate Professor
Business and Technology University
maia.kheladze@btu.edu.ge*

David Sikharulidze

*Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

David Dzidzikashvili

*Doctoral Student
University of Business and Technology*

The daily decline in foot traffic to physical bank branches reflects a fundamental shifts in consumer preferences. Increasingly, individuals are opting to access financial services remotely – whether through online platforms or mobile applications. In response, the banking sector is embracing comprehensive digital development strategies, a trend that spans both established financial institutions and technology-driven financial organizations.

Conventional banking models remain heavily dependent on human labor and manual processes. In contrast, high-tech financial companies are rapidly adopting automation, machine learning, and artificial intelligence (AI) to optimize operations and reduce reliance on manual work. A major challenger to traditional banking institutions is the rapidly expanding fintech sector, which encompasses mobile and internet giants, telecommunication operators, payment service providers, and online platforms. These actors increasingly compete with banks, for customer engagement and market share. Noyably, fintech actors demonstrate greater agility and responsiveness to evolving market demands, particularly amid the ongoing global technological transformation. Latest trends in financial technology reveal increasing integration of AI within payment system, notably in fraud detection, personalization and credit scoring, while increasing cashless behavior is correlated with higher economic output. This summary reviews the emergence of AI-driven business models within the payments industry and examines evidence on how Georgia's transition toward cashless transactions affects GDP.

This article examines the impact of increasing digital integration on a country's economic well-being, with a particular focus on gross domestic product (GDP). It highlights the payments industry as a pivotal sector for technological adaptation and innovation. The analysis centers on the potential of modern digital payment

services, particularly those leveraging artificial intelligence (AI) - to expand financial market activity and foster broader user engagement. Such expansion is anticipated to strengthen the sector's contribution to GDP and enhance overall economic performance.

The article presents comparative analyses from various countries, underscoring the relationship between GDP and the increasing adoption of non-cash payment methods. Findings from quantitative research conducted in Georgia are analyzed alongside international benchmarks, enabling meaningful conclusions about the role of digital payments in economic development.

The Internet of Things (IoT) is increasingly becoming an urgent need of the modern world. Its impact particularly evident in the financial sector, where innovative, secure, cost-effective, and convenient financial instruments are being deployed to meet everyday consumer needs. Fintech startups are leveraging data-driven and AI-enabled credit scoring systems to expand access to financing alongside payment services. In Georgia, fintech firms are advancing AI-based credit models to accelerate lending and promote financial inclusion. By incorporating AI into credit underwriting, payment platforms can deliver bundled offerings - combining payments with loans - while unlocking new revenue opportunities.

In the Georgian context, statistical data offer a robust foundation for drawing certain conclusions. Between 2015 and 2023, the number of 2 payment instruments per capita reached two - reflecting increased competition among issuing entities. During this period, card payment volumes grew at an average annual rate of 30%.

A correlation coefficient of $R = 0.98$, calculated using extrapolation methods, indicates a strong association between card transaction volumes and GDP. Furthermore, the financial and insurance sectors accounted for 5.2% of GDP. Linear regression analysis reveals a similarly strong relationship between these indicators, with a correlation coefficient of 0.99%.

A non-probabilistic panel methodology was employed for the quantitative research component, with the survey distributed via the Google Forms platform. A total of 1679 respondents - representing diverse geographical regions and social strata - participated in the study. The qualitative component utilized in-depth interviews, interviewer observation, and interpretive data analysis as primary methods of inquiry. To construct an econometric model measuring the impact of digitalization on GDP, panel data from 2006-2023 was analyzed across 6 countries: Georgia, Armenia, Azerbaijan, Kazakhstan, Germany, and Poland.

The rapid advancement of artificial intelligence (AI) has unlocked unprecedented opportunities across sectors such as e-commerce, healthcare, and entertainment.

The financial sector is no exception – its ongoing transformation through AI integration is poised to yield significant operational and structural benefits.

It is worth emphasizing that higher levels of GDP and economic wealth tend to foster stronger incentives and greater resource allocation toward digital transformation – contributing directly to improvements in the digitalization index.

As economies evolve from developing to developed stages, the demand for cashless payments increases correspondingly. Digital payments have emerged as a global phenomenon, and their benefits must be clearly understood and embraced by governments, corporations and individual users alike.

Notably, the digitalization index, mobile phone penetration, and ICT goods exports exert significant influence on economic outcomes. The findings suggest that strategic investments in digital infrastructure represent a highly effective lever for stimulating economic growth.

Furthermore, the study indicates that the payments industry increasingly targets not only traditional banking sector, but also the burgeoning fintech sector, where consumers demand faster, more affordable, and user-centric financial services.

Drawing on quantitative and qualitative research involving industry specialists and regulators, as well as mathematical modeling, the article establishes a direct proportional relationship between the digitization of payments and gross domestic product.

The insights presented serve as a valuable literary source for researchers examining digital transactions, particularly digital payment systems, and offer relevant context for those interested in this field.

Keywords: Payment industry, gross domestic product (GDP), artificial intelligence, digital banking, cryptocurrencies, payment systems, platforms, providers, digital trust index, digitalization.

JEL Codes: E42, E44, O33, O38, G21, G23, G28

Sales Techniques for Medical Products and Key Account Management

Nana Shashiashvili

Associate Professor
Georgian Technical University,
Tbilisi State Medical University
shashiashvilinana04@gtu.ge

Zaza Sopromadze

Associate Professor
Georgian Technical University
z.sopromadze@gtu.ge

Besarion Simonishvili

Doctor of Public Administration
simonishvilibesarion@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.08

This article explores the pivotal role of sales strategies and Key Account Management (KAM) within the pharmaceutical and medical products sector, emphasizing their impact on business performance and client relationship development. In a market increasingly defined

by stringent regulatory frameworks, rapid technological advancement, and rising competition, the strategic alignment of KAM with tailored sales approaches is essential to sustaining a competitive edge.

The study aims to investigate current challenges and emerging trends, with a particular focus on leveraging digital technologies, data analytics, and personalised methods to boost sales effectiveness and client engagement. Findings reveal that companies utilizing advanced Customer Relationship Management (CRM) systems, big data insights, and customized communication techniques experience significant gains in sales performance, customer satisfaction, and market share.

The discussion highlights the importance of organizational agility, ongoing innovation, and proactive client management in navigating global market demands and regulatory expectations. Additionally, it emphasizes the need of continuous investment in digital transformation and the upskilling of sales teams.

In conclusion, the synergy between innovative sales strategies and effective KAM is vital to driving long-term business sustainability and client loyalty. Pharmaceutical firms are encouraged to adopt data-driven, collaborative, and customer-centric models to strengthen market positioning and achieve enduring growth in an increasingly competitive environment.

Keywords: Key Account Management, KAM, Sales Strategies, Pharmaceutical Business

JEL Codes: I11, I18, L65, M10, M31, O33

Introduction

In the increasingly competitive and dynamic landscape of the healthcare and pharmaceutical sectors, the developing and executing effective sales strategies has become essential for companies aiming for sustainable growth. The medical products industry - encompassing pharmaceuticals, medical devices, and related technologies - demands a sophisticated sales approach that aligns with regulatory mandates, ethical standards, and shifting stakeholder expectations.

Customer-oriented sales strategies emphasizes not only the delivery of product value but also a deep understanding of the distinct needs of diverse stakeholders, including hospitals, clinics, pharmacies, wholesalers, and public sector entities. Such strategies involve market segmentation, targeted messaging, relationship-building, and the incorporation of digital tools and data analytics to enhance customer engagement and support informed decision-making. In this highly specialized market - where purchasing decisions are multifaceted and often involve multiple decision-makers - traditional sales models are proving increasingly insufficient.

Within this context, Key Account Management (KAM) stands out as a crucial component. KAM embodies a strategic, relationship-centered approach that goes beyond transactional selling. It focuses on identifying high-value clients - those contributing substantially to a company's revenue or strategic objectives - and nurturing long-term partnerships. By providing personalized services, tailored solutions, and dedicated support, KAM strengthens client loyalty and trust - elements of paramount importance in sectors where product safety, quality, and supply continuity are fundamental.

Moreover, in the domain of medical product sales, key account managers function not only as commercial representatives but also as strategic partners attuned to the clinical, operational, and financial priorities of their clients. Their role involves aligning the company's offerings with the evolving needs of healthcare systems and institutions, particularly in the face of challenges such as cost containment, limited market access, and shifting policy frameworks.

As the healthcare industry becomes increasingly data-driven and focused outcomes, the success of companies hinges on their ability to adapt sales strategies to reflect these transformations. This article delves into modern sales approaches tailored to the medical products sector and analyzes the principles, benefits, and implementation frameworks of Key Account Management as a crucial tool for delivering customer value and gaining a competitive edge in the healthcare marketplace.

Research Objective

The objective of this article is to present a comprehensive analysis of the prevailing challenges and emerging trends in sales strategies and Key Account Management (KAM) within the pharmaceutical sector. It explores how the integration of digital technologies, personalization, and data analytics is transforming client relationship management and driving improvements in sales performance. Additionally, the article emphasizes the strategic significance of aligning sales approaches with evolving market demands, regulatory frameworks, and innovation dynamics. By addressing these key dimensions, the study offers actionable insights and practical recommendations aimed at helping pharmaceutical companies optimize their sales operations, strengthen client loyalty, and achieve sustainable growth in a highly competitive and rapidly evolving environment.

Methodology.

This study employs a qualitative, descriptive, and comparative research methodology, drawing upon academic literature, industry reports, and real-world case studies. The research framework consists of the following key components:

- Literature review: A critical examination of peer-reviewed journal articles, business management texts, and sector-specific publications focusing on pharmaceutical sales strategies and Key Account Management (KAM).
- Comparative analysis: An evaluation of how pharmaceutical and medical product companies implement sales strategies and manage key accounts across diverse markets and regulatory contexts.
- Strategic evaluation: An assessment of the effectiveness of these approaches in terms of customer retention, competitive positioning, and organizational growth.

This methodological structure supports a holistic understanding of both theoretical constructs and practical applications, facilitating the identification of success factors and the formulation of actionable recommendations for pharmaceutical managers and decision-makers.

Results

Sales strategies within the pharmaceutical industry are among the most crucial factors influencing how companies bring their products to market and ensure their effective distribution to end-users. These strategies encompass diverse approaches tailored to meet specific market demands and regulatory requirements.

Direct sales involve the distribution of pharmaceutical products directly from manufacturers to pharmacy chains, hospitals, and other healthcare institutions. This method enables companies to maintain control over the sales and distribution process, which is a particularly important consideration for high-value or specialized medications requiring expert handling, close professional coordination, and strict compliance with regulatory standards. Direct sales are especially effective when product integrity and therapeutic efficacy hinge on specific guidance and consultation.

Equally vital are Distribution channels and access pathways that facilitate the reliable delivery of medicines to both urban centers and remote regions. These networks often involve collaborations with wholesalers, logistics providers, and community pharmacies. A robust and resilient distribution infrastructure is essential to ensuring product availability and maintaining supply chain continuity – key elements in safeguarding public health across diverse populations.

Online and digital sales channels are playing an increasing vital role as pharmaceutical companies continue to accelerate their digital transformation efforts. E-commerce platforms and digital marketing tools enable broad dissemination of product information, offer streamlined purchasing options for healthcare providers and consumers, and allow companies to adapt swiftly to shifting market trends. The rise of telemedicine and digital health services has further amplified the strategic value of these channels in pharmaceutical sales (Tabiat, 2022; Shashiashvili & Bakradze, 2025; Shashiashvili et al., 2025).

Pricing and discount policies also constitute a key pillar of pharmaceutical sales strategy. Medicine affordability is shaped by pricing models that must carefully balance regulatory constraints and consumer purchasing power. Strategic pricing seeks ~~aims~~ not only to drive commercial success but also to ensure equitable access to essential medicines – harmonizing profitability with ethical imperatives and public health priorities.

- World Health Organization. (2022). Monitoring the Building Blocks of Health Systems: A Handbook of Indicators and their Measurement Strategies. Geneva: WHO Press.
- World Tourism Organization. (2023). Medical and wellness Tourism: Global Trends and Opportunities. Madrid: UNWTO.
- Zoidze A., & Gotsadze, G. (2020). Universal Health Coverage in Georgia: Policy Reforms and Future Directions. *BMC Health Services Research*, 20(1), 1–11. <https://doi.org/10.1186/s12913-020-4904-4>

- Belli P., Gotsadze G. and Shahriari H. (2004). "Out-of-Pocket and Informal Payments in the Health Sector: Evidence from Georgia." *Health Policy* 70 (1): 109–123. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/15312713/>
- Gotsadze G., Chikovani I., Goguadze K. and Balabanova D. (2010). "Health Care-Seeking Behavior and Out-of-Pocket Expenditures in Tbilisi, Georgia." *Health Policy and Planning* 25 (3): 279–290. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/15965035/>
- Murauskiene L., Janoniene R., Veniute M., Ginneken E. and Karanikolos M. (2013). Lithuania: Health System Review. *Health Systems in Transition* 15 (2): 1–150. <https://eurohealthobservatory.who.int/publications/i/lithuania-health-system-review-2013>
- Anneli K., Kahur K., Habicht J., Saar P., Habicht T. and Ginneken E. (2008). Estonia: Health System Review. *Health Systems in Transition* 10 (1): 1–230. <https://eurohealthobservatory.who.int/publications/i/estonia-health-system-review-2008>
- Migle T., Vaskis J. and Stumbrys G. (2004). Latvia: Health Care Systems in Transition. Copenhagen: European Observatory on Health Systems and Policies. https://www.idos-research.de/uploads/media/Studies_7.pdf
- Kangas O. (2010). "Finland: Between Delegation and Accountability." In *Governance and Health Care in the Nordic Countries*, edited by Jon Magnussen et al., 161–185. London: Open University Press.
- Esping-Andersen G. (1990). *The Three Worlds of Welfare Capitalism*. Princeton: Princeton University Press. <https://lanekenworthy.net/wp-content/uploads/2017/03/reading-espingan-dersen1990pp9to78.pdf>
- OECD. 2023. *Health at a Glance: OECD Indicators*. Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/en/publications/health-at-a-glance-2023_7a7afb35-en.html
- European Observatory on Health Systems and Policies. (2024). Denmark: Health System Summary. *Health Systems in Transition*. <https://eurohealthobservatory.who.int/publications/i/denmark-health-system-summary-2024>
- Saltman Richard B. and Figueras J. (1997). *European Health Care Reform: Analysis of Current Strategies*. Copenhagen: WHO Regional Office for Europe. <https://iris.who.int/handle/10665/107267>
- Bernd R., McKee M. and Healy J. eds. (2009). *Health Systems in Transition: Template for Analysis*. European Observatory on Health Systems and Policies. <https://eurohealthobservatory.who.int/publications/i/health-systems-in-transition-template-for-analysis>
- Maarse H. and Paulus A. (2003). "Market Competition in European Health Care Systems: A Comparative Analysis." *Health Policy* 66 (2): 179–200. [https://doi.org/10.1016/S0168-8510\(03\)00046-5](https://doi.org/10.1016/S0168-8510(03)00046-5)
- Stepurko T., Rachel B., Tambor M. and Brenna E. (2015). "Comparing Public and Private Providers: a Scoping Review of Hospital Services in Europe." *European Journal of Public Health* 25 (suppl_1): 20–25. <https://doi.org/10.1093/eurpub/ckv060>
- Georgian National Tourism Administration. Report on Medical Tourism, 2023. <https://gnta.ge/statistics/>
- BM.GE. Financial Review of the Georgian Healthcare Sector, (2021–2024). <https://bm.ge/ka/news?category=healthcare>

- Curatio International Foundation. Georgian Healthcare Sector Research, (2022). <https://curatiofoundation.org/ka/publications/>
- Produce in Georgia. Sectoral Review on Healthcare, 2023. <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/publications>

საქართველოს ჯანდაცვის ბიზნესის მომავლის ფორმირება: საბაზრო ტენდენციები, განვითარების სტრატეგიები და შემოსავლის დივერსიფიკაცია

ღადი ყიფშიძე

ასოცირებული პროფესორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
lali.kipshidze@btu.edu.ge

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განიცდის დინამიკურ ცვლილებებს, რაც აისახება როგორც სერვისების მიწოდების მოდელების ტრანსფორმაციით, ასევე კერძო სექტორის მზარდი მონაწილეობით. წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს ჯანდაცვის ბიზნესის განვითარების ტენდენციების ანალიზს საქართველოში და ეფუძნება 2010–2024 წლების განმავლობაში შეგროვებულ სტატისტიკურ და ანალიტიკურ მონაცემებს.

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია — რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის კომბინაცია, ასევე შედარებითი ანალიზი, ტენდენციების შეფასება და სტრატეგიული ჩარჩოები, როგორიცაა Porter's Five Forces და WHO-ს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების მოდელი. ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს საქართველოს ჯანდაცვის ბიზნესის განვითარების ტენდენციების სიღრმისეულ და მრავალმხრივ შესწავლას. იკვლევს საერთაშორისო პრაქტიკას ბალტიისა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და სკანდინავიის (ფინეთი, დანია) ქვეყნების მაგალითზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კერძო ინვესტიციების ზრდაზე, სამედიცინო ტურიზმის განვითარების პოტენციალზე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციასა და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციაზე.

ჯანდაცვის ბაზრის ტენდენციები მოიცავს: კერძო კლინიკებისა და დიაგნოსტიკური ცენტრების გაფართოებას, სამედიცინო ტურიზმის ზრდას (სტომატოლოგია, კოსმეტოლოგია, რეპროდუქციული მედიცინა, ონკოლოგია), ციფრული ჯანდაცვის ინტეგრაციას (ტელემედიცინა, ელექტრონული ჩანაწერები,

AI დიაგნოსტიკა) და ფინანსური მოდელების დივერსიფიკაციას, მათ შორის, დაზღვევის გაფართოებას.

პერსპექტიული სექტორებია: ონკოლოგია, კარდიოლოგია, რეპროდუქციული კლინიკები, რეაბილიტაცია და ველნესი/სამედიცინო ტურიზმი. რეგიონებში ინფრასტრუქტურის ხარვეზები ქმნის პირობას კერძო ინვესტიციების მოსაზიდად.

მთავარ გამოწვევებს შორისაა: რეგულაციების არამდგრადობა, კადრების დეფიციტი, განსაკუთრებით ექთნების; ხარისხის კონტროლის ნაკლებობა; პაციენტთა ნდობის პრობლემები და მომსახურების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის.

სტატია წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს ჯანდაცვის პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, ჯანდაცვის ბიზნესის პრაქტიკოსი მენეჯერების, კერძო სექტორის ინვესტორებისა და აკადემიური წრეებისთვის, რომელთაც სურთ თანამედროვე ჯანდაცვის ბიზნესის სტრატეგიული მართვის ინტეგრირებული ანალიზი.

მოკლევადიანი პრიორიტეტებია: ლიცენზირების გამარტივება, სავალდებულო აკრედიტაციის დანერგვა და დაზღვევის მოდელების გაუმჯობესება. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა ინვესტიცია სამედიცინო განათლებაში და PPP პროექტების გაფართოება. გრძელვადიან სტრატეგიად განიხილება საქართველოს რეგიონულ ჰაბად გადაქცევა მაღალკვალიფიციური სამედიცინო სერვისებისა და ტურიზმის მიმართულებით, რაც მოითხოვს ევროკავშირთან და WHO-სთან სრული ჰარმონიზაციის მიღწევას.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი დგას გარდამტეხ ეტაპზე. წარმატება დამოკიდებული იქნება პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე, კერძო და საჯარო სექტორის ეფექტიან კოორდინაციაზე და გრძელვადიანი ხედვის არსებობაზე, რაც აერთიანებს ხარისხს, ხელმისაწვდომობას და ფინანსურ მდგრადობას.

საკვანძო სიგეყვები: ბიზნეს მოდელები, მოდელების ტრანსფორმაცია, კერძო კლინიკა, ჯანდაცვის ბიზნესი, პერსპექტიული სექტორი, სამედიცინო ტურიზმი, ინოვაცია, სტრატეგია.

ფინანსები და საბანკო საქმე ♦ აღრიცხვა, აუდიტი
FINANCE and BANKING ♦ ACCAUNTING and AUDIT

**მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) მდგრადი
ანგარიშგების მომზადების გამოწვევები საქართველოში
(შედარებითი ანალიზი სომხეთსა და აზერბაიჯანთან)¹**

ლევან საბაური

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

levan.sabauri@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.10

სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) მდგრადი განვითარების ანგარიშგების ხორცი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკურ ჰელაქობაში. გაანალიზებულია, თუ როგორ აისახება მდგრადი განვითარების პრინციპები და მათი ანგარიშგების პრაქტიკა მსს-ების საქმიანობასა და სტრატეგიულ განვითარებაზე. ამასთანავე, კვლევის ფაჩვებში ჩატახებულია შედარებითი ანალიზი სომხეთისა და აზერბაიჯანის პრაქტიკასა და გამოცდილებასთან, ჩაც საშუადებას გვაძლევს, უკეთ გავიაზროთ ჰეგიონის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ტენდენციები, ასევე, დავინახოთ გამოწვევები და შესაძლებლობები, ჩაც ამ ქვეყნებს შოჩის უხთიეხთშედაჩებისას გამოვძინდება.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს მსს-ების მდგრადი განვითარების ანგარიშგების მომზადების პროცესის გაუმჯობესებას და მის მნიშვნელოვან ხორც ჰეგიონის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: გაჩემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, კოხპოჩაციული პასუხისმგებლობა, მდგრადი განვითარება, სოციალური პასუხისმგებლობა.

1 პროფ. ლევან საბაურის წინამდებარე სტატია განკუთვნილი იყო თსუ-ის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წიგნში - „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ - გამოსაქვეყნებლად, რომელიც დასაწანი გაუგებრობის გამო ვერ შევიდა კრებულში. სტატია იბეჭდება უცვლელად.

თემის აქტუალობა: მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) როლი საქართველოს ეკონომიკაში

მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) როლი თანამედროვე ეკონომიკაში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი - განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, სადაც ეკონომიკური სტრუქტურა დივერსიფიკაციას საჭიროებს. საქართველოსთან ერთად თუ განვიხილავთ ამიერკავკასიის ორ მეზობელ ქვეყანასაც (სომხეთი და აზერბაიჯანი), მათ ეკონომიკაშიც მსს-ები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, რადგან ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობენ ინოვაციებს და წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსს-ები ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად გვევლინებიან, განსაკუთრებით ისეთი მცირე და საშუალო ეკონომიკის შემთხვევაში, როგორიცაა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკა. მსს-ები ქმნიან დამატებულ ღირებულებას და უზრუნველყოფენ ეკონომიკური სტაბილურობის გარკვეულ დონეს, რადგან ისინი ეკონომიკის დივერსიფიკაციას უწყობენ ხელს და ამცირებენ დამოკიდებულებას მხოლოდ მსხვილ კომპანიებზე.

მსს-ების მნიშვნელობა გამოიხატება რამდენიმე საკვანძო ფაქტორით:

დასაქმება და სამუშაო ადგილების შექმნა: მსს-ები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილებს, რაც ამცირებს სიღარიბეს და ხელს უწყობს ცხოვრების დონის ზრდას. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსს-ების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

ინოვაციებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა: მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად ახორციელებენ ინოვაციებს, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე და უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ეს ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის.

სოფლის და რეგიონული ეკონომიკის განვითარება: მსს-ები ხშირად განლაგებული არიან რეგიონებსა და სოფლებში, რითაც ხელს უწყობენ რეგიონული განვითარების ტემპს და იცავენ ეკონომიკურ ბალანსს რეგიონებსა და ქალაქებს შორის.

ადგილობრივი ბაზრის გაძლიერება: მსს-ები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი წარმოების გაძლიერებასა და ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რაც ზრდის მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ამცირებს დამოკიდებულებას იმპორტზე.

გლობალიზაციისა და ბაზრებისთვის საზღვრის გახსნის ფონზე, ამიერკავკასიაში მსს-ებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საერთაშორისო კონკურენციასთან გამკლავება. ამ რეგიონებში მსს-ები ხშირად განიცდიან ფინანსური რესურსების ნაკლებობას, ტექნოლოგიურ ჩამორჩენას და ახალ ბაზარზე წვდომის პრობლემებს. თუმცა, მათ აქვთ დიდი პოტენციალი, გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო ბაზრებზე და მიიღონ სარგებელი გლობალური ვაჭრობის ზრდისგან. ამ რეგიონებში ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, მსს-ების მხარდაჭერა კრიტიკული მნიშვნელობისაა. სახელმწიფო პოლიტიკა და ინსტიტუციური მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფენ მსს-ების განვითარებას, ფინანსურ მხარდაჭერას და რეგულაციებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში.

მდგრადი განვითარების მნიშვნელობა: როგორ აყალიბებს მდგრადი განვითარების პრაქტიკა ბიზნესის წარმატებას

მდგრადი განვითარება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეფცია თანამედროვე ბიზნესის მართვაში, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას. მისი მთავარი მიზანია, არამხოლოდ კომპანიის მომგებიანობის ზრდა, არამედ გარემოზე, საზოგადოებასა და გრძელვადიან სოციალურ ფაქტორებზე დადებითი ზეგავლენის განხორციელება (Levan Sabauri, 2024). მდგრადი განვითარების პრინციპების მიხედვით მოქმედება საშუალებას აძლევს ბიზნესს შეინარჩუნოს გრძელვადიანი წარმატება და კონკურენტუნარიანობა სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში.

ეკონომიკური ეფექტიანობა

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ეკონომიკური ეფექტიანობაა, რაც გულისხმობს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ხარჯების შემცირებას და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას. კომპანიები, რომლებიც იღებენ მდგრადი განვითარების სტრატეგიებს, ხშირად ახერხებენ ელექტროენერგიის, წყლისა და სხვა რესურსების მოხმარების შემცირებას, რაც საბოლოო ანგარიშით ამცირებს საოპერაციო ხარჯებს. მაგალითად, ენერგიის ეფექტიანი გამოყენება, ნარჩენების მართვა და მწვანე ინოვაციების დანერგვა, კომპანიებს აძლევს არამხოლოდ ხარჯების შემცირების შესაძლებლობას, არამედ ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე (Levan Sabauri, 2024).

სოციალური პასუხისმგებლობა

მდგრადი განვითარება ასევე გულისხმობს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების და მისი თანამშრომლების მიმართ. ეს მოიცავს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიცაა:

- თანამშრომლების უფლებების დაცვა, მათი შრომის პირობების გაუმჯობესება;

- თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- საზოგადოების მხარდაჭერა: პროექტების განხორციელება, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების/თემის განვითარებას.

კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ თანამშრომლებსა და საზოგადოებაზე, იზიდავენ და ინარჩუნებენ უფრო კვალიფიციურ კადრებს, ზრდიან თანამშრომელთა მოტივაციას და, შესაბამისად, აუმჯობესებენ თავიანთი პროდუქციის ან მომსახურების ხარისხს.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების მთავარი ელემენტია. ბიზნესი, რომელიც იყენებს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს და იცავს გარემოსდაცვით ნორმებს, ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, რაც არამხოლოდ საზოგადოებას აძლევს სარგებელს, არამედ ზრდის კომპანიის რეპუტაციას. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და მომსახურების მოთხოვნა მუდმივად იზრდება. მწვანე ინიციატივები და ეკო-მეგობრული წარმოება კომპანიებს ეხმარება ახალი მომხმარებლების მოზიდვაში, რომლებიც ეძებენ მდგრად პროდუქციას (Levan Sabauri; Nadezhda Kvatashidze, 2023).

კორპორაციული პასუხისმგებლობა (CSR)¹

კომპანიები, რომლებიც ეფუძნებიან მდგრადი განვითარების პრინციპებს, ხშირად მოიპოვებენ მომხმარებლების ნდობას და ქმნიან დადებით იმიჯს ბაზარზე. მომხმარებლები და ინვესტორები დღესდღეობით უფრო მეტად ინტერესდებიან იმ კომპანიებით, რომლებიც იაზრებენ თავიანთ სოციალურ და გარემოსდაცვით ვალდებულებებს (Levan Sabauri; Nadezhda Kvatashidze, 2023). კორპორაციული პასუხისმგებლობა (CSR) აძლიერებს ბრენდის პოზიციონირებას და ზრდის მისი აღქმის ხარისხს საზოგადოებაში. პოზიტიური რეპუტაცია ხელს უწყობს არამხოლოდ მომხმარებლების შენარჩუნებას, არამედ ახალი ბაზრების ათვისებას და გრძელვადიან ურთიერთობებს პარტნიორებთან (Levan Sabauri, 2024). კომპანიები, რომლებიც დგამენ ნაბი-

1 Corporate Social Responsibility

ჯებს მდგრადი განვითარების მიმართულებით, ხშირად უფრო მომზადებული არიან გაუმკლავდნენ გარემოსდაცვით, სოციალურ ან ეკონომიკურ კრიზისებს. მდგრადი განვითარების პრაქტიკა კი ეხმარება კომპანიებს, უკეთ გაიაზრონ გრძელვადიანი რისკი და განავითარონ მოქნილი სტრატეგიები კრიზისების მართვისთვის.

დღესდღეობით, საზოგადოება და მთავრობები აქტიურად ზრუნავენ გარემოსა და სოციალურ საკითხებზე. კომპანიებს, რომლებიც არ იცავენ მდგრადი განვითარების პრინციპებს, შესაძლოა შეექმნათ გარკვეული შეზღუდვები ან გამოიწვიონ საჯარო პროტესტები, რაც, საბოლოო ანგარშით, უარყოფითად აისახება მათ ბიზნესზე. მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ბიზნესი უფრო ადვილად ადაპტირდება საერთაშორისო რეგულაციებთან და იღებს სახელმწიფო მხარდაჭერასა და სუბსიდიებს (Levan Sabauri; Nadezhda Kvatashidze, 2023)

I. მცირე და საშუალო საწარმოების როლი და გამოწვევები საქართველოს ეკონომიკაში

მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია და მნიშვნელოვანი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, დასაქმებასა და მდგრად განვითარებაში. მსს-ები აძლიერებენ ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ამცირებენ დამოკიდებულებას მსხვილ საწარმოებზე, რითაც ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და სოციალური კეთილდღეობის ზრდას.

მცირე და საშუალო ბიზნესი (მსბ) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ეს სექტორი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყაროა, ხელს უწყობს ინოვაციების ზრდას და ეკონომიკაში მოქნილობას და უზრუნველყოფს შემოსავლების უფრო თანაბარ გადანაწილებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)¹ მონაცემებით, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 45%-ზე მეტს განვითარებულ ქვეყნებში (Angel Gurría, 2020). გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეიძლება იყოს დაახლოებით 40%. რუსეთის მაგალითზე, 2021 წელს მსბ შეადგენდა ქვეყნის ყველა სამუშაო ადგილის დაახლოებით 20%-ს, რაც ასახავს ამ სექტორის მნიშვნელობას მოსახლეობის დასაქმებისთვის.

1 Organization for Economic Co-operation and Development

უმეტეს ქვეყნებში მსბ-ის წილი მშპ-ში შეადგენს 30%-დან 60%-მდე. მაგალითად, ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის მშპ-ის დაახლოებით 56%-ს. მსბ-ს აქვს მაღალი მოქნილობა და სწრაფად ადაპტაციის უნარი ბაზრის ცვლილებებზე, რაც ხელს უწყობს ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვას. მსოფლიო ბანკის და სხვა ინსტიტუტების კვლევებში აღინიშნება, რომ ხშირად მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები ლიდერობენ ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს-მოდელების გამოყენებაში. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, მსბ-ის მხარდაჭერა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის შემცირებას და რეგიონების განვითარებას, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები ჩვეულებრივ უფრო თანაბრად არის განაწილებული ქვეყნის ტერიტორიაზე, ვიდრე მსხვილი კორპორაციები. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სამხრეთ კორეა და გერმანია, მსბ-ის ეფექტურმა სახელმწიფო მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა (Gill, Indermit, 2024).

საქართველოს ეკონომიკა, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, დიდად არის დამოკიდებული მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობაზე. ეს საწარმოები წარმოადგენენ პროგრესის მამოძრავებელ ძალას და აქტიურად მონაწილეობენ როგორც შიდა ბაზრის განვითარებაში, ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქართველოს ეკონომიკური მონაცემების თანახმად, მსს-ების წილი მშპ-ში 2022 წელს დაახლოებით 60%-ს შეადგენდა. მსს-ები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში. გარდა ამისა, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოები უზრუნველყოფენ ქვეყანაში 70%-ზე მეტი ადამიანის დასაქმებას (OECD, 2020), ხოლო მათი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 59%-ს უტოლდება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021). ეს ნიშნავს, რომ მსს-ები ქმნიან მნიშვნელოვან სამუშაო ადგილებს და ამცირებენ უმუშევრობას, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მსხვილი კომპანიები ნაკლებად არიან წარმოდგენილი.

ეკონომიკის ის მიმართულებები, სადაც მსს-ები საქართველოში აქტიურად არიან წარმოდგენილი, ძირითადად შემდეგი სექტორებია:

- მომსახურება (ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები);
- ვაჭრობა (სავაჭრო ქსელები, საცალო და საბითუმო ვაჭრობა);
- სოფლის მეურნეობა;
- მრეწველობა (მცირე წარმოებები, კვების მრეწველობა).

ამ სფეროში მსს-ები ქმნიან მნიშვნელოვან დამატებულ ღირებულებას, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტურიზმი და მომსახურება, რაც მიმდინარე ეტაპზე წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური ზრდის

ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. მსს-ები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სოციალურ განვითარებაზე. მსს-ები ხშირად განლაგებულნი არიან რეგიონებსა და სოფლებში, სადაც ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. მსს-ების არსებობა და განვითარება ეხმარება ადამიანებს პროფესიული მობილობის ზრდაში, რადგან ხშირად დასაქმებულებს აქვთ შესაძლებლობა, განავითარონ საკუთარი უნარები და გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი ბაზარზე.

საქართველოს ეკონომიკაში მსს-ების მთავარი გამოწვევაა ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა, რაც ხელს უშლის მათ ზრდას და განვითარებას, ტექნოლოგიური ჩამორჩენა კი ართულებს მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას საერთაშორისო ბაზრებზე. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსს-ების მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, რაც გამოიხატება სახელმწიფო სუბსიდიებისა და მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებით, რაც ეხმარება მცირე საწარმოების განვითარებას და ხელს უწყობს მათ ფინანსურ სტაბილურობას. ასევე, საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ., მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროკავშირი) ეხმარებიან მსს-ებს ინვესტიციების მოზიდვასა და განვითარებაში

მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) ძირითადი გამოწვევები საქართველოში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა, მათ წინაშე დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც აფერხებს მათ სრულყოფილად განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ეს გამოწვევები ძირითადად დაკავშირებულია ბაზრის წვდომასთან, ფინანსური რესურსების ნაკლებობასა და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასთან. თითოეული ეს ფაქტორი კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს, რაც მოითხოვს მთავრობის, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივ ძალისხმევას.

ბაზრის წვდომის სირთულე არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება საქართველოს მსს-ებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო ბაზრებზე წვდომას, თუმცა, სირთულეები არსებობს ადგილობრივ ბაზარზეც.

მსს-ების უმეტესობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია და მონაცემები ბაზრის მოთხოვნებზე, რაც ართულებს ახალი პროდუქტებისა და სერვისების ეფექტიან შემოტანას ბაზარზე. ამასთან, საქართველოს მრავალი მსს სტრა-

ტეგიულად მზად არ არის საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად. ეს გამოწვეულია ექსპორტის ტექნიკური მოთხოვნების, საბაჟო პროცედურებისა და ლოგისტიკის სირთულეებით.

ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს მეორე ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც ართულებს მსს-ების ზრდასა და განვითარებას. კომპანიებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა ინვესტიციების განსახორციელებლად, საწარმოო სიმძლავრის გასაზრდელად და ინოვაციების დასაწერად. მსს-ების უმეტესობას უჭირს საბანკო სესხების მიღება მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო ისტორიების გაუმართაობის გამო. მცირე საწარმოები ხშირად არ ფლობენ საკმარის აქტივებს, რომლის გამოყენებითაც შეეძლებათ სესხის უზრუნველყოფა მათი ალებისას. ინოვაციების დანერგვისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალის ინვესტირება, რასაც მსს-ები ხშირად ვერ ახერხებენ შეზღუდული ფინანსური რესურსის გამო, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა განახორციელონ მსს-ების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები, რაც დაეხმარება მათ ფინანსური რესურსების მოზიდვასა და სტაბილურ განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კარგი ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების შემთხვევაში, მოხდეს მცირე ბიზნესებისთვის უფრო ხელსაყრელი კრედიტებისა და დაფინანსების პირობების შეთავაზება. აღნიშნული მიმართულებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებთან ერთობლივი თანამშრომლობით, რაც გულისხმობს იმას, რომ მსს-ებს, რომლებიც წარადგენენ და გაასაჯაროებენ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას, სესხის აღება გამარტივებული პროცედურებით შეეძლებათ.

მსს-ებისთვის შემდეგი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა. დღევანდელ ბიზნესგარემოში, სადაც ციფრული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია სწრაფად ვითარდება, მსს-ებს უჭირთ სათანადოდ ადაპტირება და კონკურენციის შენარჩუნება. მათთვის რთულია ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, რაც მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციების პარალელურად მოითხოვს სპეციალურ პროფესიონალურ რესურსებს. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოში მრავალი დასაქმებული ვერ ფლობს საკმარის ტექნოლოგიურ და საინფორმაციო უნარებს, რაც ართულებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ძირითადი საქმიანობის დროს. ამასთან, ციფრული განვითარების დაბალი დონე და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა რეგიონებში კიდევ უფრო ზრდის კომპანიებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის პრობლემებს. აღნიშ-

ნული პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ტექნოლოგიური ინკუბატორებისა და ცენტრების შექმნა, რომლებიც დაეხმარება მცირე ბიზნესს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში.

მსს - ის მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს) გულისხმობს ისეთი ბიზნესპრაქტიკის დანერგვას, რომელიც მიმართულია არამხოლოდ ეკონომიკური წარმატების მიღწევაზე, არამედ სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაზიარებაზე. მდგრადი განვითარების მიზანია, საწარმოებმა შეძლონ გრძელვადიანი ზრდა და სტაბილური განვითარება, თანაც ამ პროცესში მინიმალური უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეთ გარემოზე და დადებითი გავლენა – საზოგადოებაზე.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მდგრადი განვითარება მოიცავს არამხოლოდ რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, არამედ იმ აქტივობის განხორციელებას, რაც ორგანიზაციის გრძელვადიანი წარმატების საფუძველს ქმნის.

მსს-ებში მდგრადი განვითარების დანერგვისთვის მთავარ სარგებელს წარმოადგენს:

- ხარჯების შემცირება: ენერგიისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება საწარმოებს აძლევს საშუალებას შეამცირონ საოპერაციო ხარჯები. მაგალითად, ენერგიის მოხმარების შემცირება და ნარჩენების მენეჯმენტი ზრდის საწარმოს მოგებას და ამცირებს ზედმეტ ხარჯებს.
- ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება: გარემოსა და საზოგადოებაზე ზრუნვა ზრდის მომხმარებელთა და პარტნიორთა ნდობას. ამით მსს-ებს შეუძლიათ უკეთ გაუმკლავდნენ კონკურენციას და მოიპოვონ ახალი ბაზრები.
- სოციალური იმიჯის გაუმჯობესება: მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებს, უფრო ადვილად მოიზიდავენ კვალიფიციურ თანამშრომლებს და ამყარებენ მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან.

მსს-ებისთვის მდგრადი განვითარების ანგარიშგების მომზადება/წარდგენა არის ის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციები ღიად წარმოადგენენ ინფორმაციას თავიანთი გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული/მმართველობითი (ESG¹) პრაქტიკის შესახებ. ეს ანგარიშგება ეხმარება კომპანიებს გააუმჯობესონ თავიანთი გამჭვირვალობა და უზრუნველყონ საზოგადოებისა და ინვესტორების ნდობა.

1 Environmental, social and governance (ESG)

მთავარი ასპექტები, რომლებიც აისახება მდგრადი განვითარების ანგარიშგებაში:

1. გარემოსდაცვითი ზეგავლენის შემცირება: გარემოზე ზემოქმედების მონაცემების (მაგალითად, ელ.ენერგიის გამოყენება, წყლის მოხმარება, ნახშირბადის ემისიები) გაშუქება ანგარიშგებაში, ზრდის კომპანიის ცნობადობას მისი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართ. ეს აუმჯობესებს ურთიერთობების ხარისხს როგორც მომხმარებლებთან, ასევე პარტნიორებთან.

2. სოციალური პასუხისმგებლობა და დასაქმების პირობები: ანგარიშგება, რომელიც მოიცავს თანამშრომლების უფლებების დაცვის, შრომის პირობების გაუმჯობესების და თანაბარი შესაძლებლობების მიწოდების შესახებ ინფორმაციას, აძლიერებს კომპანიის რეპუტაციას და ხელს უწყობს თანამშრომლების მოტივაციას.

3. ეკონომიკური მდგრადობა და მართვის პრაქტიკა: ანგარიშგება, რომელიც ფოკუსირებულია კომპანიის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და მმართველობით პროცესებზე, აძლევს ინვესტორებსა და პარტნიორებს უფრო მკაფიო წარმოდგენას კომპანიის სტაბილურობასა და მის უნარზე გაუმჯობესდეს გრძელვადიან გამომწვევებს.

მდგრადი განვითარების ანგარიშგება ეხმარება მსს-ებს, გახდნენ უფრო ღია და გამჭვირვალე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნდობას მათ მომხმარებლებში, პარტნიორებსა და ინვესტორებში. ინვესტორები, როგორც წესი, უფრო მეტად არიან დაინტერესებული იმ კომპანიებში ინვესტირებით, რომლებიც პასუხისმგებლობას იჩენენ გარემოსა და საზოგადოების მიმართ. ინვესტორები უფრო მეტად უპირატესობას ანიჭებენ კომპანიებს, რომლებიც ფლობენ მდგრადი განვითარების მკაფიო სტრატეგიებსა და ანგარიშგების სისტემებს. მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის წარმოჩენა ეხმარება მსს-ებს დაფინანსების მოპოვებაში, რადგან ეს ქმნის ნდობას და ზრდის კაპიტალზე წვდომის შესაძლებლობებს. მდგრადი განვითარების ანგარიშგება ასევე ხელს უწყობს კომპანიის პოზიტიურ რეპუტაციას როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე. კომპანიები, რომლებიც ღიად წარმოადგენენ ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედების და სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, უფრო ადვილად იკიდებენ ფეხს საერთაშორისო ბაზრებზე და ქმნიან გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

თუმცა, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მდგრადი განვითარების ანგარიშგების დანერგვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მდგრადი განვითარების ანგარიშგება მოითხოვს ინვესტიციებს რესურსებში, რაც მცირე ბიზნესებისთვის სირთულეს წარმოადგენს. გარდა ამისა, ბევრი მსს-ს არ აქვს საკმარისი ცოდნა და უნარები ანგარიშგების სწორად შემუშავებისთვის, რაც ართულებს ანგარიშგების ეფექტიანად მომზადების პროცესს.

ამერკაკასიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება. ქვემოთ მოცემულია თითოეული ქვეყნის მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა შედარებითი ანალიზი დაგვეხმარება დავინახოთ რეგიონული ეკონომიკური ვითარების რეალური სურათი.

1. საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები

- დასაქმების დონე

საქართველოს ეკონომიკაში დასაქმების მაჩვენებელი ბოლო წლებში სტაბილურად იცვლება. 2023 წლის მონაცემებით, დასაქმების დონე საქართველოში დაახლოებით 44.5%-ს შეადგენდა, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირედით გაუმჯობესდა. უმუშევრობის დონე, რომელიც ადრე 19%-ზე მეტი იყო, 2023 წელს შემცირდა და შეადგინა 16.4% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

- მშპ-ის ზრდა

საქართველოს მშპ-ის ზრდა პოზიტიური ტენდენციით ხასიათდება. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდა შეადგენდა 11%-ს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. 2023 წელს, მშპ-ის ზრდა მოლოდინით 5%-ს შეადგენდა, თუმცა ფაქტობრივად ზრდამ 7.5% შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023). ეს ზრდა გამოწვეულია მომსახურების სექტორის გაფართოებით, მათ შორის ტურიზმით და ექსპორტის ზრდით.

- ექსპორტის წილი

2023 წლის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტის მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 6 მლრდ აშშ დოლარს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024). მთავარი საექსპორტო პროდუქტებია მინერალური წყალი, ლითონები და აგრარული პროდუქცია. ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ საქმიანობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებთან, მათ შორის, ევროკავშირსა და ჩინეთთან.

სომხეთის ეკონომიკური მაჩვენებლები

- დასაქმების დონე

2023 წლის მონაცემებით, სომხეთში დასაქმების დონე დაახლოებით 46%-ს შეადგენდა, თუმცა, ქვეყანაში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია და

დაახლოებით 8,59%-ს აღწევს (statista, 2024). უმუშევრობა გამოწვეულია ეკონომიკის აგრარული სექტორის დაქვეითებით და სომხეთში სამუშაო ადგილების შეზღუდულობით.

- მშპ-ის ზრდა

2022 წელს, სომხეთში მშპ-ს ზრდა იყო 12,6% (Group, 2024), რაც მეტწილად გამოწვეული იყო ინდუსტრიული სექტორის გაფართოებით, ტურიზმის აღდგენით და მომსახურების სექტორის გაძლიერებით. 2023 წლისთვის მშპ-ის ზრდამ კი 8,7%- შეადგინა.

- ექსპორტის წილი

სომხეთის ექსპორტის მოცულობა 2023 წელს შეადგენდა 8.3 მლრდ აშშ დოლარს (TrendEconomy, 2024). ძირითადი საექსპორტო საქონელი მოიცავს ლითონებს, მ.შ. სპილენძსა და აგრარულ პროდუქტებს. სომხეთის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარი, თუმცა, ის შეზღუდულია კავკასიის რეგიონში გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების გამო.

აზერბაიჯანის ეკონომიკური მაჩვენებლები

- დასაქმების დონე

აზერბაიჯანში დასაქმების დონე შედარებით მაღალია და 2023 წლისთვის შეადგენდა დაახლოებით 56%-ს. უმუშევრობის დონე კი შედარებით დაბალია და დაახლოებით 5.6%-ს შეადგენს (tradingeconomics, 2024). ეს ასახავს ქვეყნის ძლიერი ენერგეტიკული სექტორის პოზიციას, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ აქტივობას ქმნის.

- მშპ-ის ზრდა

აზერბაიჯანის მშპ-ის ზრდა 2022 წელს შეადგენდა 4.7%-ს, თუმცა 2023 წელს ზრდა უფრო კონსერვატიული იყო და 1.1%-ს შეადგენდა (World Bank Group, 2023), რაც გამოწვეულია ენერგორესურსების ფასების ცვლილებებით და ნავთობისა და გაზის სექტორზე დამოკიდებულებით. ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ენერგორესურსებზე.

- ექსპორტის წილი

აზერბაიჯანი რეგიონში ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ენერგორესურსების ექსპორტზე. 2023 წელს ქვეყნის ექსპორტის მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 33.9 მლრდ აშშ დოლარს (TrendEconomy, 2024), რისი დიდი ნაწილი მოდის ნავთობსა და გაზზე. ენერგეტიკული სექტორი წარმოადგენს აზერბაიჯანის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას.

შედარებითი ანალიზი

- დასაქმების დონე

აზერბაიჯანი გამოირჩეულია დასაქმების მაღალი მაჩვენებლით (56%), რაც მეტწილად დაკავშირებულია ენერგეტიკულ სექტორზე.

საქართველო და სომხეთი კი 44,5% და 46%-ით, შესაბამისად, შედარებით დაბალი დასაქმების დონით ხასიათდებიან, განსაკუთრებით სომხეთი, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია.

- მშპ-ის ზრდა

სომხეთი 2023 წელს ყველაზე მაღალი მშპ-ის ზრდის ტემპით გამოირჩეოდა (12.6%), რაც დაკავშირებულია ინდუსტრიისა და მომსახურების სექტორების გაფართოებასთან.

საქართველო გამოირჩევა მდგრადი და სტაბილური ზრდით (7,5% 2023 წელს), რაც მეტწილად ტურიზმისა და ექსპორტის ზრდასთანაა დაკავშირებული.

აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა შედარებით ნელია (1,1%-იანი ზრდა 2023 წელს), რაც ნავთობის ბაზარზე ზემოქმედების შედეგია.

- ექსპორტის წილი

აზერბაიჯანი ექსპორტის მხრივ უდავოდ ლიდერია რეგიონში, რადგან მისი ეკონომიკა დიდწილადაა დამოკიდებული ნავთობსა და გაზზე.

საქართველო და სომხეთი უფრო მცირე ეკონომიკის ქვეყნებია და მათი ექსპორტი ძირითადად აგრარულ და სამრეწველო პროდუქტებზეა დამოკიდებული, თუმცა საქართველო უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირსა და აზიის ბაზრებთან.

II. მდგრადი განვითარების ანგარიშგების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგრადი განვითარების ანგარიშგება არის კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებას ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით. ეს პრაქტიკა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს ღიად და გამჭვირვალედ წარმოაჩინონ საკუთარი მოქმედებები მდგრადობის მიზნების მისაღწევად და, იმავდროულად, გააუმჯობესონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

მდგრადი განვითარების ანგარიშგება ეფუძნება სამი ძირითადი მიმართულების შეფასებას, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც „მდგრადობის სამფეხას“ (Triple Bottom Line):

1. ეკონომიკური მდგრადობა: კომპანიის ფინანსური სტაბილურობის და გრძელვადიანი წარმატების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური რისკების მართვას.

2. სოციალური პასუხისმგებლობა: კომპანიის გავლენათანამშრომლებზე, საზოგადოებასა და პარტნიორებზე. სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს

შრომის პირობების გაუმჯობესებას, თანაბარ შესაძლებლობებს, ეთიკური ნორმების დაცვას და საზოგადოების მხარდაჭერას.

3. გარემოსდაცვითი მდგრადობა: გარემოზე ზემოქმედების შემცირება და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაზიარება. ეს მოიცავს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, ნარჩენების მართვას, ენერგიის დაზოგვას და გარემოსდაცვითი პოლიტიკის დანერგვას.

მდგრადი განვითარების ანგარიშგება არ არის მხოლოდ ანგარიშგების მომზადების პროცესი; ის წარმოადგენს ბიზნესების შესაძლებლობას, რომ გააუმჯობესონ გრძელვადიანი წარმატება შემდეგი გზებით:

1. რეპუტაციის გაუმჯობესება და მომხმარებელთა ნდობის ზრდა

კომპანიები, რომლებიც ღიად წარადგენენ მდგრადი განვითარების ანგარიშგებას, ზრდიან საზოგადოებისა და მომხმარებელთა ნდობას. ეკოლოგიურად სუფთა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები მოიპოვებენ მომხმარებელთა ერთგულებას, რაც ზრდის გაყიდვებს და აუმჯობესებს ბრენდის რეპუტაციას. მაგალითისთვის, მომხმარებელთა მზარდი ნაწილი ეძებს პროდუქტებსა და შეთავაზებებს, რაც ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებით არის შექმნილი.

2. ფინანსური სარგებელი და ინვესტორების მოზიდვა

მდგრადი განვითარების ანგარიშგება კომპანიას ეხმარება ინვესტორების მოზიდვაში, რადგან ინვესტორები დღეს უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას კომპანიის მდგრადობის სტრატეგიებს. ისინი ეძებენ ბიზნესს, რომელსაც აქვს გრძელვადიანი სტაბილურობისა და მდგრადობის გეგმები. ამას გარდა, მდგრადი ანგარიშგება კომპანიებს ეხმარება ფინანსური რისკის მართვასა და ხარჯების შემცირებაში, მაგალითად, ელ.ენერგიის დაზოგვისა და ნარჩენების მართვის გზით.

3. რეგულაციებსა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა

მსოფლიოში მდგრადი განვითარების საკითხები სულ უფრო მეტად არის გათვალისწინებული საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების დონეზე. მდგრადი ანგარიშგება ეხმარება კომპანიებს შეასრულონ კანონიერი მოთხოვნები და შეინარჩუნონ შესაბამისობა გარემოსდაცვით და სოციალურ რეგულაციებთან. ამასთან, მდგრადი ანგარიშგების მქონე კომპანიები უფრო ხშირად იღებენ სახელმწიფო მხარდაჭერას და სუბსიდიებს.

4. თანამშრომელთა მოტივაცია და ეფექტიანობა

კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, ხშირად უფრო მეტად ინარჩუნებენ მოტივირებულ და ერთგულ თა-

ნამშრომლებს. თანამშრომლები ამყობენ იმით, რომ მუშაობენ კომპანიაში, რომელიც ხელს უწყობს სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაზიარებას. ეს, თავის მხრივ, ამაღლებს შიდა სამუშაო კულტურას და აუმჯობესებს პროდუქტიულობას.

5. გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა

მდგრადი განვითარების ანგარიშგება კომპანიას ეხმარება შექმნას გრძელვადიანი ხედვა. ეს პროცესები ეხმარება ბიზნესს, შეაფასოს გარე და შიდა რისკები და გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან. შედეგად, ისინი უკეთესად ამზადებენ საკუთარ ბიზნესს გრძელვადიანი ცვლილებებისა და კრიზისებისათვის.

6. ბაზარზე ლიდერობის მოპოვება

კომპანიები, რომლებიც იღებენ მდგრადი განვითარების ანგარიშგებას და მოქმედებენ მისი პრინციპების მიხედვით, ხშირად ხდებიან ბაზრის ლიდერები. მდგრადი ბიზნესპრაქტიკა შეიძლება გახდეს კონკურენტული უპირატესობა, რადგან ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს მთავარი ფაქტორი, რომელსაც მომხმარებლები გაითვალისწინებენ პროდუქტის არჩევისას.

მსს-ებისთვის (მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის) რამდენიმე ძირითადი სარგებელი/ბენეფიტი არსებობს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნესგარემოში. მათ შორის:

1. მეტი გამჭვირვალობა: მოსახლეობისა და ბიზნესის ურთიერთობაში გამჭვირვალობა ქმნის ნდობას და თანამშრომლობის ეფექტიანობას. კომპანიები უკეთესად ხვდებიან მომხმარებლების და პარტნიორების საჭიროებებს.

2. ინვესტორთა ნდობის გაზრდა: ტრანსპარენტული ინფორმაცია და ანგარიში ხელს უწყობს ინვესტორების ნდობის ზრდას. ამან შეიძლება გაზარდოს ინვესტიციების რაოდენობა და მოტივაცია, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებისთვის.

3. სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა: კომპანიების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა ხელს უწყობს მათ საზოგადოებაში პოზიტიური იმიჯის ფორმირებას, ამაში ეხმარება პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მომხმარებლების, პარტნიორების და მუშაკების ინტერესების დაცვას.

ამ ბენეფიტების გაზრდა უზრუნველყოფს მცირე და საშუალო კომპანიების კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას ბაზარზე. მდგრადი ანგარიშგების სტანდარტების დანერგვის ეტაპზე, საქართველოს მცირე და საშუალო სა-

წარმოების (მსს) მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა და ანგარიშგების დონე საკმაოდ აქტუალური თემაა. გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს:

მდგრადი განვითარების პრინციპები

1. პირდაპირი მმართველობა და რეგულაციები: საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს რეგულაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი ბიზნესპრაქტიკის მხარდაჭერას. ეს მოიცავს გარემოს დაცვის ნორმებს და სოციალური პასუხისმგებლობის კოდექსებს.

2. ბიზნესის ინიციატივები: მრავალი კომპანია ახორციელებს ინიციატივებს, რაც მოიცავს გარემოს დაცვას, ენერგიის ეფექტიან გამოყენებას და რესურსების მდგრად მოხმარებას.

3. განათლება და ცნობიერება: მცირე და საშუალო საწარმოები მუშაობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრენინგებს და სემინარებს მდგრადი განვითარების პრაქტიკებზე.

4. კომპანიის ორგანიზაციული კულტურა: მცირე და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა და გარემოს დაცვის პრინციპები მათი კომპანიის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ანგარიშგების დონე

1. ტრანსპარენტულობა: მცირე და საშუალო კომპანიები ხშირად არ აწვდიან სრულყოფილ ანგარიშგებას მდგრადი განვითარების შესახებ, თუმცა არსებობს ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს ტრანსპარენტულობის გაზრდას.

2. შეფასების სისტემები: ზოგიერთი კომპანია იყენებს საერთაშორისო სტანდარტების ანგარიშგების სისტემებს, როგორიცაა GRI (Global Reporting Initiative), რათა შექმნას მდგრადი განვითარების ანგარიშები.

3. სოციალური და გარემოსდაცვითი მონაცემების გაზიარება: მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგების დონე ჯერ კიდევ დაბალია, გაიზარდა ინტერესი მონაცემების გაზიარების მიმართ, რაც შეიძლება დამხმარე იყოს ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

დასკვნა

1. ძირითადი მიგნებები

მდგრადი განვითარების ანგარიშგება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების (მსს-ების) ფინანსური წარმატებისა და მდგრადობის უზრუნველყოფაში. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე გამოვლენილი ფაქტები და ანალიზი ხაზს უსვამს რამდენიმე საკვანძო მიგნებას:

- ტრანსპარენტობა და ნდობა: მდგრადობის ანგარიშგება ხელს უწყობს კომპანიების გამჭვირვალობის გაზრდას, რაც დადებითად მოქმედებს ინვესტორთა ნდობასა და მომხმარებლების ინტერესებზე.

- რეგულაციების შესაბამისად მოქნილობა: მდგრადობის ანგარიშგება ასახავს კომპანიის მზადყოფნას, დაიცვას მიმდინარე რეგულაციებსა და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვას უწყობს ხელს.

- ფინანსური შედეგების გაუმჯობესება: მდგრადი ანგარიშგება საშუალებას იძლევა კომპანიებმა მიიღონ მეტი ინვესტიცია, გრანტი და ხარჯების ეფექტიანი მართვა, რაც საბოლოოდ ზრდის მოგების პოტენციალს.

- რისკის მართვა: მდგრადობის მონაცემების ეფექტური მართვა და ანალიზი კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ და მართონ პოტენციური სოციალური, გარემოსდაცვითი და ფინანსური რისკები.

- ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა: კომპანიები, რომლებიც მდგრადობის პრაქტიკებს იცავენ, უფრო მეტად არიან სარგებლიანები ბაზარზე და მათ მიმართ ინტერესიც გაიზრდება.

2. პრაქტიკული ნაბიჯები

საქართველოს მსს-ებისთვის მდგრადი ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესებისთვის რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი შეიძლება გადაიდგას:

- განათლებისა და ტრენინგების ორგანიზება: კომპანიებმა უნდა შეიქმნან ტრენინგპროგრამები და სემინარები, რომლებიც თანამშრომლებს მიაწვდის ცოდნას მდგრადობის საკითხებსა და ანგარიშგების სტანდარტებზე.

- სახელმწიფო რეგულაციების და პოლიტიკის განვითარება: აუცილებელია სახელმწიფო უწყებების მიერ მდგრადობის ანგარიშგების სავალდებულო რეგულაციების შემუშავება და მათი რეგულარული მონიტორინგი.

- ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა: კომპანიებმა უნდა მოიძიონ და მიიღონ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, რაც გაამარტივებს მდგრადობის მონაცემების შეგროვებას და გაანალიზებას.

- ინფორმაციის გავრცელება: საჭიროა მასშედიისა და საზოგადოებრივი კამპანიების საშუალებით ინფორმაციის გავრცელება, რათა გაიზარდოს

საზოგადოების ცნობიერება მდგრადობის საკითხებზე და კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

- საგანმანათლებლო ინსტიტუტების და ბიზნესების თანამშრომლობა: უნივერსიტეტებმა და სასწავლო-სატრენინგო ცენტრებმა უნდა შექმნან პარტნიორული ურთიერთობები კომპანიებთან, რათა სტუდენტები და ახალგაზრდა სპეციალისტები გათვითცნობიერებული იყონ მდგრადობის საკითხებში.

- ინვესტორების და საბანკო ინსტიტუტების ჩართულობა: ბანკებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ სპეციალური პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი პროექტების დაფინანსებას და კომპანიების მხარდასაჭერად ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას.

References:

- Angel Gurriá. (2020, January 28). <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/25aa3d56-en.pdf?expires=1731502485&id=id&accname=guest&checksum=58CA610A73189F9CEB45F84A82FC6A84>. Retrieved from www.oecd-ilibrary.org.
- Gill, Indermit. (2024). WORLD DEVELOPMENT REPORT. World Bank Group. Washington: World Bank. doi:10.1596/978-1-4648-2078-6; 10.1596/978-1-4648-2097-7
- Group, W. B. (2024). <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=AM>. Retrieved from <https://data.worldbank.org>.
- Levan Sabauri. (2024, April 16). Internal Audit's Role in Supporting Sustainability Reporting. International Journal of Sustainable Development & Planning, 1981-1988.
- Levan Sabauri; Nadezhda Kvatashidze. (2023, December 31). Sustainability reporting issues. (E. a. Center, Ed.) Entrepreneurship and Sustainability Issues, pages 282-289.
- OECD. (2020, April 29). https://www.oecd.org/content/dam/oecd/ka/publications/reports/2019/12/access-to-green-finance-for-smes-in-georgia_29beb631/943e0535-ka.pdf. doi:10.1787/943e0535-ka
- statista. (2024). <https://www.statista.com/statistics/440639/unemployment-rate-in-armenia/>. Retrieved from <https://www.statista.com>.
- tradingeconomics. (2024). <https://tradingeconomics.com/azerbaijan/unemployment-rate>. Retrieved from <https://tradingeconomics.com>.
- TrendEconomy. (2024). <https://trendeconomy.com/data/h2/Armenia/TOTAL>. Retrieved from <https://trendeconomy.com>.
- TrendEconomy. (2024). <https://trendeconomy.com/data/h2/Azerbaijan/TOTAL>. Retrieved from <https://trendeconomy.com>.
- World Bank Group. (2023). <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?end=2023&locations=AZ&start=1991&view=chart>. Retrieved from <https://data.worldbank.org>.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2021). https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf. Retrieved from www.economy.ge.

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>. Retrieved from <https://www.geostat.ge>.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>. Retrieved from <https://www.geostat.ge>.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachropa>. Retrieved from <https://www.geostat.ge>.

Challenges in Preparing Sustainable Development Reports by Small and Medium-Sized Enterprises (SMEs) in Georgia (A Comparative Analysis with Armenia and Azerbaijan)

Levan Sabauri

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

levan.sabauri@tsu.ge

This article examines the role and significance of sustainable development reporting by small and medium-sized enterprises (SMEs) within the context of Georgia's economic reality. It evaluates how the principles of sustainable development and the associated reporting practices influence the operational strategies and long-term growth of SMEs. The study also presents a comparative analysis of practices and experiences in Armenia and Azerbaijan, offering insights into broader regional trends in economic and sustainable development. This comparison underscores the challenges and opportunities that arise when assessing these countries in relation to one another.

The research findings aim to improve the preparation of sustainable development reports by SMEs and highlight their essential contribution to advancing the region's sustainable economic development.

Keywords: Corporate responsibility, environmental responsibility, economic efficiency, sustainable development, social responsibility.

JEL Codes: L26, M14, O13, Q56, R11

მსგავსი დიაგნოზით დაკავშირებული ჯგუფების (DRG) დაფინანსების მეთოდის შემოღება საქართველოში და მისი გავლენა სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობაზე

თენგიზ ვეჟულავა

პროფესორი
ბიზნესის სკოლა, კავკასიის
უნივერსიტეტი
tverulava@cu.edu.ge

რევაზ ჯორბენაძე

გ.ჩაფიძის გადაუღებელი კახილოგოვის
ცენტრი
revaz.jorbenadze@ecc.ge

გიორგი კუჩიანიძე

მედიცინის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი
g_kurtanidze2@cu.edu.ge

საქართველოში 2022 წელს შემოღებულ იქნა საავადმყოფო მომსახურების დაფინანსების პირობითი სისტემა, რომელიც ეფუძნება მსგავსი დიაგნოზით დაკავშირებულ ჯგუფებს (DRG) და მიზნად ისახავს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის ამაღლებას. კვლევის მიზანია DRG-ზე დაფუძნებული საავადმყოფოს დაფინანსების გავლენის შეფასება ინფრაქტული პაციენტების სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობაზე. კვლევამ, რომელიც მოიცავს სამი დიდი საავადმყოფოს 2021-2024 წლების მონაცემებს, აჩვენა, რომ DRG სისტემის დანერგვამ შეამცირა პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა, ჰეაღმსიერების და დეგარობის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნოზოლოგიების ფასები გაიზარდა, პაციენტთა ჯიბიდან გადახდები შემცირდა, რაც ფინანსური ხედვისაწვდომობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: მსგავსი დიაგნოზით დაკავშირებული ჯგუფები (DRG), დაფინანსების სისტემა, პაციენტი, მწვავე მოკაჩილური ინფარქტი, საქართველო.

შესავალი

დიაგნოზით დაკავშირებული ჯგუფების (Diagnosis-Related Groups – DRG), ანუ „დიარჯის“ დაფინანსების მეთოდი გულისხმობს საავადმყოფოების დაფინანსებას რესურსების გამოყენებისა და კლინიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც ერთიანდება მსგავსი დიაგნოზის მიხედვით. მსგავსი დიაგნოზის მქონე დაავადებები გაერთიანებულია ერთ ნოზოლოგიურ ჯგუფში და თითოეული ჯგუფისთვის განისაზღვრება საშუალო ხარჯები, აუცილებელი კლინიკური და დიაგნოსტიკური ღონისძიებები, თანმხლები დაავადებები და ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა.

დიაგნოზით დაკავშირებული ჯგუფების დაფინანსების სისტემა პირველად 1983 წელს შემუშავდა იელის უნივერსიტეტში (აშშ) Medicare პროგრამის ხარჯების შეკავების მიზნით (Stern და Epstein, 1985; Tylus, 1981). ამ ახალმა სისტემამ შეცვალა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ბალანსი, რომელიც ადრე უპირატესობას ანიჭებდა პროვაიდერებს (საავადმყოფოებსა და ექიმებს). აღნიშნული მეთოდი ეკონომიკურ პასუხისმგებლობას გადასცემს დამფინანსებლიდან სამედიცინო დაწესებულებებზე, რაც ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას და სისტემის ეფექტიანობას (Choi და სხვ., 2019).

- Educating the public – Increasing awareness among the general public and business sector about both the advantages and potential risks of digital currencies will encourage responsible usage. The Ministry of Economy should launch an informational campaign aimed at improving financial literacy among the population.
- Studying international practices – Georgian financial institutions should examine and adopt best practices from developed countries regarding the regulation and integration of digital currencies. Commercial banks should introduce blockchain-based payment services in a pilot mode.
- References:
- Joseph L. (2025). "A Research Agenda for Financial Law and Regulation". Edward Elgar Publishing;
- Yun Wu., Wei zhu (2025). "The Fundamentals of Digital Currency : Demystifying the Social Experiment of New Money." (Singapore, springer)
- Tskhadadze K. (2019). "The Impact of the International Currency Market on the Georgian Economy" (Online version, Tbilisi;)
- Global (2024). "Global Digital Currency Market by Type , By Component, By Process, By Software, By Hardware, By End-User, By Region and Companies - Industry Segment Outlook, Market Assessment, Competition Scenario, Trends, and Forecast 2023-2032" (Market. Us; 2024) <https://market.us/report/digital-currency-market/>
- Cryptal (2025). "Crypto Mining in Georgia – Everything You Need to Know in 2025" (Cryptal ; 2025) <https://cryptal.com/en/blog/crypto-mining-in-georgia-guide>
- Elad Barry (2023). "Digital Currency Statistics 2023 – By Global Market Share, Price Prediction, Regional Analysis, Types, Cryptocurrency, Statblecoins and CBDCs" (Enterpriceapptoday;)

- <https://www.enterpriseappstoday.com/stats/digital-currency-statistics.html>
- Statista (2025). "Cryptocurrencies-Georgia" (Statista; 2025) <https://www.statista.com/otlook/fmo/digitalassets/cryptocurrencies/georgia?srsId=AfmBOoxZFsz1wVhSWLafQ8ZU4FUatt-mPJgNOP9ScETXfzDCwSFxF5VH>
 - World (2018). "Cryptocurrencies and Blockchain" (World Bank Group; 2018) <https://documents1.worldbank.org/curated/en/293821525702130886/pdf/Cryptocurrencies-and-blockchain.pdf>

ციფრული ვალუტის გავლენა გაცვლით კურსზე

თამილა ქახივაძე

დოქტორი

შოთა ხუსთაველის ბათუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

kartsivadzetamila@gmail.com

მიმდინარე გლობალურმა მოვლენებმა, ინტერნეტიზაციამ და ციფრულმა ტრანსფორმაციამ ფინანსური სექტორის მოდიფიცირება გამოიწვია. შესაბამისად, თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სისტემის ფუნქციონირება წარმოუდგენელია ციფრული ვალუტის გარეშე, რასაც არეგულირებს ფინანსური მენეჯმენტი.

ფინანსური მენეჯმენტი მოითხოვს სხვადასხვა სახის ფინანსური და ეკონომიკური გამოთვლების მუდმივ შესრულებას, რაც დაკავშირებულია ფულად და სხვა ფინანსურ ნაკადებთან სხვადასხვა პერიოდში. ამ გამოთვლებში გადამწყვეტ როლს თამაშობს ფულის ღირებულების შეფასება დროის განმავლობაში.

ციფრული ვალუტები (კრიპტოვალუტა, სტაბილური მონეტები და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა - CBDC), სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ფინანსურ ბაზრებსა და საერთაშორისო ვაჭრობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მისი გავლენა გაცვლით კურსზე, რადგან ის ცვლის ვალუტაზე მოთხოვნას და საერთაშორისო ტრანზაქციების დინამიკას. ციფრული ვალუტების, მათ შორის კრიპტოვალუტების, სტეიბლიკოინების და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების (CBDC) ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ფინანსურ ბაზრებსა და გაცვლით კურსზე. ეს ციფრული აქტივები იძლევა სხვადასხვა სარგებელს, როგორცაა ფინანსური ჩართულობის ზრდა, გაუმჯობესებული ტრანზაქციის ეფექტიანობა და გაძლიერებული საერთაშორისო ვაჭრობა. თუმცა, გამოწვევები რჩება. ციფრული

ვალუტები იწვევს გაცვლითი კურსის მაღალ ცვალებადობას, ამცირებს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნას და ართულებს მონეტარული პოლიტიკის კონტროლს. ციფრული აქტივების მზარდი უპირატესობა საფრთხეს უქმნის ტრადიციულ საბანკო სისტემას, ზრდის ფინანსურ არასტაბილურობას. კიბერუსაფრთხოების რისკი, მარეგულირებელი ხარვეზები და უკანონო საქმიანობის პოტენციალი კიდევ უფრო ართულებს მათ მიღებას.

კვლევა აანალიზებს ციფრული ვალუტების დადებით და უარყოფით გავლენას გაცვლით კურსებზე, მათ შორის, საქართველოს ფინანსურ სისტემაზე. ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, ციფრული ვალუტა ქმნის შესაძლებლობებსაც და რისკსაც. მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია ფინანსური ინოვაციების მხარდაჭერა, ასევე შეუძლია დააჩქაროს დოლარიზაცია და დაარღვიოს მონეტარული პოლიტიკა. კარგად რეგულირებული ჩარჩო აუცილებელია მისი პოტენციალის გამოსაყენებლად და ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას, ფინანსური განათლების ხელშეწყობას და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება. მომავლის ტენდენციები, როგორიცაა: CBDC-ების ზრდა, გლობალური რეგულაციების გამკაცრება და საბანკო სექტორის ადაპტაცია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ციფრული ვალუტების გავლენის ფორმირებასა და მის ინტეგრაციაში გლობალურ ეკონომიკაში.

საკვანძო სიგეყები: ციფრული ვალუტა, გაცვლითი კურსი, კრიპტოვალუტები, მონეტარული პოლიტიკა.

სახარჯთაღრიცხვო ფასწარმოქმნა მშენებლობაში დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში

ნიკოლოზ დადიანი

ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ეკონომიკური ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელი, სს „თედასი“
dadiani.post@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.13

ნაშრომის მიზანია ევროპასა და ამერიკაში, ასევე საქართველოში, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების შედგენის ძირითადი პრინციპების გამოვლენა. ობიექტების მშენებლობის დაგეგმვისას, სანდო ფასებისა და ხარჯთაღრიცხვების ადეკვატულობა, განსაზღვრავს კაპიტალური ინვესტიციების მთლიანი ხაოფენობისა და ცადკუელი ხაჩებების ღიმიტების ხეგულიების შესადგებლობას. ამ მიზნებისათვის, აშკააა, მშენებლობის თითოეულ ეტაპზე, ხესუხეების ღიხებულების შესახებ საწყისი ინფორმაციის საჭიროება. ამ მხივ, ძირითადი ინფორმაციაა სამშენებლო და ენეხეტიკული კომპანიების საკუთარი სამუშაოებისათვის გამოთვლილი ფასები, ასევე მონაცემები, მესამე მხაის ოფანიზაციების, სამუშაოს შესხულების გამოცდილების შესახებ. ასეთი ინფორმაცია გხოვდება და ვხცედდება, კომეხციულ საფუძველზე, ევროპისა და ჩხიღოეთ ამერიკის ზოგიერთი ოფანიზაციის მიეხ. საკუთარი ეთუელი ფასებისა და შეფასებების შედგენის გამოცდილება, ასევე ხედმისაწვლმია სს „თედასი“, ჰომელიც ხარჯთაღრიცხვის შესადგენად იყენებს სპეციალუხად შემუშავებულ კომპიუტეხულ პროგრამას (ძირითადად ელექტროენეხეტიკის სამუშაოებზე). ხეკომენდებუღია მსგავსი პროგრამების დანეხგვა საქართველოს სამშენებლო ბიზნესში. უცხოური და ადგიღობხივი გამოცდილება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესხულებისთვის ინფორმაციის შეგხოვებისა და ფასების შედგენის კუთხით, მოკდედ ახის ასახული შემოთავაზებულ სტატიაში და პიექტიკული მნიშვნეღობისაა საქართველოში ხარჯთაღრიცხვების შედგენის სისტემის გამაჩტივებისთვის. ეს ეხება საპხოექტო და საწაჩმოო კომპანიებს.

საკვანძო სიყყვები: ენეხეტიკული კომპანიები, მშენებლობა, ღიხებულება, ეთუელი ფასები, შეფასება, ხარჯთაღრიცხვა.

შესავალი

ევროპისა და ამერიკის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო არეგულირებს ფასების 5-დან 20%-მდე და ეს ძირითადად ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ელექტროენერგიას და გაზს (Smart-Lab. Marek,

2024; Хабибулин, 2017), ხოლო ეკონომიკის საბაზრო სექტორში, კონკურენტუნარიანი ფასების გაანგარიშება და დადგენა, პრიორიტეტული ამოცანაა. ამ ქვეყნებში, სამშენებლო კომპანიები, ცალკეული სამუშაოებისა და პროექტების ღირებულების გაანგარიშებისას, ითალისწინებენ არამხოლოდ საკუთარ მონაცემებს, არამედ გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასაც.

მშენებლობაში, ინვესტიციების ფინანსური რისკის შესამცირებლად, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლები ტარდება სხვადასხვა კატეგორიის, ჯგუფისა და სამუშაოების კომპლექსების განსხვავებული ფასების საფუძველზე. გათვლების საწყის ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვანია ნაგებობის მახასიათებლების გათვალისწინებით, ანალოგიური ობიექტის და ხარჯების შეფასების მეთოდოლოგიის სწორი არჩევა

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება

აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია ფართოდ იყენებენ სპეციალიზებული ორგანიზაციებისა და საინფორმაციო სამსახურების მიერ მომზადებულ განზოგადებულ გამოცდილებას და მშენებლობაში საშუალო ერთეულის ფასებს ითვალისწინებენ. ფასების შესახებ მაჩვენებლებს სისტემატურად ამზადებენ სხვადასხვა კომპანიები, როგორც მონაცემთა ელექტრონული ბაზების, ასევე დაბეჭდილი კრებულების სახით. ამ კრებულებს, ბუნებრივია, არ აქვს დირექტიული ხასიათი. მასალების ფასების, შრომის დანახარჯების, დანადგარებისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის, ასევე ზედნადები ხარჯების დაფიქსირების, სისტემატიზაციისა და ფასების კლიენტებისათვის მიწოდების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კორპორაციაა Gordian Corporation-ი (1990 წლიდან). 2014-2023 წლებში Gordian-ი გაერთიანდა რამდენიმე სერვისთან და კომპანიასთან, რომლებიც ლიდერები არიან ინფორმაციის შეგროვებასა და მშენებლობის ხარჯების მონაცემების ფორმირებაში. გაერთიანებულ პლატფორმებს შორის იყო RSMeans, Sightlines, 4Clics, Fortive, VFA და Kykload Solutions. მათგან ყველაზე მოთხოვნილია RSMeans-ის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ტარიფები, რომელიც შეიცავს 92000-ზე მეტ ერთეულს. მომხმარებლები ყოველწლიურად 30000 საათზე მეტ დროს ახორციელებენ ამ მონაცემთა ბაზაში (Gordian. RMS data on-line, 2025). 2025 წელს გამოვიდა ახალი წიგნები სხვადასხვა ტიპის სამუშაოსა და ხარჯების ერთეულ ტარიფებზე; კრებულის ფასი 750 დოლარს აღწევს პლუს გადასახადები (RSMeans. Cost Data Books, 2025 r.).

აშშ-ში ასევე არსებობს, სხვადასხვა სფეროში, ყველა დონეზე, ფაქტობრივი და სავარაუდო ხარჯების შეფასების მეთოდების შესახებ, სხვა პერიოდული გამოცემები. მაგალითად, აშშ-ის პროფესიონალ შემფასებლთა საზო-

გადოების (ASPE) მიერ შემუშავებული. 2025 წლის კრებულები, რომლებიც შეიცავს შრომის შეფასების სტანდარტებს, ასევე, შესაბამის ანგარიშგების ფორმებს (12-th Edition Standard Estimating Practice, 2025). RSMeans-ის კრებულში, “შენობების მშენებლობის ხარჯების მონაცემები”, წარმოდგენილია გარკვეულ ფორმატით, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში (იხ.ცხრილი 1).

RSMeans-ის მიერ შედგენილი ფასების მონაცემების ცხრილის ფორმა

ცხილი 1.

სამშენებლო პროცესის დასახელება	რგოლი	ცვლის გამომუშავება	შრომის დანახარჯები, კაც-სთ	ერთ. განზომ. მიღება	პირდაპირი ხარჯები, აშშ დოლ.				სულ, ზედნადები ხარჯების და მოგების ჩათვლით
					მასალები	შრომა	ტექნიკის ექსპლუატ.	სულ	

წყარო: Фонд Институционального развития стоимостного инжиниринга в строительстве. Определение стоимости строительства в США; 11 августа 2022 г. <https://smeta-na.ru/cenoobrazovanie/metodologiya/opredelenie-stoimosti-stroitelstva-v-ssha/>

ამჟამად აშშ-ში სულ 15-ზე მეტი კრებული გამოიყენება, რომლებიც შეიცავს არანაკლებ 165000 ფასს. ხარჯების მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, დასრულებული პროექტების ელექტრონული მონაცემები. ამერიკაში 100-ზე მეტი ასეთი პროგრამული პროზდუქტია. გარდა ამისა, ყოველკვარტალურად ქვეყნდება სამშენებლო პროფესიების პერსონალთა ხელფასების განაკვეთები აშშ-ის 300-ზე მეტ ქალაქში (EPC Academy, 2021).

დიდ ბრიტანეთში ასევე ქვეყნდება ერთეული ფასების ყოველწლიური ცნობარები - ნიგნებს აქვეყნებს Minns, Marshall & Swift, Spons, Wessex (Цири-ри-ри, Айдын, 2021, 155-197). ამ ქვეყანაში სამშენებლო ობიექტების ღირებულების შეფასების საინფორმაციო სისტემა - Building Cost Information Service (BCIS), წელიწადში ორჯერ აქვეყნებს განახლებულ 12 საცნობარო კრებულს (Archi.ru, 2022). საფრანგეთსა და გერმანიაში პერიოდულად ქვეყნდება, მშენებლობაში სამუშაოების ღირებულების ცალკეული კრებულები (ყოველწლიურად 2-3 ტომის სახით).

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში პროექტების ღირებულების გამოსათვლელად, როგორც წესი, გამოიყენება 5-დონიანი შეფასების სისტემა (ფრჩხილებში - ჩვენთვის ცნობილი სავარაუდო დონეებია ნაჩვენები):

1. პროექტის მიზანშეწონილობის შეფასება (კონცეფცია, ტექნიკური დაავალები);
2. წინასწარი შეფასება (ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძველი);
3. პროექტის შემუშავების დონე (პროექტი);
4. მუშა პროექტი (მუშა პროექტი, ნახაზები);
5. დამკვეთისთვის შეთავაზებული კონტრაქტორის მიერ სამუშაოს შეფასება.

ტიპური პროექტებისთვის არსებობს შედარებით გამარტივებული შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ბოლო სამ პოზიციას.

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შემფასებლები (ხარჯთაღმრიცხველები), აქტიურად მონაწილეობენ მშენებლობის სამუშაოს ღირებულების განგარიშების ყველა ეტაპზე. ჩრდილოეთ ამერიკაში, სპეციალური ორგანიზაციები ანხორციელებენ მშენებლობაში შემფასებლების სერტიფიცირების მომსახურებას. არსებობს სერტიფიცირების სხვადასხვა დონე:

- შეფასების სპეციალისტი;
- პროფესიონალი შემფასებელი;
- შემფასებელ-ანალიტიკოსი;
- პროფესიონალი შემფასებელ-ანალიტიკოსი.

სერტიფიცირებამდე, შემფასებლისთვის წინასწარი მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, მაგალითად, პირველი ეტაპისთვის, შემფასებლის სპეციალისტს ჯამში მინიმუმ 8 - წლიანი განათლება პლუს გამოცდილება უნდა ჰქონდეს. პრეტენდენტები აბარებენ გამოცდას - დაახლოებით 120 ტესტს. სერტიფიკატი მოქმედებს სამი წლის განმავლობაში, შემდეგ ის უნდა განახლდეს (Bridgit. Construction estimator certification 101, 2025).

ფასწარმოქმნა საქართველოს სამშენებლო სფეროში

სამშენებლო დარგში სამუშაოს ღირებულების შეფასების საკითხები საქართველოში, დასავლური ბიზნესის მოთხოვნებს ჯერჯერობით ჩამორჩება. თითოეული ორგანიზაცია ობიექტების მშენებლობისთვის შრომის ანაზღაურების საკითხებს პრაქტიკულად დამოუკიდებლად აფასებს საკუთარი გამოცდილებისა და დაახლოებით 40 წლის წინანდელი საბჭოთა პერიოდის მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე. ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები თავის დროზე აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთი ნორმატივების შემუშავებაში, როგორიცაა СНиП, ГОСТ, ЕНиР, ЕРЕР და ა.შ. ამის საფუძველზე, ამ სტანდარტების რესურსული ნაწილის გამოყენება საქართველოში, შეიძლება საკმაოდ ლეგიტიმურად ჩაითვალოს. ცხადია, რომ მომდევნო პერიოდში გამოჩნდა ახალი დანადგარები, აღჭურვილობა, თანამედროვე მასალები, შემუშავდა ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ფინანსური კომპონენტები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული წინა ნორმატიული დოკუმენტები,

ნტებით. ამჟამად გამოყენებული მეთოდები და ტექნიკა მოითხოვს არამხოლოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, არამედ გულისხმობს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას და დროულ ანალიზს. საქართველოში, მშენებლობაში მიმდინარე დოკუმენტაციის ავტორიზებული სია 2011 წელს შეიქმნა. 1992 წლამდე მოქმედი დოკუმენტები, ისევე როგორც თანამედროვე უცხოური სტანდარტები, ლეგიტიმურად ითვლებოდა, თუ არ არსებობს მსგავსი ქართული მონაცემები (საქართველოს მთავრობის დადგენილება #442, 2016 წლის 19 სექტემბერი).

კომპიუტერული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის განვითარება, მოითხოვს ახალი მიდგომებისა და გადაწყვეტილებების ძიებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თითქმის ყველა სფეროში აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. გამონაკლისი არ არის, თანამედროვე ტენდენციებთან, სხვადასხვა შენობებისა და ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების ადაპტაცია. საწარმოო საქმიანობის, ტექნოლოგიური და საინჟინერიზო პროცესების მონაწილეებს, მოთხოვნილი ინფორმაციის სწრაფი დამუშავება და გაცემა სჭირდებათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია, როგორც მაგალითი, სს “თელასის” ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში გამოყენებული ხარჯთაღრიცხვის შედგენის ძირითადი პრინციპები განვიხილოთ და გავაანალიზოთ.

თბილისის ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელი ყოველწლიურად აქტიურად ფართოვდება, მას ახალი მომხმარებლები (აბონენტები) უერთდებიან (იხ. ცხრილი 2).

სს „თელასის“ ელექტროენერგიი მაჩვენებლები წლების მიხედვით
ცხრილი 2.

მაჩვენებლები	განზ.	2020	2021	2022	2023	2024	საშუალო წლიური ზრდა
აბონენტები- სათვის ელექტრო- ენერგიის განაწილება	მლნ კვტ.სთ	2,477.0	2,733.0	2,827.0	2,938.0	3,194.0	179.3
0,4 – 110 კვ ელექტრო- გადამცემი ხაზების სიგრძე	კმ	6,098.3	6,390.0	6,660.9	6,854.2	7,151.1	263.2
ელექტრულ ქსელზე აბონენტების მიერთება	ც.	5,772	6,382	6,093	6,584	6,441	6,254

წყარო: სს “თელასის” წლიური ანგაჩიშები, 2020 – 2024 წლები.

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე ყოველწლიურად, საშუალოდ 263.2 კმ-ით იზრდება. თელასის ელექტროქსელში ახალი აბონენტების მიერთების მაჩვენებელი წელიწადში, საშუალოდ 6254 მომხმარებელს შეადგენს. დაფიქსირებულია, რომ თელასში 10/6/0.4 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 68 ერთეულით იზრდება.

ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშების და შეფასების თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტირების მიზნით, თელასში, 2016 წელს შემუშავდა და ექსპლუატაციაში შევიდა Microsoft Access პროგრამებზე დაფუძნებული, კომპიუტერული პროგრამული პაკეტი, სახელწოდებით - "Telasi-Smeta" პროგრამა შეიცავს ორ ძირითად ნაწილს:

- კალკულაციები (სამუშაოების ერთეულის ფასები), რომლებიც თელასის საქმიანობის სფეროში სხვადასხვა ტიპის სამშენებლო, სამონტაჟო, ელექტრო ტექნიკური და გაწყობა-გამართვის სამუშაოებს ეხება და რომელთა რაოდენობა ამჟამად Telasi-Smeta 2500-ზე მეტ კალკულაციას შეიცავს;

- თავად ხარჯთაღრიცხვის პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს „გამოვიძახოთ“ საჭირო კალკულაცია - ნომრის (კოდის) ან საკვანძო სიტყვით და ჩავსვათ ის შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში, როგორც ცალკეული ტიპის სამუშაოს ღირებულება.

კალკულაცია წარმოადგენს სამუშაოს ცალკეული სახეობის ერთეული ფასის (პირდაპირი ხარჯები) გაანგარიშებას, რომელიც დაყოფილია პუნქტებად. მასში მითითებულია ნორმატიული საფუძვლები, სამუშაოს დასახელება, აღწერა, რესურსებისა და ხარჯების რაოდენობა. თითოეული კალკულაციის ფიზიკური რესურსული ნაწილის საფუძველია СНиП, ЕНиР და მათი მოდიფიკაცია - ГЭСН-2022, შესაბამისი რეგულაციები, მეთოდიკა და სხვა ნორმატივები. ეს დოკუმენტები არეგულირებს ისეთ ნომინალურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: შრომის დანახარჯები, სამუშაოს სირთულის კატეგორია, სამშენებლო ტექნიკის ტიპები, მისი ექსპლუატაციის მანქანა-საათები, მასალების ჩამონათვალი და რაოდენობა.

თავისებურია მუშაკთა ხელფასების ნორმატივების საკითხი. თელასში არსებობს სამუშაო კატეგორიებისა და მუშაკთა საათობრივი ტარიფების სისტემა ამ კატეგორიების შესაბამისად. ასეთი გრადაციით შესაძლებელია მუშების ანაზღაურების სისტემის დიფერენცირება სამუშაოს სირთულის დონისა და შემსრულებლების კვალიფიკაციის მიხედვით. სატარიფო განაკვეთები პრაქტიკულად საბაზრო ფასების დონეზეა. საბაზისო გაანგარიშებები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს სხვადასხვა დანამატებს ან კორექტირების კოეფიციენტებს. ამავდროულად, «Telasi-Smeta» საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში მარტივად შეყვანილ იქნეს

ბევრი კორექტირების ფაქტორი, მაგალითად: შეზღუდული სამუშაო პირობები, მაღალი ძაბვის წყაროებთან ახლოს მუშაობა, მთის ფერდობებზე ან მავნე გარემოში მუშაობა და ა.შ. ასევე შესაძლებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა დანამატები, რაც დაკავშირებულია შრომატევადობასთან, შემსრულებელის ხელფასებთან, მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის პარამეტრებთან. პროგრამა ითვალისწინებს მშენებლობის (პირდაპირი ხარჯების 14%) და ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების (მუშების ხელფასის 75%) ზედნადებ ხარჯებს. გეგმური მოგება აღებულია 11.5%-ის ოდენობით, ასევე ღირებულების 3%-ის ოდენობით - გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამას ეს პარამეტრები ხარჯთაღრიცხვაში ავტომატურად შეჰყავს.

„Telasi-Smeta“-ს სტანდარტული ფორმის ხარჯთაღრიცხვის დაბეჭდვა შესაძლებელია Access კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით ან Excel ფორმატში (უჭრედებთან დამაკავშირებელი ფორმულების გარეშე). ლოკალიზური ხარჯთაღრიცხვის საბოლოო ფორმა ნაჩვენებია ცხრილში 3.

სს„თელასის“ ლოკალური ხარჯთაღრიცხვის ფორმა

ცხილი 3.

კალკულაცია	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი			მთლიანი ღირებულება, ლარი				
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ კაც. სთ	სულ მანქ. სთ
					ძირით. ხელფა-სი	მანქ. მექ.		მ.შ. ხელფასი	ძირით.ხელფასი		

წყაიხ: ცხილი შედგენილია ავტოჩის მიეჩ

“Telasi-Smeta” კოორდინირებულია სს „თელასში“ მოქმედ SAP პროგრამულ სისტემასთან, საიდანაც შესაბამისი ძირითადი მასალებისა და კონსტრუქციების ფასების მონაცემები ადვილად გადადის შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში. ძირითადი მასალების გარდა, ამ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია დამხმარე მასალების (ელექტროდები, ლურსმანი, საღებავი და ა.შ.) ღირებულება. “Telasi-Smeta” შესაძლებლობას იძლევა ამოიბეჭდოს რეესტრი, ყველა რესურსზე, რომელიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვის ხარჯვით ნაწილში, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ საჭირო რესურსების ნომენკლატურა და ღირებულება. ამასთან ერთად, რესურსული ფასების

სისტემატური აქტუალიზაცია, მათ შორის ხელფასის, და განახლებული მონაცემების შეტანა სს „თელასის“ ერთიან ბაზაში, ავტომატურად ითვალისწინებს კორექტირებულ მონაცემებს. პროექტის ხარჯთაღრიცხვის შედგენის პერიოდში, SAP-ში, თუ კონკრეტული რესურსების ღირებულების შესახებ არ არის მონაცემები, მაშინ გამოიყენება საქართველოში გამოქვეყნებული კვარტალური ფასების კრებულში მოცემული ფასები (მშენებლების შემფასებელთა კავშირი, 2025).

“Telasi-Smeta”-ს კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის სამუშაოსა და მომსახურებისთვის (ახალი აბონენტების ელექტროქსელთან მიერთებების ხარჯთაღრიცხვების გამოკლებით), ყოველწლიურად დგება 700-ზე მეტი ხარჯთაღრიცხვა. შედგენილი ხარჯთაღრიცხვები ინახება ელექტრონულ არქივში და მისი ნახვა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. “Telasi-Smeta”-ში რესურსებისა და ხარჯების ერთეულების ღირებულება პერიოდულად რეგულირდება, მაგრამ არანაკლებ ერთხელ წელიწადში. “Telasi-Smeta”-ს აქვს შემდეგი დადებითი მხარეები:

- საწყისი მონაცემების (ერთეულების ოდენობისა და ფასების) ნორმატიული საფუძვლები;
- ხარჯთაღრიცხვის სწრაფი მომზადება და გაცემა;
- მუდმივი კოეფიციენტების დარიცხვის ავტომატიზაცია- ზედნადები ხარჯები, მოგება, გაუთვალისწინებელი ხარჯები, დღგ;
- ხარჯთაღრიცხვაში კორექტირების ფაქტორების შეყვანის შესაძლებლობა შეფასებების მომზადების პროცესში;
- გამოყენებული რესურსების დეტალური ჩამონათვალის ნებისმიერ დროს ნახვის და ამობეჭდვის შესაძლებლობა.

თელასი გეგმავს “Telasi-Smeta”-ს პროგრამული პაკეტის შემდგომ გაუმჯობესებას:

1. მსხვილი და რთული პროექტების განხორციელებისას, კრებისითი ხარჯთაღრიცხვის შედგენის ავტომატიზაცია.

2. მშენებლობის წარმოების ორგანიზაციის პროექტებში გათვალისწინებული ფაქტორების ხარჯთაღრიცხვაში ავტომატურად ასახვის შესაძლებლობა, მათ შორის დანადგარებისა და აღჭურვილობის ადგილზე მიტანა და გადატანა, მასალების ტრანსპორტირება, პერსონალის ტრანსპორტით გადაადგილება, დროებითი შენობების და ნაგებობების მოწყობა (რომელიც არ შედის ზედნადებ ხარჯებში) და სხვა ხარჯები.

3. შედარებით მცირე რაოდენობის ან არატიპური სამუშაოების (რომელიც იშვიათია სს “თელასი“-სთვის) ხარჯთაღრიცხვაში სათანადო კოეფიციენტის შეყვანა, რასაც პირობითად “მასშტაბის ფაქტორს” ვუწოდებთ. (ასეთებია არასტანდარტული სამუშაოები, ერთჯერადი კონსტრუქციები, სამუშაოები, რომ-

ლებიც პირდაპირ არ შედის “თელასის” კომპეტენციაში, კონკრეტული სამუშაოების შესრულების გამოცდილების ნაკლებობა, ასევე პერსონალის გადამზადების ხარჯები - ეს ყველაფერი იწვევს დამატებით რესურსულ ხარჯებს და, შედეგად, საქმიანობის ზოგიერთი სეგმენტის ღირებულების ზრდას. ამიტომ, ეს ხარჯები ექვემდებარება შეფასებაში აუცილებელ აღრიცხვას.)

მუშა ნახაზებით გაუთვალისწინებული ტექნოლოგიური ფაქტორების ასახვის მიზნით, “თელასის” ხარჯთაღმრიცხველები იყენებენ საკუთარ გამოთვლებს. ასეთ შემთხვევებში, ხარჯთაღმრიცხვაში შესაბამისი კორექტირება შეაქვთ ხელით. მაგალითად, როგორიცაა დახრილი ტრაექტორიით ტვირთის ხელით გადატანის ფაქტორი. ამ შემთხვევაში, ხარჯთაღმრიცხვის ფორმაში შეჰყავთ დამატებითი სტრიქონი მუშების შრომის ხარჯებისთვის, რომელიც გამოითვლება ЕНП-ის (პუნქტი 1-19, 1986) რესურსების მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული ფორმულების გამოყენებით, კერძოდ:

$$\text{ტვირთის ხელით გადატანა აღმართზე } T1 = 1.29 + 0.441 \times (0.1L + H - 1),$$

$$\text{იგივე - დაღმართზე } T2 = 1.29 + 0.441 \times (0.08L + H - 1),$$

სადაც:

T1 და T2 არის მუშების შრომის დანახარჯები 1 ტონა ტვირთის გადატანაზე, კაც.სთ;

L - ტვირთის ხელით გადატანის მანძილი, მ;

H - აღმართის ან დაღმართის საბოლოო სიმაღლე, მ.

ამ ფორმულების გამოყენებით მიღებული, ტვირთის ხელით გადატანაზე შრომის დანახარჯები მრავლდება შესაბამისი კატეგორიის მუშის საათობრივ განაკვეთზე და მიიღება გამოთვლილი ხელფასი, რაც გაითვალისწინება საბოლოო ხარჯთაღმრიცხვაში.

სს “თელასის”-თვის მოთხოვნილი სამუშაოების სახეობებისათვის (როგორიცაა სატრანსფორმატორო ქვესადგურების მშენებლობა და შეკეთება, საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა) ფასების წინასწარი განსაზღვრა ტენდერების განცხადებისათვის, ობიექტების ფასების სწრაფ და გონივრულ ფორმირებას უწყობს ხელს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი) აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამა სამუშაოების შეფასების და ხარჯთაღმრიცხვების შესადგენად. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში პოპულარული პროგრამებია Grand-Smeta, Smeta.RU, Turbo estimator, SmetaWIZARD, RIK-Smeta. ეს პროგრამები ხარჯთაღმრიცხვების მეტწილად ავტომატიზებული შედგენის საშუალებას იძლევა.

დადგა დრო, საქართველოშიც, შემუშავდეს და დაინერგოს 2-3 უნივერსალური კომპიუტერული პროგრამა სამშენებლო, სამონტაჟო და სხვა სამუშაოების რესურსული ხარჯთაღმრიცხვიების შესადგენად. მისი კომპონენტების (მუშათა ხელფასების, მანქანების ექსპლუატაციის, მასალების) ღირებულების

მაჩვენებლებში, ბუნებრივია, ადგილობრივი საბაზრო საშუალო მონაცემები უნდა იყოს გათვალისწინებული.

დასკვნა

- სამრეწველო და ენერგეტიკულ სამშენებლო ობიექტებზე ღირებულების ფორმირების სამუშაოების გამსხვილებული და დაზუსტებული ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება არის ფაქტორი, რაც ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობასა და პროექტების განხორციელებას;

- სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულების გონივრული გაანგარიშება, უზრუნველყოფს სამართლიან და ჯანსაღ კონკურენციას სხვადასხვა კონკურსისა და ტენდერის დროს, როგორც დამკვეთისათვის, ასევე შემსრულებლისათვის;

- სს „თელასში“ რეალიზებულმა სამშენებლო, ელექტრო-სამონტაჟო, გაწყობა-გამართვის და სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღიჯცვების შედგენისას, ავტომატიზებული პროგრამა Telasi-Smeta-ს მრავალწლიანმა წარმატებულმა გამოცდილებამ, დაადასტურა მისი ეფექტიანობა;

- საქართველოში მსგავსი სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, დააჩქარებს შესაბამისი სამუშაოებისა და მომსახურების ობიექტური ღირებულების გაანგარიშების პროცესებს, რაც შეამცირებს საინვესტიციო რისკს სამშენებლო სფეროსა და საწარმოო საქმიანობის მრავალ სახეობაში.

ლიტერატურა:

- მშენებელთა შემფასებელთა კავშირი (2025). “სამშენებლო რესურსების ფასები” - თბილისი, ზ. ჭავჭავაძის ქ., 5.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #442, 2016 წლის 19 სექტემბერი, ქ. თბილისი” საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ”
- სს “თელასის” წლიური ანგარიშები”, 2020 – 2024 წლები.
- Archi.ru. Оценка стоимости строительства на стадии архитектурной концепции: доступные методы и новые возможности; 2022.
- <https://archi.ru/tech/96055/ocenka-stoimosti-stroitelstva-na-stadii...>
- Bridgit. Construction estimator certification 101: all you need to know, 2025;
- <https://gobridgit.com/blog/construction-estimator-certification-101/>
- EPC Academy. Как американцы считают стоимость стройки? 2021;
- <https://dzen.ru/a/YQEY2R1hxxsqfRFZ>.
- 12-th Edition Standard Estimating Practice (2025), <https://www.aspenational.org/page/12SEP>
- Gordian. RMS data on-line. <https://www.gordian.com/products/rsmeans-data-services/>

(2025).

- RSMeans. 2025 Cost Data Books (2025); <https://www.rsmeans.com/products/books/2025-cost-data-books>.
- Smart-Lab.Marek. Государственное регулирование цен в зарубежных странах; 06 сентября 2024 г. <https://smart-lab.ru/blog/1057455.php>
- Академия сметного дела. Ильдар Хабибулин. Государственное регулирование цен – мировой опыт. Часть 1; 2017 г. <https://academia-bti.ru/blog/347940>.
- Фонд Институционального развития стоимостного инжиниринга в строительстве. Определение стоимости строительства в США; 2022; <https://smeta-na.ru/cenoobrazovanie/metodologiya/opredelenie-stoimosti-stroitelstva-v-ssha/>.
- Цибариус Ю.А., Айдын Е.В. «Зарубежный опыт определения стоимости строительства», 155-197, Сибирский гос. университет путей сообщения, Новосибирск; 2021 г. <https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnyy-opyt-opredeleniya-stoimosti-stroitelstva/viewer>.

References:

- Builders Appraisers Union (2025). „samsheneblo resursebis pasebi“ [“Prices of Construction Resources”, Tbilisi, Z.Chavchavadze St., 5.] in Georgian
- Resolution of the Government of Georgia #442, September 19, 2016, Tbilisi „sakartvelos teritoriaze samsheneblo sektoris maregulirebeli teknikuri reglamentebis aghiarebisa da dzalashi shesvlis shesakheb“ [“On the Recognition and Entry into Force of Technical Regulations Regulating the Construction Sector on the Territory of Georgia” on Amendments to the Resolution of the Government of Georgia No. 52 (2014).] in Georgian
- JSC “Telasi” tsiuri angarishebi, 2020 – 2024. [Annual Reports, 2020-2024 years.] in Georgian
- Archi.ru. (2022). Estimation of Cost of Construction at the Ctage of Crchitectural Concept: Cvailable Cethods and Cew Cpportunities. <https://archi.ru/tech/96055/ocenka-stoimos-ti-stroitelstva-na-stadii>
- Bridgit (2025). Construction Estimator Certification 101: all You Need to Know<https://gobridgit.com/blog/construction-estimator-certification-101/>
- EPC Academy. How do Americans Consider the Cost of Construction? (2021); <https://dzen.ru/a/YQEY2R1hxxsqfRFZ>.
- 12th Edition Standard Estimating Practice (2025), <https://www.aspenational.org/page/12SEP>
- Gordian (2025). RMS data online. <https://www.gordian.com/products/rsmeans-data-services/> (2025).
- RSMeans(2025). Cost Data Books (2025); <https://www.rsmeans.com/products/books/2025-cost-data-books>.
- Smart-Lab. Marek. State Regulation of Prices in Foreign Countries (2024) <https://smart-lab.ru/blog/1057455.php>
- Ildar Khabibulin (2017). Academy of Accounting, State Regulation of Prices – World Experience. Part 1; <https://academia-bti.ru/blog/347940>.
- Foundation of Institutional Development of Cost Engineering in Construction. Determination of cost of construction in USA (2022); <https://smeta-na.ru/cenoobrazovanie/metodologiya/opredelenie-stoimosti-stroitelstva-v-ssha/>.
- Tsibarius U.A., Aidin E.V. (2021) “ Foreign Experience in Determining Construction Costs “, 155-

197, Siberian State University of Railway Engineering, Novosibirsk; <https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnyy-opyt-opredeleniya-stoimosti-stroitelstva/viewer>.

Price Formation in Construction Across Western Countries and Georgia

Nikoloz Dadiani

*Academic Doctor of Technical Sciences
Head of Economic Analysis Group JSC “Telasi”
dadiani.post@gmail.com*

In Western Europe and North America, the state regulates from 5 to 20% of prices. In the free price sector, the development of competitive pricing critically important. To mitigate financial risks associated with construction investments, companies conduct preliminary technical and economic analyses - initially using aggregated prices for similar projects, followed by detailed estimates based on working documentation. In these countries, emphasis is placed on both internal experience and the practices of other construction companies. Current cost indicators are used in this process, collected, recorded and regularly updated by specialized organizations. These entities provide stakeholders with essential data on wages and the costs of implementing construction projects at specific price points. A different approach to preliminary cost calculation is employed by construction companies in Georgia. Here, outdated Soviet-era standards from 1982-1986 – primarily SNiP, ENIR and other norms for labor time (man-hours) and equipment operation – are still used as the basis for cost estimation. However, over the past 40-45 years, construction technologies have evolved significantly, with new machinery and materials rendering these standards increasingly obsolete. This creates a dual challenge: 1) outdated norms for resource consumption per unit of work volume and 2) current market prices for these resources. In other words, the standardized labor and equipment costs no longer reflect the actual specifics or scope of modern construction work. For example, the operation of an excavator in a gravel quarry is treated the same as its use in installing power transmission lines in current reference materials. A similar issue exists in the accounting of standard worker wages. Moreover, construction or electrical work estimates are often prepared using Excel, without proper automation of processes. To address this, JSC “Telasi” – a company responsible for electricity distribution in Tbilisi – has developed a specialized software program called Telasi-Smeta (TS). This tool significantly accelerates the preparation of estimates for

construction and installation work. TS comprises two main components: precompiled unit prices based on updated labor and machine-time standards. Unit cost estimates for Telasi workers' hourly wages and the current operating cost of machinery and equipment. Current prices for materials are sourced from the SAP database or quarterly price collections published in Georgia. This system includes cost estimates for over 2,500 types of work and operations relevant to Telasi's activities. Estimates are compiled by entering codes or keywords, which retrieve and insert individual cost items into the estimate. Each item occupies a separate line, with only the work volume entered manually. Overhead costs (by type of work), planned profit and final calculations are processed automatically. TS also allows printing a register of all resources included in each cost item. With regular updates to resource prices – including wages – new data is easily entered into the database, automatically adjusting all related cost indicators. Mathematical operations, including expense breakdowns, are performed automatically. If needed, TS can apply correction factors for challenging working conditions and generate a complete list of resources for each project. The program is hosted on a central server accessible to all Telasi estimators. TS has been in use for over 8 years, with the database updated annually or as needed – both in terms of item names and resource costs. Its use has proven efficient, reliable and relevant. Based on working drawings, technical specifications, or defect reports, Telasi performs an average of 700 estimate calculations annually using TS. These estimates are stored in an electronic archive and can be accessed at any time. However, TS has not yet automated certain technological factors, such as worker transportation, material delivery, and equipment movement to and from the sites. Work is underway to address these gaps. Plans also include making TS portable via USB flash drive and introducing a correction factor for relatively small-scale work (the “scale factor”). Non-standard tasks, one-off structures, and work outside Telasi's core competences often incur additional resource costs, leading to higher expenses in certain areas. These costs are also accounted for in the estimates. Given that TS is tailored specifically for the needs of Telasi, it is proposed to develop 3-4 similar, compatible universal programs for automated preparation across other sectors – industrial and civil construction, hydraulic engineering, energy, transport and underground construction. The development and implementation of such standardized programs in Georgia would accelerate the calculation of justified costs for various types of work and services, thereby reducing investment risks across multiple industries.

Keywords: Energy companies, Construction, cost, unit prices, evaluation, cost estimate, expenses.

JEL Codes: L74, H54, H57, O33, L11, D24

ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის გავლენა მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) ფინანსების წვდომაზე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)

ეკა გეგეშიძე

პროფესორი
ბიზნესისა და ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა სკოლა
საქართველოს უნივერსიტეტი
e.gegeshidze@ug.edu.ge.

ნათია კადატოზიშვილი

დოქტორანტი
ბიზნესისა და ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა სკოლა
საქართველოს უნივერსიტეტი
nknatinati@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2025.17.03.14

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პირობებში მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) ფინანსებზე წვდომა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ჩნდება. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ხელოვნებას ახორციელებს, ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და ფინანსური სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამ კონტექსტით განსაკუთრებით საინტერესოა იმ ქვეყნების ანალიზი, სადაც კაპიტალის ბაზრები ნაკლებად ახის განვითარებული და დაფინანსების ძირითადი წყარო საბანკო სესხებია. საქართველო ამ მხრივ ღიჯივად მდგომარეობს, სადაც სწორედ ასეთი ხელოვნება მიმდინარეობს. ნაშრომი იკვლევს, რამდენად მოახერხა საქართველოში მიმდინარე აღრიცხვის ხელოვნება გავლენა SME-ების საკრედიტო ხელმისაწვდომობაზე.

კვლევა იყენებს შეხვედრი მეთოდების მიდგომას: ხელოვნების დასაწყისში (2019 წ.) ჩატარებული კვლევის ბიზნესის რეგულაციური გამოკითხვა, 2024 წელს კი - ინტერვიუები ბანკების წარმომადგენლებთან. ასევე გამოყენებულია სამაგიდო კვლევა მეოხადი მონაცემების გასაანალიზებლად, გლობალური და ჰეროიკი ნული პრაქტიკის შესასწავლად.

შედეგები მიუთითებს, რომ მიუხედავად გამჭვირვალობის ზრდისა, საქართველოში ბანკები SME-ების საკრედიტო შეფასებისას, ხელოვნების ფაქტორებში გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს შეზღუდვად იყენებენ.

SME-ების ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად საჭიროა დამატებითი ინსტიტუციური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ასევე ფინანსური ანალიზის პრაქტიკის გაძლიერება საგანმანათლებლო ღონისძიებების მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვის ხელოვნება, SME-ების დაფინანსება, ფინანსური გამჭვირვალობა, საქართველო, განვითარებადი ბაზრები.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში, მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ პრობლემას ხშირად განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების სუსტი პრაქტიკა, არასაკმარისად განვითარებული კაპიტალის ბაზრები და მნიშვნელოვანი ინფორმაციული ასიმეტრია მეწარმეებსა და კრედიტორებს შორის (Nanyondo et al. 2014; Beck, 2007). მსოფლიო ბანკის მიხედვით, ძლიერი აღრიცხვისა და აუდიტის სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის პირობებში, სადაც ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და კერძო სექტორზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა, კრიტიკულ ამოცანას წარმოადგენს (World Bank Group, 2019). საქართველოს მაგალითი უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, განვითარებად ქვეყანაში მიმდინარე აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ეფექტიანობის შესასწავლად, რასაც ეს ნაშრომი ეძღვნება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, კორპორაციული გამჭვირვალობის, საკრედიტო ბაზრების გაძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მრავალმა ქვეყანამ განახორციელა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა. აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესების მცდელობა ცალკეული ქვეყნების ინიციატივა არ არის - ის მრავალი წელია გლობალურ ტენდენციად იქცა. დაიწყო აღრიცხვის ჰარმონიზაციის პროცესი, რაც აღრიცხვის სტანდარტების დაახლოებას ისახავდა მიზნად. ამის ფონზე, შესადარისი და სანდო ანგარიშგებების მქონე კომპანიებს საერთაშორისო ვაჭრობასა თუ კანკიტალის მოზიდვაში ხელი უნდა შეწყობოდათ.

დღესდღეობით მსოფლიოს 140-ზე მეტი იურისდიქციის საწარმოს მოეხთხოვება ან ნებადართულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS) იხელმძღვანელოს (IFRS, 2025). ამ პროცესს სათავე ჩაეყარა 1973 წელს ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (IASB) დაარსებით, რომელიც 2001 წელს გარდაიქმნა ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოდ (IASB), რითაც გაძლიერდა საერთაშორისო შეთანხმება ერთიანი აღრიცხვის სტანდარტების მნიშვნელობაზე. ამ გლობალური პროცესის ფარგლებში ევროკავშირმაც შეიმუშავა საკუთარი რეგულაციები და დირექტივები, როგორც დიდ კომპანიებზე, ასევე SME-ებზე გასავრცელებლად.

საქართველომ ევროკავშირში გაერთიანებისკენ სწრაფვის გზაზე, ასევე დაიწყო ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესი. ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაში ეს ერთ-ერთი საჭიროებად იყო გათვალისწინებული (Association Agreement, 2014). შესაბამისად, ქვეყანამ 2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

კანონი დაამტკიცა. ამ კანონის საფუძველზე დაიწყო ყოვლისმომცველი რენ ფორმა, რომლის მიზანია, ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რეგულაციების გაძლიერება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა (საქართველოს კანონი ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, 2016). რეფორმის ფარგლებში, 2019 წლიდან, კომპანიებისთვის სახვალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგებების საჯარო პლატფორმაზე (<https://reportal.ge/>) განთავსება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საქართველოში არსებული პრაქტიკულად ყველა ბიზნესი საკუთარ ანგარიშებს ასაჯაროებს და ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ასეთი ფინანსური გამჭვირვალობა, თეორიულად, უნდა დაეხმაროს ინვესტორებს საკრედიტო გადაწყვეტილებების უფრო ინფორმირებულად მიღებაში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზარი ნაკლებად არის განვითარებული და მცირე ბიზნესის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენს. საინტერესოა, ბანკებს რამდენად ეხმარება საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება SME-ების საკრედიტო შეფასებისას და აქვს თუ არა ამას გავლენა ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებაზე.

არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურა, რომელმაც აღრიცხვის ჰარმონიზაციის საკითხი შეისწავლა, ძირითადად კონცენტრირება ბულია ფინანსური გამჭვირვალობის ზოგად გაუმჯობესებაზე, რეფორმების აღსრულების გამონვევებზე და ნაკლებად იკვლევს, როგორ აისახება აღნიშნული რეფორმა SME-ების ფინანსებზე წვდომაზე, როდესაც ისინი მთლიანად კომერციულ ბანკებზე არიან დამოკიდებული. შესაბამისად, აღნიშნული ემპირიული კვლევა პირველი მცდელობაა, რომ პასუხი გასცეს მნიშვნელოვან კითხვას: - რამდენად აისახა ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების სავალდებულო პრაქტიკა მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო წვდომაზე საქართველოში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე იმ გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის, სადაც კაპიტალის ბაზარი სუსტადაა განვითარებული და ბანკებზე დამოკიდებული სისტემაა დამკვიდრებული.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და მასალები

კვლევა დაფუძნებულია შერეულ მეთოდებზე და მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა 2019 წელს ჩატარებულ საბაზისო რაოდენობრივ გამოკითხვას, რომლის ფარგლებშიც 74 ბულალტერსა და ფინანსურ მენეჯერს შორის შეგროვდა მონაცემები იმის შესახებ, როგორ აფასებდნენ აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყის გამოწვევებს. ასევე, ამ ეტაპზე

ჩატარდა ინტერვიუები აღრიცხვის დარგის სამ ექსპერტთან, რაც უზრუნველყოფდა რეფორმის საწყის ეტაპზე არსებული სიტუაციის ღრმა გაგებას. აღონიშნული კვლევის მონაცემები, პრეზენტაციის სახით, წარდგენილი იყო 2019 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით პირველ საეხრთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე - „გაზრდილი გამჭვირსვალობა და ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“. კვლევის აბსტრაქტი გამოქვეყნებულია სამეცნიერო შრომების კრებულში (კალატოზიშვილი 2019, 192).

მეორე ეტაპი მოიცავს 2024 წელს ჩატარებულ ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუებს საქართველოს სამი მსხვილი კომერციული ბანკის საკრედიტო და რისკის ოფიცრებთან. ამ დროისთვის კომპანიებმა უკვე რამდენიმე პერიოდის ფინანსური ანგარიშგება გამოაქვეყნეს, რაც საშუალებას აძლევდა ბანკებს შეეფასებინათ საჯარო ფინანსური ინფორმაციის როლი საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული ბანკები ჯამურად ბაზარის უმსხვილეს წილს ფლობდნენ (78%-ზე მეტი), რაც უზრუნველყოფს შედეგების განზოგადების შესაძლებლობას.

გარდა პირველადი მონაცემებისა, ნაშრომში გამოყენებულია სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS), IFRS ფონდისა და ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტაცია და სამეცნიერო ლიტერატურა. მონაცემები დამუშავდა აღწერილი სტატისტიკისა და სისტემური ანალიზის მეთოდებით.

გლობალური და რეგიონული პრაქტიკა: აღრიცხვის ჰარმონიზაციის რეფორმების მიღწევები და გამოწვევები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი ტემპი შეიძინა. პროცესის მთავარი მიზანი სხვადასხვა ქვეყანაში აღრიცხვის ერთიანი ჩარჩოს დამკვიდრებაა, რაც ინვესტორებს, კაპიტალის მომწოდებლებსა და მარეგულირებელ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მეტად სანდო, გამჭვირვალე და შედარებადი ინფორმაცია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა IFRS-ის ფართო გავრცელება, რომლის დანერგვაც 2001-2002 წლებში დაიწყო და დღეისთვის უკვე 148 იურისდიქციაშია სავალდებულო (იხ. ცხრილი 1).

IFRS-ის გავრცელების არეალი რეგიონების მიხედვით

ცხილი 1.

	იურის- დიქციების რაოდენობა	IFRS მოითხო- ვება	IFRS გავრცე- ლების %	IFRS დაშვებულია	IFRS არ დანერგვია
ევროპა	44	43	98%	1	0
აფრიკა	40	37	92.5%	2	1
ახლო აღმ.	13	12	92%	1	0
აზია და ოკეანია	35	28	80%	2	5
ამერიკა	37	27	73%	6	3
ჯამი	169	148	87%	12	9

წყარო: IFRS Foundation, 2025

გლობალური ტენდენციების პარალელურად, რეგიონულ დონეზეც შეინიშნება ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების კონვერგენციის მცდელობები. 2005 წლიდან, ევროკავშირში მოქმედ საჯაროდ განთავსებულ კომპანიებს, ევალებათ გაერთიანებული (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება IFRS-ის შესაბამისად მოამზადონ. ცხილი 1-დან ჩანს, რომ IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელი რეგიონებში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით კი ევროპაში, სადაც 44-დან 43 იურისდიქციაშია სავალდებულო.

ცალკეული კვლევა ცხადყოფს, რომ IFRS-ის დანერგვამ კომპანიების საკრედიტო რეიტინგები გააუმჯობესა. ასეთია შვედეთის მაგალითი. Hellman et al (2022) საკუთარ ნაშრომში აღწერენ, რომ მცირე კომპანიებში IFRS-ის დანერგვამ საკრედიტო რეიტინგები გააუმჯობესა და მოზიდული კაპიტალის ფასი შეამცირა. თუმცა, სხვა ქვეყნებში მსგავსი შედეგები ნაკლებად აღინიშნება და დამატებითი კვლევებია საჭირო.

Jorissen, et al (2022) კვლევამ, რომელშიც 108 ბანკირის ინტერვიუ გაანალიზდა, ცხადყო, რომ ბანკები მეტად ენდობიან IFRS-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ეროვნული სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ინფორმაციასთან შედარებით. თუმცა კვლევაში ხაზი იყო გასმული, რომ ნდობის დონე მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც IFRS სავალდებულოა და არა - ნებაყოფლობითი. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარებულია კომპანიების ზომა და აუდიტის არსებობა. მიუხედავად სტანდარტის გამოყენებისა, ანგარიშგების მიმართ ნდობა იკლებს კომპანიის ზომის შემცირებასთან ერთად. ასეთივე ტენდენციაა აღნიშნული არააუდირებული ანგარიშგების მიმართ - სტანდარტის გამოყენების მიუხედავად აუდირებულ მონაცემებს უფრო მაღალი ნდობა გააჩნიათ.

უახლესი სისტემური მიმოხილვა (Pirveli & Zimmermann, 2025) ადასტურებს, რომ IFRS-ის დანერგვის შედეგად ბაზარზე მართლაც შეინიშნება კომპანიების შეფასებისა და პროგნოზირების სიზუსტის, ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის ზრდა. თუმცა, ეს ეფექტები უმეტესად გამოწვეულია არა უშუალოდ ანგარიშგების ხარისხისა და შედარებითობის გაუმჯობესებით, არამედ ფართო ინსტიტუციური გარემოს ზეგავლენით, როგორცაა ცალკეული ქვეყნების სამართლებრივი სისტემა, კაპიტალის ბაზრების განვითარება, მარეგულირებელი და მაკროეკონომიკური პირობები.

IFRS-ის გავრცელების პარალელურად, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემუშავდა გამარტივებული ვარიანტი: - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs), რომლის დანერგვაც 2009 წელს დაიწყო. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, 2025 წლისთვის IFRS for SMEs მხოლოდ 87 იურისდიქციაში გამოიყენება სავალდებულო ან ნებაყოფლობითი ფორმატით (51.5%), მაშინ როდესაც IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელი 87%-ს შეადგენს. (იხ. ცხრილი 2).

IFRS for SMEs გავრცელების მასშტაბი
ცხრილი 2.

	იურსდიქციების რაოდენობა	IFRS for SMEs გავრცელების %
IFRS for SMEs გამოყენება სავალდებულო ან ნებადართულია	87	51.5%
IFRS for SMEs გამოყენება განხილვის პროცესშია	11	6.5%
IFRS for SMEs არ გამოიყენება და არც განხილვის პროცესშია	71	42%
ჯამი	169	100%

წყარო: IFRS Foundation, 2025

ჩინგვარო (2023) თავის კვლევაში „Exploring Regional Variations in the Adoption of IFRS for SMEs: A Structured Review“ აანალიზებს IFRS for SMEs-ის დანერგვის ტენდენციებს 2009-2023 წლებში. ავტორის დასკვნით, 2023 წლისთვის IFRS for SMEs-ის გავრცელება კვლავ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება სრული IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელს, რაც მიუთითებს პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებზე. ჩინგვაროს შეფასებით, დანერგვის მთავარი გამოწვევებია: მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრების ტექნიკური უნარების დეფიციტი, ფინანსური ცოდნის ნაკლებობა და სტანდარტის დანერგვის მა-

ღალი ხარჯები. მისი აზრით, ბიზნესი IFRS for SMEs-ს ნებაყოფლობით ძირითადად მაშინ იღებენ, როდესაც დამოკიდებული არიან გარე დაინტერესებულ მხარეებზე, ჩართულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, ფლობენ გრძელვადიან საქმიან გამოცდილებას ან ექმნებათ მნიშვნელოვანი ოპერაციული და ფინანსური რისკები.

საინტერესოა, რომ IFRS for SMEs სწრაფად გავრცელდა განვითარებად ქვეყნებში. ამის მიზეზი მკვლევართა ნაწილის აზრით არის ის, რომ IFRS-ის დანერგვა განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ბაზრების მიმზიდველობას ზრდის (Potharla, 2025). თუმცა, სტანდარტის ფორმალური დანერგვა მაღალი ხარისხის ანგარიშგებას ავტომატურად არ ნიშნავს და ამ ქვეყნების ძალისხმევაზე დამოკიდებული, ბიზნესის გამჭვირვალობა რეალურად გაიზრდება თუ არა.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილება ერთმანეთისგან განსხვავებულია. ბალტიის ქვეყნებმა IFRS 2005 წელს, ევროკავშირში გაწევრიანებასთან ერთად დანერგეს და დღეის მდგომარეობით ასევე მიღებული აქვთ IFRS for SMEs. მოლდოვამ და სომხეთმა პროგრესი განიცადეს მსოფლიო ბანკის პროგრამების დახმარებით და დღეისათვის სომხეთში IFRS-იცა და IFRS for SME-იც მიღებული სტანდარტებია. მოლდოვაში ჯერჯერობით მხოლოდ IFRS-ია დანერგილი. თურქეთშიც იგივე მდგომარეობაა. ხოლო რუსეთში IFRS დანერგილია და IFRS for SME განხილვის პროცესშია. აზერბაიჯანში ორივე სტანდარტი მიღებულია. საქართველოშიც ორივე სტანდარტია მიღებული (IFRS Foundation, 2025).

განხილული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ IFRS-ის დანერგვამ ზოგ ქვეყანაში დადებითი გავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, კაპიტალზე წვდომა და საბანკო ნდობაზე, თუმცა, ეფექტი დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოზე. IFRS for SMEs-ის შემთხვევაში, შედეგები უფრო შეზღუდულია. დანერგვის მთავარი ბარიერები - ტექნიკური უნარები, ტრენინგების ნაკლებობა და სტანდარტის დანერგვის ხარჯებია (Hybloba, 2019).

Hybloba (2019) ასკვნის, რომ ფინანსური ანგარიშგების ჰარმონიზაცია გრძელვადიანი პროცესია გაურკვეველი შედეგებით, რადგან მარეგულირებელი ორგანოები ხშირად ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების გავლენას განიცდიან. როგორ ნაბიჯებს გადადგამენ ბიზნესის გასაძლიერებლად, სწორედ ამაზე იქნება გრძელვადიანი შედეგები დამოკიდებული.

ამრიგად, გავრცელებული კვლევების შედეგები, ჯერჯერობით, ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის SME-ების დაფინანსების ზრდაზე ცალსახა გავლენას ვერ ადასტურებს. ითვლება, რომ IFRS-ის გამოყენება ზრდის ანგარიშგების სანდოობასა და გამჭვირვალობას, თუმცა, მცირე და საშუალო სანარმოებისთვის სტანდარტების გამოყენება უმეტესად ნებაყოფლობითია, ისევე როგორც აუდიტის განხორციელება. ეს გარემოებები კი, როგორც ვიხილეთ, კრედიტორებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება.

საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე

აღრიცხვის გლობალური ჰარმონიზაციის ფონზე, საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება. საქართველო სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 3.7 მლნ-ს შეადგენს და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 9141 აშშ დოლარია (საქსტატი, 2025). ქვეყანა მიისწრაფის ევროინტეგრაციისკენ და ამ გზაზე სხვადასხვა ეტაპს გადის ევროსტანდარტებთან დასაახლოებლად. მათ შორისაა აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ჰარმონიზაციაც. ქვეყანაში 2016 წელს დამტკიცდა კანონი - „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რის საფუძველზეც დაიწყო საბუღალტრო და აუდიტის სფეროს ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციის რეფორმა.

რეფორმის მთავარი სიახლე იყო კერძო სექტორისთვის ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების ვალდებულების დაწესება და სპეციალური პორტალის (www.reportal.ge) ამოქმედება, სადაც 2019 წლიდან კომპანიებს საკუთარი მონაცემები უნდა აეტვირთათ. ამ გზით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ინვესტორებისთვის ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფრო ინფორმირებული საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება.

რეფორმა მიზნად ისახავდა საქართველოს მთელი კერძო სექტორის დაფარვას. მოხდა ზომისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით კომპანიების კლასიფიკაცია, რომელიც მათი აღრიცხვისა და აუდიტის ვალდებულებებს განსაზღვრავს (იხ. ცხრილი 3). საზოგადოების დაინტერესებულმა პირებმა და უმსხვილესმა კომპანიებმა (I კატეგორია), 2018 წლის ოქტომბრიდან, სრული IFRS-ის მიხედვით მომზადებული აუდიტირებული ანგარიშგება გაასაჯაროვეს. დიდმა და საშუალო კომპანიებმა (II და III კატეგორიები) IFRS for SMEs-ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგები 2019 წლიდან წარადგინეს, თუმცა, III კატეგორიისთვის აუდიტი ნებაყოფლობით მოთხოვნად დარჩა. ყველაზე მცირე ზომის მიკრო კომპანიებს (IV კატეგორია) მიეცათ ვადა 2021 წლამდე, რათა სავალდებულო ანგარიშგება გამარტივებული სტანდარტის შესაბამისად წარედგინათ, აუდიტი კი, მათთვისაც ნებაყოფლობითია. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ კომპანიას შეუძლია სრული IFRS-ის მიხედვით მოამზადოს ანგარიშგება - ეს კომპანიის მოტივაციასა და რესურსებზეა დამოკიდებული.

იურიდიული პირების კატეგორიები და შესაბამისი მოთხოვნები

ცხილი 3.

მაჩვენებელი/ კატეგორია	სდპ	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია
აქტივები (ლარი)		> 50 მლნ	< 50 მლნ	< 10 მლნ	< 1 მლნ
შემოსავლები (ლარი)		> 100 მლნ	< 100 მლნ	< 20 მლნ	< 2 მლნ
თანამშრომლების რაოდენობა		> 250	< 250	< 50	< 10
საბუღალტრო აღრიცხვა	IFRS	IFRS	IFRS for SMEs	IFRS for SMEs	გამარტივებული IFRS
მენეჯერული აღრიცხვა	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი
აუდიტი	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი
პირველი წარდგენის თარიღი	01.10.2018	01.10.2018	01.10.2019	01.10.2019	01.10.2021

წყარო: Pirveli and Shughliashvili, 2019

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), რეფორმის აღსრულების მონიტორინგის, მონაცემების შეგროვებისა და გამოწვევების გამოვლენის ძირითადი ორგანოა. 2019–2024 წლებში SARAS-ის ანგარიშებმა აჩვენა, რომ მსხვილ კომპანიებში (I–III კატეგორია) ფინანსური ანგარიშების წარდგენის მაჩვენებელი მუდმივად მაღალი იყო (2021 წელს — 95%, 2023 წელს — 93%), ხოლო მცირე და მიკრო კომპანიებში (IV კატეგორია) კლებადი ტენდენცია დაფიქსირდა (2021 წელს — 80%, 2023 წელს — 72%), რაც ამ კატეგორიის ბიზნესში არსებულ პრობლემებზე მიანიშნებს (იხ. ცხრილი 4).

ანგარიშების წარდგენის მაჩვენებლები კომპანიების კატეგორიების მიხედვით

ცხილი 4.

წელი	კატ I–III (%)	კატ IV (%)	შენიშვნა
2018	96	—	IV არ წარადგენს
2019	90	—	IV არ წარადგენს
2020	94	—	IV არ წარადგენს
2021	95	80	ყველა წარადგენს
2022	94	77	IV კატ. კლება
2023	93	72	IV კატ. კლება
2024	↑ (I–III გაიზარდა)	↓ (IV შემცირდა)	ზუსტი % არ ქვეყნდება. მთლიანი რაოდენობა 2023-ის მსგავსია

წყარო: ავტორის შედგენილი SARAS-ის 2019–2024 წლების წლიური ანგარიშების მიხედვით

გარდა წარდგენის მაჩვენებლების აღრიცხვისა, SARAS-მა ჩაატარა გამოკითხვები, გამოაქვეყნა სტრატეგიული გეგმები და განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამები. 2019–2022 წლებში 2,200-ზე მეტი ბუღალტერი და აუდიტორი გადაამზადა და 2020 წელს სერტიფიცირებული ბუღალტრების რესტრი შექმნა. მიუხედავად ასეთი ფართომასშტაბიანი აქტივობისა, SARAS-ის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი გამოწვევად რჩებოდა. SARAS-ის ანგარიშები მხოლოდ წარდგენის მაჩვენებლებს ასახავს, მაშინ როდესაც ანგარიშგებების ხარისხის, სიზუსტისა და სანდოობის შესახებ სისტემური მონაცემები არ არსებობს, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია რეფორმის ეფექტიანობის სრულყოფილად შეფასებისთვის. თუმცა, SARAS-ის 2023–2026 სტრატეგიაში ისევ გვხვდება საუბარი პროფესიული უნარებისა და წარდგენილი ინფორმაციის სანდოობის გაუმჯობესების საჭიროებებზე, რაც ამ გამოწვევების არსებობაზე მიუთითებს.

რეფორმამდელი პერიოდის კვლევები აჩვენებს, რომ რეფორმის აღსრულებას ქვეყანა გამოწვევებით შეხვდა. აღნიშნულია, რომ ქვეყანაში პროფესიული რესურსების ნაკლებობა და ფინანსური განათლების დაბალი დონე იყო (Kharabadze & Mamukelashvili, 2016; World Bank, 2015). აუდიტორების კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით, მკვლევრები რეკომენდაციას იძლევიან როგორც შესაბამისი სასწავლო გეგმების შემუშავების, ასევე ინსტრუქტორებისთვის ტრენინგების ჩატარების შესახებ, რათა სრულად დაკმაყოფილდეს სათანადო განათლების მოთხოვნა (საბაური, 2018).

ქვეყანაში IFRS for SME-ის დანერგვის პერსპექტივების შესახებ 2018 წელს ჩატარებული კვლევა მიუთითებს, როგორც შესაძლებლობებზე, ასევე გამოწვევებზე. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ გამარტივებული სტანდარტი უმჯობესებს ანგარიშგების ხარისხს, ზრდის გამჭვირვალობას და ფინანსებზე წვდომას, რაც საბოლოოდ ამცირებს კაპიტალის ღირებულებას და ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. თუმცა, მიუხედავად სტანდარტის სიმარტივისა, გამოწვევაა ქვეყანაში არსებული „შერეული“ აღრიცხვის პრაქტიკის შეცვლა, რაც SME-ების მენეჯმენტის სურვილზეც იქნება დამოკიდებული (Sabauri & Kvatashidze, 2018).


უკვე რეფორმის შემდეგ არსებულ კვლევებში აღინიშნება, რომ მოთხოვნებთან ტექნიკური შესაბამისობის ზრდის მიუხედავად, ინფორმაციის სანდოობისა და დროულობის მიმართულებით მიღწეული შედეგები შეზღუდულია. ისევ ნახსენებია ბუღალტრებისა და აუდიტორების უნარებთან დაკავშირებული გამოწვევები (Pirveli 2019, 2022). შესაბამისად, საინტერესოა, ანგარიშგებების გასაჯაროებიდან ხუთი წლის განმავლობაში, რა შედეგს მიაღწია ბიზნესის აქტიურობამ და რამდენად გამოსადეგია საჯარო ფინანსური ინფორმაცია კრედიტორებისთვის.

საბაზისო კვლევა (2019 წ.).

ბიზნესის მზაობისა და დამოკიდებულებების შეფასება რეფორმის დაწყებისას: აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის დასაწყისში კერძო სექტორის მზაობის შესაფასებლად ჩატარდა საბაზისო გამოკითხვა 74 ქართულ კომპანიაში და ექსპერტული ინტერვიუები საბუღალტრო და აუდიტის სფეროს პრაქტიკოს სამ სპეციალისტთან. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონული კითხვარის პროფესიულ ჯგუფებში გავრცელების გზით. მიზნობრივად სამ შერჩეულ ექსპერტთან კი ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი ასიმეტრია რეფორმის მოსალოდნელ სარგებელსა და კომპანიების ფაქტობრივ მზაობას ან/და რეფორმის სიღრმისეულ გაგებას შორის. კერძოდ, მონაწილეთა 81% თვლიდა, რომ რეფორმა დადებით გავლენას მოახდენდა კომპანიებზე, თუმცა, მხოლოდ 42%-ს ჰქონდა რეფორმის მოთხოვნების კარგი ან სრულყოფილი აღქმა და ასევე გამოკითხულთა მხოლოდ 57% იყო საშუალოდ ან სრულყოფილად მზად რეფორმაში ჩასართავად (იხ. სქემა 1).

ბიზნესის დამოკიდებულება და მოლოდინები რეფორმის მიმართ

სქემა 1.



გარდა ამისა, როგორც გამოკითხვის, ასევე, ექსპერტთა ინტერვიუებმა გამოკვეთეს აღრიცხვის სტანდარტებში კომპეტენციების გაზრდის საჭიროება. ექსპერტები ერთხმად მიუთითებდნენ საბუღალტრო კადრების მომზადების დაბალ დონესა და რეფორმის ნიუანსების გაგების პრობლემებზე. ასევე გამოიკვეთა დამატებითი ფაქტორი - მცირე ბიზნესისთვის რეფორმით გამოწვეული პოტენციური ხარჯები, რაც სრულყოფილი ანგარიშგების წარმოების დასაწყებად უნდა გაეწიათ. (იხ. ცხრილი 5).

ექსპერტებთან ინტერვიუში გამოვლენილი ძირითადი საკითხები

ცხილი 5.

ძირითადი საკითხები	ხსენებების რაოდენობა (3-დან)	სიხშირე
ბუღალტრების კომპეტენციების გაუმჯობესების საჭიროება	3	მაღალი
რეფორმის ნიუანსების უცოდინრობა	3	მაღალი
დამატებითი ხარჯების რისკი მცირე კომპანიებისთვის	2	საშუალო

წყარო: ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

ეს მიგნებები ადასტურებს ქვეყანაში პროფესიული უნარების უფრო განვითარების აუცილებლობასა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საჭიროებას, რეფორმის დანერგვის პროცესში.

რეფორმის შედეგების შეფასება 2024 წელს

საბანკო სექტორის შეხედულებები რეფორმის ფარგლებში გასაჯაროებული ანგარიშგებების დაკრედიტებაში გამოყენებასთან დაკავშირებით ასეთია: აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგებისა და ეფექტიანობის შეფასება ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო რეფორმის განხორციელების პროცესზე ხანგრძლივი დაკვირვება. 2024 წელს, რეფორმის ამოქმედებიდან ხუთი წლის შემდეგ, ჩატარდა ინტერვიუები საქართველოს სამი წამყვანი კომერციული ბანკის წარმომადგენლებთან, სულ ოთხ პირთან (სამი ინტერვიუ, მათ შორის ერთი ერთობლივად ორ რესპოდენტთან). რესპოდენტები წარმომადგენდნენ მაღალი და საშუალო მენეჯმენტის დონეს და მონაწილეობდნენ SME დაკრედიტების პროცესში. მათი პოზიციები იყო: SME-ების საკრედიტო ანალიზის დეპარტამენტის უფროსი; მიკრო და მცირე ბიზნესის კომერციული მართვის გუნდის ლიდერი; SME საბანკო მომსახურების გუნდის ლიდერი; ფინანსური ანალიზის დეპარტამენტის

ხელმძღვანელი. ინტერვიუს კითხვარი მოიცავდა თემებს SME-ების დაფინანსების ტენდენციებზე, საკრედიტო წვდომის სირთულეებზე, ანგარიშების ხარისხზე, reportal.ge-ის გამოყენებაზე, აუდიტის როლსა და რეკომენდაციებზე, რაც SME-ების ანგარიშების ხარისხს, სანდოობასა და გამოყენებადობას გაზრდის. ინტერვიუების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ბანკები მცირე და საშუალო კომპანიების (III და IV კატეგორიები) გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თითქმის არ ეყრდნობიან. ისინი ანგარიშგებებს მხოლოდ მონაცემების გადამოწმების მიზნით იყენებენ და საკრედიტო ანალიზის მთავარ წყაროდ კვლავ უშუალოდ კომპანიისგან მიღებულ უახლეს ფინანსურ მონაცემებს მიიჩნევენ (იხ. ცხრილი 6).

საბანკო სექტორთან ინტერვიუში გამოვლენილი ძირითადი საკითხები
ცხრილი 6.

ძირითადი საკითხები	ხსენებების რაოდენობა (3-დან)	სიხშირე
ფინანსური ანგარიშგების დაბალი ხარისხი	3	მაღალი
გასაჯაროებელი ინფორმაციის დროულობა	3	მაღალი
რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესებისთვის	2	საშუალო

წყარო: ავტორების მიერ ჩატაჲბული კვლევის შედეგები

ბანკების ერთობლივი შეფასებით, სახელმწიფო პორტალზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებები არ არის საკმარისად სანდო. განსაკუთრებით ეს შეეხება III და IV კატეგორიის კომპანიებს — მცირე და საშუალო ბიზნესების უმრავლესობას, რომლებიც IFRS for SMEs-ის მიხედვით აწარმოებენ ანგარიშგებებს და უმეტესად აუდიტების გარეშე აქვეყნებენ, რადგან ეს მათთვის ნებაყოფლობითია. შესაბამისად, ბანკები სესხის დამტკიცების პროცესში ფინანსურ მონაცემებს პირდაპირ კომპანიებისგან ითხოვენ. მხოლოდ მსხვილი კომპანიების ანგარიშგებები მიიჩნევა შედარებით სანდოდ. 2019 წლის შემდეგ, საბანკო სექტორის შეფასებით, SME-ების ანგარიშგების ხარისხი არსებითად არ გაუმჯობესებულა. გაუმჯობესების ტენდენცია ფიქსირდება მხოლოდ იმ მცირე ნაწილში, სადაც ახალგაზრდა მენარმეები იყენებენ აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემებს. თუმცა, არსებული ბიზნესის დიდი ნაწილი კვლავ აღრიცხვის ძველ სტილს მიჰყვება და უწინდებური ხარისხის ინფორმაციას აწვდის ბანკებს.

რესპონდენტების შეფასებით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეკლარაციები ბევრად უფრო სანდოა. ისინი გადის სისტემურ შემოწმებას, მაშინ როდესაც ფინანსური ანგარიშგების პორტალზე მონაცემების წარდგენა აღიქმება მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებად, რაც კომპანიების ანგარიშგების რეალურ ხარისხს იშვიათად ასახავს. ამ პრობლემას აძლიერებს კონტროლის მექანიზმების სისუსტე და სისტემური გადამოწმების პრაქტიკის არარსებობა.

აღინიშნა, რომ ბანკებისათვის კრედიტის განხილვისას გადამწყვეტია უახლესი ფინანსური მონაცემები — მიმდინარე წლის ან ბოლო კვარტლის შედეგები. თუმცა, საჯარო ფინანსური ანგარიშგება დაგვიანებით ქვეყნდება: ანგარიშები, როგორც წესი, წინა წლის მონაცემებს მოიცავს და გამოქვეყნდება მხოლოდ მომდევნო წლის მესამე კვარტალში. შესაბამისად, გასაჯაროებული ანგარიშგება დაკრედიტების პროცესში მთავარ ინფორმაციულ წყაროდ ვერ გამოდგება. ეს დროითი ჩამორჩენა მნიშვნელოვნად ამცირებს საჯარო მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას საბანკო გადამწყვეტილებებში. ბანკები პორტალის მონაცემებს მხოლოდ მაშინ ამოწმებენ, როდესაც კომპანიისგან წარმოდგენილ მონაცემებში საეჭვო ციფრებსა ან ხარვეზებს აღმოაჩენენ.

ეს მიგნებები ცხადყოფს, რომ რეფორმის მიზნის - ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით SME-ების ფინანსებზე წვდომის გაზრდა - მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ანგარიშგების სავალდებულო გასაჯაროებით. საჭიროა ისეთი დამატებითი ნაბიჯები, რომლებიც გაზრდის ბანკების ნდობას გასაჯაროებული მონაცემების მიმართ.

საბანკო სექტორის ხედვით, ფინანსური გამჭვირვალობა პირდაპირ გავლენას ახდენს რისკის შეფასებასა და სესხების გაცემის შესაძლებლობაზე. ამჟამად, საბანკო სექტორი ძირითადად უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ სესხებზეა ორიენტირებული და ნაკლებად იღებს გასაჯაროებულ ფინანსურ ინდიკატორებზე დაყრდნობილ გადამწყვეტილებებს, რაც SME-ების არასათანადო დონის ანგარიშგებებიდან გამომდინარეობს.

რესპონდენტების მოსაზრებით, SME-ების ანგარიშგების დაბალ ხარისხს ქვეყანაში შემდეგი დაბრკოლებები იწვევს: ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე, ბიზნესის შიდა ფინანსური ანალიზის სუსტი პრაქტიკა, ტრადიციული სამუშაო ჩვევების შეცვლის სურვილის ნაკლებობა.

ინტერვიუების დროს გამოითქვა რამდენიმე რეკომენდაცია SME-ების ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გასაუმჯობესებლად. რეკომენდაციები საყურადღებოა იმ კუთხით, რომ სწორედ მათი შესრულება გამოიწვევს ბანკებისთვის SME-ების გასაჯაროებული ინფორმაციის სანდოობის ამაღლებას. გამოთქმული რეკომენდაციები სცდება მხოლოდ ფინანსური წიგნიერების ამაღლების საჭიროებას და შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად მიმართულებად:

1. ფინანსური ანგარიშგებების პორტალის ფუნქციონალის გაუმჯობესება: არსებული ავტომატური შემოწმების სისტემის განახლება და ანალიტიკური მექანიზმების დამატება, რომლებიც მონაცემების ლოგიკურ თანხვედრას შეამოწმებს და გაუჯობებს რეკომენდაციებს გასცემს.

2. ფინანსური წიგნიერების ამაღლების ახალი ინიციატივების ხელშეწყობა: გარდა ბულალტრულ სტანდარტებში კომპანიების პერსონალის გადამზადებისა, ბიზნესებზე მორგებული ბულალტრული და აუდიტორული კონსულტაციების შეთავაზება SME-ებისთვის და ამ გზით ფინანსური ანალიზის კულტურის განვითარება კომპანიებში.

3. SME-ების ინტეგრაციის წახალისება მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყენებულ აღრიცხვის პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს რეალურ დროში ფინანსური ინფორმაციის გაცვლას და ბაზარზე ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირებას.

დასკვნა

ამ ნაშრომის ავტორების მიზანი იყო შეეფასებინათ რა გავლენა აქვს საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. რადგან ქვეყანაში დაფინანსების ძირითადი მიმწოდებელი კომერციული ბანკებია, გამოკვლულ იქნა მათი პრაქტიკა და დამოკიდებულებები ამ საკითხის შესასწავლად. დამატებით გაანალიზებულია ოფიციალური ანგარიშები და აკადემიური ლიტერატურა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მიუხედავად ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო გასაჯაროებისა და გამჭვირვალობის ტექნიკური ზრდისა, საქართველოში SME-ების საკრედიტო წვდომაზე რეფორმის ეფექტი კვლავ შეზღუდულია. ბანკები სიფრთხილით ეკიდებიან მცირე ბიზნესის გასაჯაროებულ არააუდირებულ ანგარიშგებებს და მხოლოდ შერჩევითად იყენებენ, ძირითადად მონაცემების გადამოწმების საჭიროებისას.

კვლევამ აჩვენა, რომ ხარისხიანი, დროული და სანდო ანგარიშგების წარმოდგენის მთავარი დაბრკოლება SME-ების ფინანსური მართვის უნარებისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის დეფიციტია. მიუხედავად ბიზნესის ოპტიმისტური მოლოდინებისა რეფორმის დასაწყისში, პრაქტიკაში ანგარიშგების გასაჯაროების გავლენა კომპანიების საკრედიტო ხელმისაწვდომობაზე უმნიშვნელო რჩება.

აღსანიშნავია, რომ ხარისხიანი და სანდო ანგარიშგების წარმოების პროგრესის ინდივიდუალური ნიშნები, უკვე შეიმჩნევა ახალი თაობის მენაჟერებს შორის, რომლებიც იყენებენ აღრიცხვის ციფრულ სისტემებს. თუმცა, აღნიშნული ტენდენცია სისტემური ხასიათის ჯერ არ არის.

შესაბამისად, რეფორმის ეფექტიანობის ასამაღლებლად და არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ნაშრომში შემოთავაზებულია რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია: საჭიროა არა მხოლოდ ზოგადი ფინანსური წიგნიერების ამაღლება, არამედ SME-ებში ფინანსური ანალიზის პრაქტიკის გაძლიერება მათთვის ბუღალტრული და აუდიტორული კონსულტაციების შეთავაზების გზით. ასევე, ისეთი სისტემური ცვლილებები, როგორიცაა: ანგარიშგების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება, გასაჯაროებული მონაცემების დროულობის უზრუნველყოფა და SME-ების ინტეგრაცია ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყენებულ აღრიცხვის პროგრამებთან.

კვლევის სამეცნიერო სიახლეა ის, რომ ის წარმოადგენს აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის SME-ების დაფინანსებაზე წვდომის ჭრილით ერთ-ერთ პირველ შეფასებას. მისი მნიშვნელობა სცდება მხოლოდ საქართველოს შემთხვევას და განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკის შემქმნელებსა და აღრიცხვის სტანდარტების განმსაზღვრელ ორგანოებს სთავაზობს მნიშვნელოვან დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

მომავალი კვლევებისთვის მიზანშეწონილი იქნება ამ ტენდენციების მონიტორინგი, ქვეყნებს შორის შედარებითი ანალიზი და გრძელვადიანი დაკვირვება, რათა შეფასდეს, როგორ მუშაობს მსგავსი რეფორმები სხვა განვითარებად ქვეყნებში და როგორ შეიძლება გაიცვალოს საუკეთესო პრაქტიკები SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

ლიტერატურა:

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური წლიური ანგარიშები:
- (2019). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_AR_2019.pdf ,
- (2020). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_Annual_Report_2020.pdf,
- (2021). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_annual_report_2021.pdf ,
- (2022). <https://saras.gov.ge/Content/files/SARAS%20AR22-2.pdf>
- (2023). <https://saras.gov.ge/Content/files/%e1%83%ac%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202023.pdf>,
- (2024). <https://saras.gov.ge/Content/files/AR24.pdf> (ბოლო ნახვა 2025 წლის 2 ივლისი)
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2023). 2023–2026 წლების სტრატეგია. https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_Strategy_2023-20262.pdf Strategy ბოლო ნახვა 2025 წლის 2 ივლისი)
- პირველი ე. (2019). ბუღალტერიისა და აუდიტის რეფორმა: პირველი შეფასება ფორბსი საქართველო, 9(2), 82–85. <https://ssrn.com/abstract=3369617>
- კალატოზიშვილი ნ. (2019). გაზრდილი გამჭვირვალობა და ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის

მიმართულებით პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის სამეცნიერო შრომების კრებული. გვ. 192. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/445791>

- საქართველოს პარლამენტი. (2016). კანონი ბულატრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS_LAW_29_05_2024.pdf (წვდომის თარიღი 2025 წლის 2 ივლისი)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2025). საქართველოს მოსახლეობა და მშპ. ერთ სულზე. <https://www.geostat.ge/ka> (წვდომის თარიღი 2025 წლის 2 ივლისი)
- Beck T. (2007). Financing Constraints of SMEs in Developing Countries: Evidence, Determinants and Solutions. Financing Innovation-Oriented Businesses to Promote Entrepreneurship, 13–36. <https://repository.tilburguniversity.edu/server/api/core/bitstreams/a21cf137-ace8-4b3f-bb83-2c24adf3bec9/content>
- Chingvaro L. (2023). Exploring Regional Variations in the Adoption of IFRS For SMEs: A Structured Review. International Journal of Research Publications. 138(1), 277-306. <https://doi.org/10.47119/IJRP10013811220235738>
- Hellman N., Nilsson, H., Tylaite, M. & Vural, D. (2022). The Impact of an IFRS for SMEs-Based Standard on Financial Reporting Properties and Cost of Debt Financing: Evidence from Swedish Private Firms. European Accounting Review. Taylor & Francis Journals. 31(5), 1175-1205. <https://doi.org/10.1080/09638180.2022.2085758>
- Hyblová E. (2019). The Current Problems of Harmonization of Accounting for Small and Medium-Sized Enterprises. Economic Research-Ekonomska Istraživanja, 32(1), 36-52. <https://doi.org/10.1080/1331677X.2018.1561317>
- Jorissen A., Ram R., & Barros P. (2022). Are IFRS Standards A ‘Trusted’ Language for Private Firm Credit Decisions? An Analysis of Country Differences in Users’ Perspective. Accounting and Finance, Journal of Accounting, 62(2), 3021-3065. <http://dx.doi.org/10.1111/acfi.12949>
- Kharabadze E., & Mamukelashvili I. (2016). The Development of Financial Reporting and Auditing Standards throughout the World: Importance of Institutions. Journal Of Business & Management (COES&R)-JBM, 4, 130-139. <https://ideas.repec.org/a/jso/coejbm/v4y2016i3p130-139.html>
- Nanyondo M., Taurigana V., Kamukama N., & Nkundabanyanga S. (2014). Quality of Financial Statements, Information Asymmetry, Perceived Risk and Access to Finance by Ugandan SMEs. International Journal of Management Practice, 7(4), 324-340. <http://dx.doi.org/10.1504/IJMP.2014.065230>
- Erekle P. and Zimmermann J. (2025). Twenty Years of IFRS ‘Success’? A Systematic Review of Scopus Literature. Journal of International Accounting, Auditing and Taxation. (Forthcoming). <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4699908>
- Pirveli E. (2022). Corporate Disclosure Timing Under IFRS: The Case of Emerging Georgia. Journal of Financial Reporting and Accounting. 22(5), 1253-1283. <https://doi.org/10.1108/JFRA-12-2021-0443>
- Pirveli E., & Shugliashvili T. (2019). Accounting and Audit Reform in Georgia: Theoretical and Descriptive Analysis. Economics and Business. 10(2), 163-184. <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/9d87c39c-9e9b-4eff-8621-0482df86d91f/content>

- Sabauri L. (2018). Approval and Introduction of the International Financial Reporting Standards (IFRS) in Georgia: Challenges and Perspectives. *Journal of Accounting & Marketing*, 7(2). <https://doi.org/10.4172/2168-9601.1000268>
- Sabauri L., & Kvatashidze N. (2018). Prospects of Application of International Standards in Financial Reporting by Small and Medium-Size Businesses in Georgia. *International Journal of Business Administration*, 9(2), 1–8. <https://doi.org/10.5430/ijba.v9n2p1>
- Potharla S. (2025). Global Adoption of International Financial Reporting Standards (IFRS): A Comprehensive Review and Critical Analysis (2000–2025). SSRN. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5277789>
- IFRS Foundation. (2025). Analysis of the IFRS Profiles for the IFRS for SMEs Accounting Standard. <https://www.ifrs.org/use-around-the-world/use-of-ifrs-standards-by-jurisdiction/#analysis-of-the-use-of-the-ifrs-for-smes-accounting-standard> (accessed July 2, 2025)
- IFRS Foundation. (2025). Use of IFRS Accounting Standards by Jurisdiction. <https://www.ifrs.org/use-around-the-world/use-of-ifrs-standards-by-jurisdiction/#analysis-of-the-169-profiles> (accessed July 2, 2025)
- Official Journal of the European Union. (2014). Association Agreement between the European Union and Georgia. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/association_agreement.pdf (accessed July 2, 2025)
- World Bank Group. (2015). Report on the Observance of Standards and Codes on Accounting and Auditing. <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/254551468189259272/acs13210-revised-georgia-rosc-aa-report-final-092015-box393232b-public-english-dissemination> (accessed July 2, 2025)
- World Bank Group. (2019). Audit Oversight to Enhance Trust and Transparency in Corporate Financial Statements: Challenges in Developing Countries. <https://cfrr.worldbank.org/publications/audit-oversight-enhance-trust-and-transparency> (accessed July 2, 2025).

References:

- bughaltruli aghritskhvis, angarishgebisa da auditis zedamkhedvelobis samsakhuris tsliuri angarishebi: [Accounting, Reporting and Audit Supervision Service Annual Reports:
- (2019). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_AR_2019.pdf ,
- (2020). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_Annual_Report_2020.pdf,
- (2021). https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_annual_report_2021.pdf ,
- (2022). <https://saras.gov.ge/Content/files/SARAS%20AR22-2.pdf>
- (2023). <https://saras.gov.ge/Content/files/%e1%83%ac%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%20%e1%83%90%e1%83%9C%e1%83%92%e1%83%90%e1%83%A0%e1%83%98%e1%83%A8%e1%83%98%202023.pdf>,
- (2024). <https://saras.gov.ge/Content/files/AR24.pdf>] (last seen 2025, 2 July)] In Georgian
- bughaltruli aghritskhvis, angarishgebisa da auditis zedamkhedvelobis samsakhuri (2023). strategia 2023–2026 tslebisvis. [Accounting, Reporting and Audit Supervision Service. (2023). Strategy for 2023–2026. https://saras.gov.ge/Content/files/SARAS_Strategy_2023-20262.pdf Strategy.] Last seen July 2, 2025) in Georgian

- Pirveli E. (2019). bughaltruli aghritskhvisa da auditis reporma: pirveli shepaseba [Accounting and Auditing Reform: A First Assessment Forbes Georgia, 9(2), 82–85.] <https://ssrn.com/abstract=3369617> in Georgian
- Kalatozishvili N. (2019). gazrdili gamchvirvaloba da finansur informatsiaze khelmistsatmoboba sakartveloshi. [Increased Transparency and Financial Information Availability in Georgia. Collection of Scientific Works from the First International Scientific-Practical Conference in the Field of Accounting and Finance, 192. Tbilisi: Caucasus University. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/445791>] in Georgian
- sakartvelos parlamenti. (2016). kanoni bughaltruli aghritskhvisa, angarishgebisa da auditis shesakheb [Law on Accounting, Reporting and Auditing. https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS_LAW_29_05_2024.pdf] (Last seen 2025, 2 July) in Georgian
- sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri (sakstati). (2025). sakartvelos mosakhleoba da mshp. ert sulze [National Statistics Office of Georgia. (2025). Population of Georgia and GDP per Capita. <https://www.geostat.ge/ka>] (Last seen 2025, 2 July) in Georgian
- Beck T. (2007). Financing Constraints of SMEs in Developing Countries: Evidence, Determinants and Solutions. Financing Innovation-Oriented Businesses to Promote Entrepreneurship, 13–36. <https://repository.tilburguniversity.edu/server/api/core/bitstreams/a21cf137-ace8-4b3f-bb83-2c24adf3bec9/content>
- Chingvaro L. (2023). Exploring Regional Variations in the Adoption of IFRS for SMEs: A Structured Review. International Journal of Research Publications. 138(1), 277-306. <https://doi.org/10.47119/IJRP10013811220235738>
- Hellman N., Nilsson H., Tylaite M., & Vural D. (2022). The Impact of an IFRS For SMEs-Based Standard on Financial Reporting Properties and Cost of Debt Financing: Evidence from Swedish Private Firms. European Accounting Review. Taylor & Francis Journals. 31(5), 1175-1205. <https://doi.org/10.1080/09638180.2022.2085758>
- Hyblová E. (2019). The Current Problems of Harmonization of Accounting for Small and Medium-Sized Enterprises. Economic Research-Ekonomska Istraživanja, 32(1), 36–52. <https://doi.org/10.1080/1331677X.2018.1561317>
- Jorissen A., Ram R., & Barros P. (2022). Are IFRS Standards a ‘Trusted’ Language for Private Firm Credit Decisions? An Analysis of Country Differences in Users’ Perspective. Accounting and Finance, Journal of Accounting, 62(2), 3021-3065. <http://dx.doi.org/10.1111/acfi.12949>
- Kharabadze E., & Mamukelashvili I. (2016). The Development of Financial Reporting and Auditing Standards throughout the World: Importance of Institutions. Journal of Business & Management (COES&RJ-JBM), 4, 130–139. <https://ideas.repec.org/a/jso/coejbm/v4y2016i3p130-139.html>
- Nanyondo M., Taurigana V., Kamukama N., & Nkundabanyanga S. (2014). Quality of Financial Statements, Information Asymmetry, Perceived Risk and Access to Finance by Ugandan SMEs. International Journal of Management Practice, 7(4), 324–340. <http://dx.doi.org/10.1504/IJMP.2014.065230>
- Erekle P., & Zimmermann J. (2025). Twenty Years of IFRS ‘Success’? A Systematic Review of Scopus Literature. Journal of International Accounting, Auditing and Taxation. (Forthcoming). <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4699908>

- Pirveli E. (2022). Corporate Disclosure Timing Under IFRS: The Case of Emerging Georgia. *Journal of Financial Reporting and Accounting*, 22(5), 1253-1283. <https://doi.org/10.1108/JFRA-12-2021-0443>
- Pirveli E., & Shugliashvili T. (2019). Accounting and Audit Reform in Georgia: Theoretical and Descriptive Analysis. *Economics and Business*, 10(2), 163-184. <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/9d87c39c-9e9b-4eff-8621-0482df86d91f/content>
- Sabauri L. (2018). Approval and Introduction of the International Financial Reporting Standards (IFRS) in Georgia: Challenges and Perspectives. *Journal of Accounting & Marketing*, 7(2). <https://doi.org/10.4172/2168-9601.1000268>
- Sabauri, L., & Kvatahidze, N. (2018). Prospects of Application of International Standards in Financial Reporting by Small and Medium-Size Businesses in Georgia. *International Journal of Business Administration*, 9(2), 1-8. <https://doi.org/10.5430/ijba.v9n2p1>
- Potharla S. (2025). Global Adoption of International Financial Reporting Standards (IFRS): A Comprehensive Review and Critical Analysis (2000-2025). SSRN. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5277789>
- IFRS Foundation. (2025). Analysis of the IFRS Profiles for the IFRS for SMEs Accounting Standard. <https://www.ifrs.org/use-around-the-world/use-of-ifrs-standards-by-jurisdiction/#analysis-of-the-use-of-the-ifrs-for-smes-accounting-standard> (Last seen 2025, 2 July)
- IFRS Foundation. (2025). Use of IFRS Accounting Standards by Jurisdiction. <https://www.ifrs.org/use-around-the-world/use-of-ifrs-standards-by-jurisdiction/#analysis-of-the-169-profiles> (Last seen 2025, 2 July)
- Official Journal of the European Union. (2014). Association Agreement between the European Union and Georgia. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/association_agreement.pdf (Last seen 2025, 2 July)
- World Bank Group. (2015). Report on the Observance of Standards and Codes on Accounting and Auditing. <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/254551468189259272/acs13210-revised-georgia-rosc-aa-report-final-092015-box393232b-public-english-dissemination> (Last seen 2025, 2 July)
- World Bank Group. (2019). Audit Oversight to Enhance Trust and Transparency in Corporate Financial Statements: Challenges in Developing Countries. <https://cfrr.worldbank.org/publications/audit-oversight-enhance-trust-and-transparency> (Last seen 2025, 2 July).

Accounting Reforms and Access to Finance for Small and Medium Enterprises (SMEs) in Developing Economies (The Case of Georgia)

Eka Gegeshidze

Professor

*School of Business and Administrative
Sciences, University of Georgia
e.gegeshidze@ug.edu.ge.*

Natia Kalatozishvili

Doctoral Student

*School of Business and Administrative
Sciences University of Georgia
nknatinati@gmail.com*

In the context of global financial reporting harmonization, Georgia offers a compelling case for examining the impact of accounting reforms on SME access to finance. As a small, rapidly developing country with aspirations for European integration, Georgia – with a population of 3.7 million and a GDP per capita of USD 9,141 (Geostat.ge) – has made notable strides in aligning its financial reporting and auditing practices with international standards, particularly under the framework of the 2014 Association Agreement with the European Union. In a financial landscape where private sector funding is largely dependent on commercial banks and capital markets remain underdeveloped, the availability of timely and reliable financial information is critical for informed lending decisions – especially for small and medium-sized enterprises (SMEs). Acknowledging this need, Georgia enacted the Law on Accounting, Reporting, and Auditing in 2016, initiating a comprehensive reform to enhance financial transparency, strengthen regulatory oversight, and promote economic growth. This reform was especially significant for improving SME access to finance, as it aimed to provide creditors with standardized and trustworthy financial data to support more accurate credit assessments.

A key feature of the reform was the mandatory disclosure of financial statements through a national online portal (www.reportal.ge), introduced in 2019. Companies were classified into four categories based on size and activity type, determining their respective accounting and auditing obligations. Public Interest Entities and large companies (Category I) were required to prepare audited financial statements in accordance with full IFRS starting in October 2018. Large and medium-sized companies (Categories II and III) adopted IFRS for SMEs from 2019, with auditing mandatory for Category II and voluntary for Category III. The smallest businesses (Category IV) were granted until 2021 to implement simplified IFRS reporting, also with voluntary audit requirements (Pirveli & Shugliashvili, 2019).

Oversight was provided by the Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS), whose reports indicated consistently high submission rates among larger companies (95% in 2021, 93% in 2023 for Categories I–III). In contrast, submission rates among micro and small enterprises (Category IV) declined over time (from 80% in 2021 to 72% in 2023), highlighting persistent challenges within this segment. Despite extensive broad public education campaigns and the retraining of over 2,200 accounting and audit professionals between 2019 and 2022, SARAS acknowledged ongoing issues with the quality, reliability, and timeliness of submitted reports. Notably, no systematic public data exists on the actual accuracy of submitted financial statements, leaving a significant gap in assessing evaluating the reform’s overall effectiveness.

To examine the impact of these regulatory changes on SME access to finance, this study employed a mixed-method approach. A baseline survey was conducted in 2019 among 74 Georgian companies, supplemented by expert interviews with three professional accountants and auditors. The survey revealed a notable gap between optimistic expectations of the reform’s benefits (81% expected positive effects) and actual preparedness (only 42% had a good or comprehensive understanding of requirements). Key concerns included insufficient accounting skills, limited comprehension of reform details, and the potential for increased compliance costs among smaller businesses.

Five years into the reform, in 2024, the study conducted semi-structured interviews with senior representatives from three of Georgia’s major commercial banks to assess its influence on lending practices. The findings underscored persistent challenges. All respondents agreed that financial statements published on the state portal remained insufficiently reliable for assessing SME credit risk – particularly for Categories III and IV, whose reports are typically unaudited. Consequently, banks continued to rely primarily on financial data obtained directly from clients, as public disclosed statements were often outdated by the time lending decisions were made.

Bank representatives observed that tax declarations submitted to the Revenue Service were generally more reliable, owing to systematic cross-checks, whereas the reporting portal was regarded by many SMEs as largely procedural. Financial statements for the previous year typically became available only by the third quarter of the following year, making them outdated for real-time credit assessments. Consequently, public disclosures were consulted primarily when discrepancies or concerns emerged in the financial data submitted directly by clients.

The interviews also revealed several structural factors contributing to the low quality and limited utility of SME financial reporting. This included low levels of financial literacy, weak internal financial management practices, and a persisten-

reluctance on informal, traditional business habits. As a result, the banking sector continued to depend primarily on collateral-based lending, making minimal use of publicly disclosed financial performance indicators in SME credit risk assessments, largely due to the unreliability of financial statements.

Nonetheless, banks noted isolated signs of progress, particularly among younger entrepreneurs adopting automated accounting systems. While this development is promising, remains limited and has yet to achieve systemic scale. Based on these findings, the study offers several practical recommendations:

- Strengthen quality control and oversight mechanisms for public financial reporting, including the upgrade of automated error detection systems.
- Develop financial literacy and analytical culture among SMEs through systematic programs and access to accounting and audit advisory services.
- Promote the adoption of digital accounting platforms among SMEs through targeted support and incentives.

This study makes a significant academic contribution by offering one of the first focused evaluations of the impact of accounting standards harmonization on SME access to finance within the context of a developing economy. It highlights not only the regulatory progress achieved but also the enduring challenges that continue to hinder financial transparency and constrain lending opportunities for SMEs in Georgia. The findings emphasize that improvements in technical compliance do not necessarily lead to substantive changes in financial decision-making and credit assessment practices, particularly when deeper structural issues remain unaddressed.

For future research, it is recommended to continue monitoring these trends developments, undertake cross-country comparative analyses, and assess evaluate the performance of similar reforms perform in other emerging economies. Such efforts could help identify best practices for enhancing strengthening financial access and cultivating a robust reporting culture among SMEs in developing markets.

Keywords: Accounting reform, SME financing, financial transparency, Georgia, emerging markets.

JEL Codes: G21, M41, M48, O16, L26

ს ი ა ხ ლ ე N E W S

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის - „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ - პრეზენტაცია რედაქტორები: ე. მექვაბიშვილი, გ. ბედიანაშვილი თბ., „უნივერსალი“, 2025, 490 გვ.

2025 წლის 28 ოქტომბერს თსუ-ის პირველი კორპუსში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში, გაიმართა პროფესორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის - „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ პრეზენტაცია.

ლონისძიებას უძღვებოდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ლალანიძე. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბატონი ლადოს აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა საყოველთაოდ ცნობილია - ის, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული, 500-ზე მეტი ნაშრომის ავტორია და, რომ თავისი მოღვაწეობითა და დაუღალავი შრომით, გამორჩეული წვლილი აქვს შეტანილი დარგის განვითარებაში. რექტორმა საზოგადოებას წარმოდგენილი წიგნის მაღალ სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას. აკადემიური საბჭოს სახელით მან მიულოცა ბატონ ლადოს 70 წლის იუბილე, მადლობა გადაუხადა კოლეგტივს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საინტერესო და ღირებული წიგნის შექმნაში და აკადემიკოს ლადო პაპავას, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, გადასცა ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედალი.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ წიგნის სამეცნიერო რედაქტორები - პროფესორები ელგუჯა მექვაბიშვილი და გივი ბედიანაშვილი. მათ ისაუბრეს აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მიერ ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ, მისი ცალკეული ახალი მიმართულებების და კონცეფციების ფორმირებაში და უსურვეს იუბილარს ახალი შემოქმედებითი წარმატებები. რედაქტორებმა, აქვე, დიდი მადლობა გადაუხადეს წიგნში წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიების ავტორებს თანამშრომლობისათვის.

ლონისძეების ბოლოს აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მადლიერება გამოხატა უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ჯაბა სამუშიას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ გიორგი ლალანიძის და განსაკუთრებით, სამეცნიერო სტატიების ავტორებისა და წიგნის რედაქტორების მიმართ.

წიგნი გამოიცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდის მხარდაჭერით.

აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის მეცნიერული ღვაწლის მორიგი აღიარება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელს ბატონ ავთანდილ სილაგაძეს, ნაშრომთა ციკლისათვის - „ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან“, ქართული ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლის - პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის საქართველოს ეროვნული მეცნიერთა აკადემიის პრემია მიენიჭა.

ვულოცავთ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს აკადემიკოსს ავთანდილ სილაგაძეს ამ მნიშვნელოვან ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ჟუჰნად „ეკონომიკა და ბიზნესის“ სახელმძღვანელო კოლეგია

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე
Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 6279/6284 ,84 04 225 32)995
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>